ლიბერალი
160 / აპრილი 2015
ფასი 5 ლარი

1737
2015

დიდი ბაჰთობისა და მოჯიქაულებული სიბიჭის დრო

გვ. 24



ეროვნული
ბიბლიოთეკა

IOTA iOS-ისთვის



ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘ - ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ iPhone, iPad ᲓᲐ iPod Touch-ᲖᲔ

ᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ!

ᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚᲐᲓ!

www.lit.ge

IOTA iOS-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ lit.ge-Ს ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲙᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ iPhone, iPad ᲓᲐ iPod Touch

ᲐᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ iTune-ᲖᲔ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ „IOTA READER"

lit.ge

ლიბერალი

№ 160 / აპრილი 2015

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალის რედაქტორი
გიორგი ქჟეიშვილი

პოლიტიკის რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

ვებგვერდის რედაქტორი/
მედიაგანვითარების
დირექტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამგეგის რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა
ზაკაშვილი, გიორგი ქჟეიშვილი,
ქეთევან ღვედაშვილი, თათია
ალანი, ეკა მაღალდაძე, სოფო
ფუციური, თეი კანაშვილი, დათო
ფარულავა, ნათია ამირანაშვილი,
დათო გამისონია.

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, ანკა გუჯაბიძე,
ლევან ბერძენიშვილი, გიორგი
კვესელიძე, სილვია შტიობერი,
ირაკლი ხვადაგიანი, ზურაბ
ჯურიელიძე, დავით ბუხრიკიძე,
გო ახელედიანი, პაატა ქურდაძე,
ლზა ადეიშვილი

ჟურნალის დიზაინერი
ორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ახალი ამგეგის სტილისტ/
კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

ბიზნესგანვითარების
დირექტორი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ალენე ხარაზაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის
მენეჯერები
ირმა მოსულიშვილი,
ანდრო ჯანიაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

მოტყუება აღვილია?

ყოველ პირველ აპრილს ქართული მედიის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, ისიც კი, რომელიც მეტ-ნაკლები სოლიდურობით გამოირჩევა, ე.წ. საპირველაპრილო ნიუსებს ამზადებს. მარტივად რომ ვთქვათ – იტყუება, ხუმრობს თავისებურად.

პირველი აპრილი სასაცილო ტყუილების დღედ ბევრ ქვეყანაში მიაჩნიათ, თუმცა ქართული მედიისგან საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადება გროტესკულ იერს იძენს. რატომ? ვფიქრობ ახსნა-განმარტებას არ ელოდებით...

ქართული მედია ჟურნალის წინამდებარე ნომრის ფოკუსშია, რამდენიმე რაკურსით. ეს საშუალებას გვაძლევს, გრიგოლია-ხოფერია-ჯაჯანიძის კრიტიკას გავცდეთ და მიგიყვანოთ პრობლემების სათავეებთან. ეს სათავეები გაცილებით ამღვრეულია, ვიდრე არაკომპეტენტურობით, ადამიანთა ბედისადმი გულგრილობით, სტერეოტიპებით, სიძულვილითა და არაეთიკურობით გაჯერებული ტელეშოუები.

თუმცა არსებობს მცირე, მაგრამ სასიამოვნო გამონაკლისებიც, ჩვენ გაჩვენებთ მედიასაშუალებებს, რომლებშიც გაცილებით კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ჟურნალისტები რეალურ სივრცეებში, რეალურ წინააღმდეგობებს უმკლავდებიან, რათა შეასრულონ ჟურნალისტიკის ძირითადი მისია – მიაწოდონ საზოგადოებას არაინტერპრეტირებული, დაბალანსებული, ფაქტებით გამყარებული ინფორმაცია.

ტრადიციულად, მთავარი თემის ქვეშ მოქცეული სტატიები, ნომრის შინაარსის მხოლოდ მცირე ნაწილია. „მეოთხე ხელისუფლების“ ყოფით მეტისმეტად თუ დაითრგუნებით, ლიტერატურის, სპორტის, კულტურის, ან სულაც ცხოველთა სამყაროში სასიამოვნო მოგზაურობას გისურვებთ.

მორწმუნეებს კი აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ!

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი

30725

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

დიდი ბაჰთობისა და მოჯიქაულებული სიბიჭის დრო

წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში უმსხვილესმა ტელეარხებმა ეთერიდან პოლიტიკური ტოკშოუები განდევნეს. მაყურებელს იმაზე უნდა ეფიქრა, რომ „ცხოვრება მშვენიერია“. პოლიტიკაზე მხოლოდ პატარ-პატარა, ნიშურ ტელეკომპანიებში საუბრობდნენ, რომელთაც დაფარვის არეალი მცირე ჰქონდათ. დღეს პოლიტიკური ტოკშოუები ეკრანს დაუბრუნდა, მაგრამ საკითხავია, რა სარგებლობა მოაქვთ ამ გადაცემებს პოლიტიკური პროცესისთვის? გვეხმარება კი მაყურებელს ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაში? ვნებებმა, რომელიც ასეთი ტოკშოუების სტუდიებში ბობოქრობს, ლამის წაშალა ზღვარი ყვითელ და პოლიტიკურ ჟურნალისტიკას შორის. წაიკითხეთ ბოლო კვირის განმავლობაში ტელევიზორთან გატარებული ბევრი საათის შედეგი „ლიბერალის“ ამ ნომერში.

დავით ბუხრიკიძე
გვ.24

მთავარი თემა

ჩებიონული მედიის აღგილობრივი ტოლოჩიტი

როდის ინტერესდება ცენტრალური მედია რეგიონებით? თუ მასშტაბური ავარია არ მოხდა, დიდი მსხვერპლი არ იყო, ან ვინმე არ გააუპატიურეს, ქართული ტელევიზიები, როგორც წესი, რეგიონებში მიმდინარე მოვლენებით არ ინტერესდებიან. თუმცა მცირე მოკვლევაც საკმარისია იმის დასანახად, რომ პრეცენდენტული შემთხვევები, კორუფციული გარიგებები, სოციალური საკითხები, ეთნიკური, რელიგიური თემატიკა სწორედ რეგიონებიდან იქცევს ყურადღებას. „ცენტრის“ ინფორმაციის აგენტები სწორედ ადგილობრივ, უაღრესად ქრელ და საინტერესო მედიაგარემოში გაბნეული, ხშირ შემთხვევაში ძალიან კარგად მომზადებული, პროფესიონალი და ეთიკური ჟურნალისტები არიან. წაიკითხეთ მათ პრობლემებსა და გამოწვევებზე.

ზურაბ ვარდიაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი
გვ.30

ინტერვიუ

ქვეყანა ინდივიდუალობის დეფისიტით

მიტინგების უწყვეტი ციკლი; „ჯოს!“ – დრომოჭმული, მაგრამ დღემდე აქტუალური ფენომენი; მტრის ხატის ცნების ცვლილება და ბურუსით მოცული ნაცვალსახელი „ჩვენ“; რელიგია და ტრადიცია – არცთუ იშვიათად ძალადობრივი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამამართლებელი არგუმენტი; ბელადის ქართული კულტის ტრანსფორმაცია; მედია, რომელიც „ლაპარაკობს და გადმოსცემს“ და ქალაქი სივრცეების გარეშე. წაიკითხეთ ინტერვიუ ფილოსოფოს გიორგი მაისურაძესთან.

გიორგი ჭეიშვილი
გვ.14

ფოტოპროექტი

ბიანჯა



ანკა გუჯაბიძე
გვ. 46-57

მთავარი თემა

სიმართლის უფლება და მედია - საბოტაჟი

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართული მედიის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მომხმარებლები ვართ. ჩვენთვის მედია ერთგვარი სარკეა, მისი საშუალებით გვესმის, ვხედავთ, ვუსმენთ, განვიცდით სამშობლოს. როგორც ჩანს ხშირად არასწორად. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ქართული მედია, ევროპული რეიტინგების თანახმად, რეგიონში მოწინავეა, თუმცა ამავე ევროპულ მედიასთან მისი იდენტიფიცირება გვიჭირს. მედიამომხმარებელთა ამ უჩინარ უზარმაზარ არმიას იშვიათად ეკითხება ვინმე აზრს... ვერაფერს გააწყობ! მაგრამ, ჩვენ ვარსებობთ, ძალიან ბევრნი ვართ და ყოველ ჩვენგანს ქართული მედიის შესახებ ჩვენი სუბიექტური აზრი გაგვაჩნია.

პაატა ქურდაძე
გვ.18

ნომერში:



ილუსტრაცია ოსმანი ნადარეიშვილი

უცხოეთი

08 „არაბული გაზაფხულის უკანასკნელი შემოდგომა“

ინტერვიუ

14 ქვეყანა ინდივიდუალობის დეფიციტით

მთავარი თემა

18 სიმართლის უფლება და მედია – საბოტაჟი

24 დიდი გართობისა და მოკრძალებული სიგიჟის დრო

30 რეგიონული მედიის ადგილობრივი კოლორიტი

34 არმივიწყებული – ჩრდილის ქვეშ

სამართალი

36 პროკურატურის შეუსრულებელი მისია

საზოგადოება

38 უხუცესქალთა საბჭო პანკისში

რეპორტაჟი

42 მალაიზიელი ქალები „ახლოს და შორიდან“

ფოტოპროექტი

46 ბიანკა

ბიბლიოთეკა

58 ყველა გზა მაკონდოში მიდის

62 დაკარგული ყანწები

ქალაქი

64 უცნობ მუშათა პირველი მაისი

სამყარო

68 ზოოპარკი და კოსერვაცია

სვეტი

72 ლუდი, როგორც უწყვეტი ტრადიცია

კულტურა

74 რბილი ნივთების ფონდი

სპორტი

78 მოდგმით ვექილი როსარიოს კარგი უბნიდან

სამართალი

პროკურატურის შეუსრულებელი მისია



კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავარ დაპირებაზე, სამართლიანობის აღდგენაზე ხელისუფლება, ოპოზიცია და საზოგადოების სხვადასხვა წრეები მუდმივად საუბრობენ. საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს შელახული ღირსების აღდგენის, დაკარგული ქონების დაბრუნებისა და პროკურატურის დეპოლიტიზაციის დაპირებული პროცესი, შეიცვალა თუ არა რამე ერთ-ერთ ყველაზე დახურულ უწყებაში საპარლამენტო არჩევნებიდან ორწელიწადნახევრის შემდეგ. პროკურატურაში მიმდინარე პროცესები მოახლოებული არჩევნებისა და ასოციერების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ქეთევან ღვედაშვილი
83.36

ბიბლიოთეკა

ყველა გზა მაკონდოში მიდის

მაგია კიდევ ისეთი უნდა, სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურას, გამოგონილი სამყაროების მექანა რომ ახასიათებს. თავისთავად მაგიური რეალიზმი ოქსიმორონი, „ცხელი თოვლის“ მსგავსი სიტყვათშეთანხმებაა. ეს მაგია შეიძლება რომანტიკულადაც იყოს გადმოცემული, მაგრამ მისი ძალა ამ ამბების დამაჯერებლობა, ისე გადმოცემაა, თითქოს ნამდვილი იყოს. დამაჯერებელი კი არა, ზოგჯერ ქუჩაში სიარულისას იმასაც ფიქრობ, რომ რომელიმე არკადიო, ან პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია შეგხვდება აუცილებლად. მაკონდოში ხომ მოხვდები და მოხვდები, ყველა გზა ხომ მაკონდოში მიდის.

ლევან ბერძენიშვილი
83.58

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

Years

ANNIVERSARY

ფული, ემოცია და სტრესი

ავტორი: ნათია ზედგინიძე

„ადამიანები პიროვნებებად კი არ იბადებიან, პიროვნებებად ყალიბდებიან!“ ახალგაზრდა ფსიქოლოგის ეს მოსაზრება ამასწინათ ერთ-ერთ სტატიაში შემთხვევით ამოვიკითხე და გადავწყვიტე დამედგინა კავშირი ადამიანის პიროვნულ თვისებებსა და ფინანსურ ქცევებს შორის.

ფინანსურ ქცევაში ჩვენ მიერ მიღებულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს ვგულისხმობ ანუ იმას, თუ როგორ ვმართავთ ჩვენს ბიუჯეტს, როგორი მხარჯველები ვართ, გვაქვს თუ არა დაზოგვის ჩვევა, იქნებ უბრალოდ ვერ გადავეჩვიეთ გაფლანგვას?

რაც შეეხება პიროვნულ ფაქტორს, ის შემთხვევით არ მიხსენებია. აღმოვაჩინე, რომ თურმე პიროვნულ თვისებებს, შეხედულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც ბავშვობიდან გვიყალიბდება და რომლებსაც უნებურად ვიძენთ კონკრეტულ საზოგადოებაში ცხოვრებისას გავლენა აქვს ჩვენს ფინანსურ ქცევაზე.

ერთი სიტყვით, ჩემი სტატიის მიზანია, გაგიზიაროთ ჩემი დაკვირვებისა და კვლევის შედეგი – კავშირი ადამიანის პიროვნულ თვისებებსა და მის ფინანსურ მდგომარეობას შორის. ვიცი, ზოგიერთი თქვენგანი იკითხავს: კი მაგრამ, რა სარგებლობას მომიტანს ამგვარი ანალიზი? მთავარია, ბევრი ფული მქონდეს და თავადაც კარგად ვიცი საკუთარი ფული, როგორ განვკარგო. მაშინ მე ასეთ კითხვას დაგისვამთ: რამდენია ბევრი ფული? დამეთანხმებით, ფული არასოდეს არის საკმარისი და რამდენი ფულიც არ უნდა გვქონდეს, მას სწორი და გონივრული მართვა სჭირდება.

დამეთანხმებით, რომ ფული საკმარისი არასოდეს არის და რამდენი ფულიც არ უნდა გვქონდეს, მას სწორი და გონივრული მართვა სჭირდება

სწორედ ამიტომ, მე უბრალოდ მინდა დაგაფიქროთ იმაზე, თუ რა შეიძლება გვიშლიდეს ხელს ფულის ეფექტურად მართვაში და, თუკი გვიჭირს ჩვენი ბიუჯეტის ორგანიზებულად და სწორად ხარჯვა, როგორ შევცვალოთ ჩვენი რეალობა და როგორ ავიცილოთ თავიდან მუდმივი სტრესები და ემოციები.

რა გვიქმნის სტრესს, როცა საქმე ფულს ეხება? რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილებისა და ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების შეუთავსებლობა: როცა გვსურს იმაზე მეტი, ვიდრე ფინანსურად შეგვიძლია. თუმცა, სტრესს მარტო უსახსრობა არ იწვევს. ფულის ფლობაც სტრესია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც მუდმივად უწევთ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება.

დადგენილია, რომ ზოგადად სტრესის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი, ჩვენი პიროვნული თვისებებია. და თუ ფულზე ვსაუბრობთ, სწორედ ჩვენი პიროვნული თვისებები, ჩვენი ხასიათი და ბუნება ახდენს გავლენას ჩვენს ფინანსურ ქცევებზე. მეცნიერულად დამტკიცებულია რომ, იმის მიხედვით, თუ რა დოზით გვაქვს ეს თვისებები, ჩვენი დამოკიდებულებებიც და ეკონომიკური ქცევაც შესაბამისია. მაგალითად: ადამიანი, რომელიც დისციპლინირებულია, ორჯერ მეტად ახერხებს ფულის დაზოგვას. ადამიანი, რომელიც ემოციურად არასტაბილურია, მიდრეკილია შფოთვისაკენ, მეტად ექცევა სტრესის გავლენის ქვეშ. შესაბამისად, იმპულსურად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და მისი ეკონომიკური ქცევაც ირაციონალურია. ამასთან ისიც დადგენილია, რომ ის ადამიანები, რომლებიც მუდამ სიახლისა და გამოწვევების ძიებაში არიან, უფრო შემოქმედებითი ტიპის ადამიანებს მიეკუთვნებიან და ასევე უჭირთ ფულის სწორად მართვა, თუმცა ესმით და აცნობიერებენ, რომ ფულს გონივრული მართვა სჭირდება. სხვა სიტყვებით, კრეატიული და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების დამოკიდებულება ფულის მიმართ სწორია, მაგრამ ფინანსური ქცევა განსხვავდება მათი დამოკიდებულებებისგან. ეს იმ შემთხვევას ჰგავს, როცა ვიცით, რომ თამბაქოს მოხმარება მავნებელია ჯანმრთელობისთვის, მაგრამ, მაინც ვეწევით!

ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარდა, ვფიქრობ საინტერესო იქნება გაგიზიაროთ, ფსიქოლოგიაში გავრცელებული თეორია ლოკუსის კონტროლის შესახებ. მისი ავტორი ცნობილი ფსიქოლოგი ჯულიან როტერია.

რას წარმოადგენს ლოკუსის კონტროლი? ეს ყოფილა ადამიანის თვისება, საკუთარი წარუმატებლობა თუ წარმატება დააბრალოს შიდა ან გარე ფაქტორებს.

მაგალითისათვის, ის ადამიანები, რომლებიც პრობლემის მიზეზს მუდმივად სხვა ადამიანებში ან გარე ფაქტორებში ეძებენ და ცდილობენ ყველაფერი მათ გადააბრალონ, გარე ლოკუსის კონტროლის მქონე ადამიანებად ითვლებიან და საკუთარ თავს მუდამ მსხვერპლის როლში განიხილა-

ადამიანი, რომელიც დისციპლინირებულია, ორჯერ მეტად ახერხებს ფულის დაზოგვას

ვენ. შესაბამისად, ამგვარი თვისების მქონე ადამიანები ფინანსურ წარუმატებლობას ყოველთვის გარე ფაქტორებს უკავშირებენ, რადგან თავს ასე უფრო კომფორტულად გრძნობენ. ამიტომაც, ფულთან მიმართებით ამგვარი თვისების მქონე ადამიანები მეტ სტრესს განიცდიან და მათი ფინანსური ქცევებიც ირაციონალურია.

გყოლიათ ნაცნობი ან მეგობარი, რომელსაც თითქოს თქვენნაირი შემოსავალი აქვს, მაგრამ მისი ცხოვრების ხარისხიდან გამომდინარე, შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს თქვენზე მეტი ფული აქვს? ასეთი ადამიანები თურმე „ფინანსურ ინტელექტს" ფლობენ. ეს ის აუცილებელი მონაპოვარი ყოფილა, რომელიც ეხმარება ადამიანს, არა მარტო იშოვოს ფული, არამედ გონივრულად მართოს ის. ფინანსური ინტელექტი ეს ერთგვარი უნარია, რომელსაც ადამიანი ფინანსური სახის პრობლემების გადაჭრისას იყენებს და მისი განვითარებაც შესაძლებელია.

მოდით შევაფასოთ ჩვენი ფინანსური ინტელექტი და ვთქვათ, რა უნარები გვაქვს ან გვაკლია იმისათვის, რომ გავთავისუფლდეთ სტრესებისგან და გვქონდეს მშვიდი ფინანსური ცხოვრება.

ფინანსური ინტელექტის შემადგენელი უნარებია:

1) ფულის შოვნის უნარი; ანუ უნარი, იფიქროთ იმაზე, თუ როგორ იშოვოთ ფულისგან ფული;

2) ფულის დაზოგვის უნარი – ანუ იმას კი არ დაველოდოთ, რამდენი ფული მოგვრჩება თვის ბოლოს, არამედ მიზანმიმართულად გადავდოთ თუნდაც 1 ლარი;

3) ბიუჯეტის შედგენის უნარი – მუდმივად აღვრიცხოთ, რაში რამდენს ვხარჯავთ და რეგულალურად დავგეგმოთ სამომავლო ხარჯები;

4) ფინანსური ცნობიერების ამაღლების უნარი – მუდმივად ვეცადოთ, გავიგოთ, ვისწავლოთ ფულთან დაკავშირებული საკითხები, ფინანსური პროდუქტები და ა.შ.

ძველი ანდაზა გვეუბნება: სანამ სირბილს დაიწყებ, ჯერ სიარული ისწავლეო. ეს გამოთქმა კარგად შეესაბამება ფინანსურ ინტელექტს. სანამ ფულის შოვნის ხელოვნებას ვისწავლით, ჯერ ვიმუშაოთ ჩვენი უნარების განვითარებაზე, გავიღმავოთ ფინანსური ინტელექტი და არ დაგვავიწყდეს: გენიოსებიც კი სწავლას 2+2-დან იწყებენ!

და ბოლოს, ყველაზე ღირებული, რაც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს არის ჩვენი გონება! ამიტომ, როცა ფულზე ვსაუბრობთ, მთავარია ჯერ დამოკიდებულება, მიდგომა და რწმენა შევცვალოთ, ფინანსური უნარები განვავითაროთ და უკვე შემდგომ ვიმოქმედოთ!

თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

"არაბული გაზაფხულის უკანასკნელი შემოდგომა"

„ჩვენ უყოყმანოდ უნდა დავდგეთ მათ მხარეს, ვინც მიისწრაფვის თავისი უფლებების დაცვისკენ, რადგან მათი წარმატების შემთხვევაში სამყარო უფრო მშვიდობიანი, უფრო სტაბილური და სამართლიანი გახდება", – ეს განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2011 წლის მაისში „არაბული გაზაფხულის" სახელით ცნობილი მოვლენების შეფასებისას გააკეთა.

ლევან ახალაია

„არაბული გაზაფხულის" მოლოდინი „ისლამური სახელმწიფოს" ჩამოყალიბებამ ჩაანაცვლა, რასაც ტერორი და დაშლილი სახელმწიფოები მოჰყვა", – ეს სიტყვები კი უკვე 2015 წლის მარტში, აშშ-ის კონგრესში გამოსვლისას ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ წარმოთქვა.

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „სახალხო მღელვარების" დაწყებიდან 4 წლის თავზე მსოფლიოს ამ ნაწილში მოვლენების განვითარების პროგნოზირება სულ უფრო რთული ხდება. იემენის, ლიბიისა და სირიის მაგალითები აჩვენებს, რომ დასავლეთს, სავარაუდოდ, არ ჰქონდა და არც აქვს გრძელვადიანი სტრატეგია, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს მსოფლიოს ან ნაწილში ახალ გამოწვევებს.

„მართული დიქტატურა"

„არაბულ გაზაფხულამდე" დასავლეთისათვის ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი სტაბილურობა და უსაფრთხოება იყო. აშშ-სა და ევროპაში თვალს ხუჭავდნენ არაბული სახელმწიფოების ლიდერთა სისასტიკეზე, რადგან ისინი მორჩილად ემსახურებოდნენ დასავლეთის ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ინტერესებს. ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქი ისრაელში მშვიდობის „ერთადერთ გარანტად" ითვლებოდა. ლიბიაში პოლკოვნიკი მუამარ კადაფი პოტენციური საინვესტიციო და სავაჭრო შეთანხმებების საკითხებს „აგვარებდა". სირიაში ბაშარ ასადი ადვილად პროგნოზირებადი ლიდერი იყო, რომელიც გოლანის მაღლობებზე კონფლიქტის გამწვავებას „უსასყიდლოდ" უშლიდა ხელს. იემენში ალი

აბდულა სალეჰი ტერორისტულ დაჯგუფება „ალ ქაედას“ წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთის „ერთგულ მოკავშირედ“ ითვლებოდა. სანაცვლოდ, „მართული ლიდერები“ დასავლეთისაგან ფინანსურ და სამხედრო დახმარებას დაბრკოლების გარეშე იღებდნენ.

ასეთი მიდგომა იმ რეგიონის მიმართ, სადაც მტერი ხშირად მეგობრად გადაიქცევა, თუ ისიც შენს მტერს ებრძვის, საბოლოო ჯამში, რბილად რომ ვთქვათ, „წამგებიანი“ აღმოჩნდა.

„არაბული გაზაფხულის“ მყიფე ცვლილებების შედეგი ყველაზე მწვავედ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში მდებარე იემენში იწვნიეს.

„ჰუსიტების აჯანყება იემენში“

2014 წლის სექტემბერში უსაფრთხოების კუთხით ვაშინგტონის იემენთან თანამშრომლობას აშშ-ის პრეზიდენტმა „წარმატებული კონტრტერორისტული სტრატეგიის მაგალითი“ უწოდა. მართლაც, იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალეჰი და შემდეგ მისი მემკვიდრეც, თანახმა იყო მათი სამშობლოს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც „ალ ქაედა“ აკონტროლებს, აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავებით დაებომბათ. თანახმა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ იერიშებს ხშირად მშვიდობიანი მოქალაქეებიც ეწირებოდნენ. ობამამ ეს განცხადება 6 თვის წინ გააკეთა.

გაეროს შეფასებით, იემენი დღეს „სამოქალაქო ომის“ ზღვარზეა, დედაქალაქ სანას ამბოხებულები აკონტროლებენ, პრეზიდენტი გაიქცა, საუდის არაბეთმა კი იემენის დაბომბვა დაიწყო. ამის მიზეზი შიიტი-ზეიდიტების გასამხედროებული დაჯგუფების აჯანყებაა. ჰუსიტები იემენში ძალაუფლებისათვის წლების განმავლობაში იბრძოდნენ, თუმცა იემენის ყოფილმა პრეზიდენტმა მათი ამბოხი რამდენჯერმე ძალის გამოყენებით ჩაახშო.

2011 წელს, „არაბული გაზაფხულის“ შედეგად სალეჰის 33-წლიანი მმართველობა დასრულდა. შედარებით სუსტი მთავრობის მმართველობის პირობებში ჰუსიტები გაძლიერდნენ. „დახმარების ხელი“ კი მათ ირანმა გაუწოდა. თეირანის პოლიტიკური მიზნის ამოცნობა აშშ-ის მოკავშირე საუდის არაბეთისათვის რთული არ აღმოჩნდა. 26 მარტს ერ-რიადის გადაწყვეტილებით იემენში სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

იემენის დედაქალაქ სანას და უმსხვილეს პორტ ადენში აფეთქებების ხმა არ წყდება, ქვეყნის მომავალი კი კვამლშია გახვეული და სულ უფრო ბუნდოვნად მოჩანს. ჰუსიტი მებრძოლების დამარცხება მხოლოდ საჰარეო დარტყმებით, სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნება. ხანგრძლივი ომი კი აჩენს საფრთხეს, რომ შიიტი-ზეიდიტები კიდევ უფრო მარგინალიზებულ ჯგუფად გადაიქცევიან და იემენში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფება „ალ ქაედას“ მებრძოლებთან კავშირს აირჩევენ. მოვლენების ამ სცენარით განვითარების ნათელი მაგალითია ერაყი, სადაც მთავრობის მიერ „მოღალატეებად“ შერაცხული ოპოზიციონერი სუნიტები საბოლოოდ რადიკალური ისლამის მიმდევრებს შეეკრნენ. ასე გაჩნდა „ისლამური სახელმწიფო“.

„რევოლუციები ეგვიპტეში“

„არაბული გაზაფხული“ არც ეგვიპტეში დადგა. ჰოსნი მუბარაქის გადადგომას ამ ქვეყანაში 2013 წელს სამხედრო გადატრიალება მოჰყვა. არჩეული პრეზიდენტი მოჰამედ მურსი დააპატიმრეს და სახელმწიფოს ღალატში დასდეს ბრალი. ციხეში მოხვდნენ ერთ დროს მმართველი პარტიისა და ახლა ეგვიპტეში სასამართლოს მიერ აკრძალული მოძრაობა „მულიმთა საძმოს“ ლიდერები. მათ ნაწილს სიკვდილით დასჯა ემუქრება. ეგვიპტეში სწრაფი და ქმედითი დემოკრატიული ცვლილებების იმედი

საბოლოოდ გენერალ აბდელ ფატაჰ ალ-სისის ხელისუფლებაში მოსვლამ დაასამარა. თუმცა, რამდენიმეთვიანი ყოყმანის შემდეგ დასავლეთმა ეგვიპტის ახალ ლიდერთან თანამშრომლობა მაინც განაახლა. დღეს ობამას ადმინისტრაციის ყოფილი წევრები და მათ შორის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც, რომელიც 2016 წელს „დემოკრატიული პარტიის“ პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება, სულ უფრო ხშირად ცდილობენ 2011 წელს ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა აშშ-ის პრეზიდენტს დააკისრონ. როგორც კლინტონი ბიოგრაფიულ წიგნში წერს, ის მხარს უჭერდა ეგვიპტეში ხელისუფლების ჰოსნი მუბარაქის მემკვიდრისთვის გადაცემას, თუმცა, როგორც პოლიტიკოსი ამბობს, ობამამ ეს წინადადება უარყო.

„ამბოხი მარგალიტის მოედანზე“

ტრაგიკული იყო „არაბული გაზაფხული“ ბაჰრეინში.

კაიროს ტაჰრირის მოედანზე გამართული „მილიონიანი მარშისაგან“ განსხვავებით, მანამას „მარგალიტის მოედანზე“ შიიტი დემონსტრანტების აქციები დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას საერთოდ არ შეუმჩნევია. საუდის არაბეთისა და აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მოკავშირე სახელმწიფოში დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით გამართულ მანიფესტაციებს პოლიტიკური რეპრესიები, სისხლისღვრა და საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების ინტერვენცია მოჰყვა. მეტიც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, 2011 წელს დიდმა ბრიტანეთმა ბაჰრეინის ხელისუფლებას 1 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა მიჰყიდა, რომელიც სამეფოს მმართველებმა დემონსტრანტების დასაშლელად გამოიყენეს. ვაშინგტონსა და ლონდონში დემონსტრანტების წინააღმდეგ მთავრობის მიერ ძალის გამოყენების გამო ტრადიციული შეშფოთება გამოთქვეს, თუმცა მოგვიანებით ბაჰრეინის მეფე შეაქეს კიდეც, იმისთვის რომ მან მომხდარზე დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების ბრძანება გასცა. ოფიციალური ცნობებით ბაჰრეინში სახალხო მღელვარების ჩახშობას 164 ადამიანი ემსხვერპლა. არაოფიციალურად, დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტია. 5 წლის შემდეგ ბაჰრეინში „შედარებითი სიმშვიდეა“, სანაპიროებთან კი აშშ-ის მეხუთე სამხედრო ფლოტი დგას.

„ბენღაზის ტრაგედია“

პოლკოვნიკ კადაფის 42-წლიანი დიქტატურისაგან გათავისუფლებულ ლიბიას წარმატებულ და სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ვუწოდებთ. 2012 წელს ლიბიის ყოფილი ლიდერის მკვლელობის შემდეგ, მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირება არცერთი დღით არ შეწყვეტილა. არჩევნების ჩატარება ლიბიაში მხოლოდ ერთხელ მოხერხდა. თუმცა „არაბული გაზაფხულის“ დასასრულის დასაწყისი ლიბიაში მაინც 2012 წლის სექტემბერში დაიწყო, როდესაც ქალაქ ბენღაზიში მდებარე აშშ-ის საკონსულოს თავს რადიკალური ისლამის მიმდევრები დაესხნენ. მოკლულთა შორის იყო აშშ-ის ელჩიც. ბენღაზიში განვითარებული მოვლენების გამო „რესპუბლიკელმა“ კონგრესმენებმა ობამას ადმინისტრაციის წევრების პასუხისმგებლობის საკითხიც კი დაყენეს. ინციდენტის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც. აშშ-ის შიდა პოლიტიკური გარჩევები ლიბიისათვის უშედეგოდ დასრულდა. დღეს იქ სიტუაცია გაუარესებულია. „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურების გამო ეგვიპტე ქვეყანაში ინტერვენციას ითხოვს. ნავთობით მდიდარ აფრიკულ ქვეყანაში შექმნილი ვითარება აღელვებთ იტალიაშიც, სადაც წელს ლიბიელი მიგრანტების რეკორდულ რაოდენობას ელოდებიან.

„არაბული გაზაფხულის“ მარცხი სირიაში

2011 წლის მარტში ქალაქ დერაას ერთ-ერთი სკოლის შენობაზე ანტისამთავრობო გრაფიტი დახატეს. პოლიციამ 15 მოსწავლე დააკავა. სწორედ ასე დაიწყო სახალხო მღელვარება სირიაში. პროფესიით ოფთალმოლოგი ბაშარ ალ-ასადი ჰოსნი მუბარაქთან და პოლკოვნიკ კადაფისთან შედარებით უფრო „მტკიცე“ პოლიტიკური ფიგურა აღმოჩნდა. რამდენიმეწლიანი კონფლიქტისა და დიპლომატური ზეწოლის მიუხედავად, ის პოზიციებს არ თმობს. მეტიც, სამოქალაქო ომის დრო მან სირიაში საპრეზიდენტო არჩევნების ხელახლა ჩატარებაც კი მოახერხა და მანდატი რამდენიმე წლით გაიხანგრძლივა. შედეგად, „არაბული გაზაფხული“ სირიაში სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელიც დღემდე გრძელდება.

ცხადია, ამის მიზეზი სირიაში სხვადასხვა გავლენიანი სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთაა. დასავლეთის რამდენიმეწლიანმა დიპლომატიურმა მანევრებმა ვერაფერი დააკლო ირანისა და რუსეთის განწყობას. პირველი სირიის შიიტი ხელისუფლების სახით მოკავშირეების შენარჩუნებას ცდილობს, ხოლო მეორე – პორტ ტარტუსში მდებარე სამხედრო საზღვაო ბაზისთვის იბრძვის. შედეგად, მილიონობით სირიელი ლტოლვილი წლევანდელ გაზაფხულსაც კარვების ქალაქებში შეხვდა. არეულობა და ქაოსი კი ხელ-ფეხს უხსნის სირიაში მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფების მრავალფეროვან სპექტრს.

„პოლიტიკური ჭადრაკი“

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი რთული ვითარება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ რეგიონში ობამას ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკა წინასაარჩევნოდ „რესპუბლიკელების“ მხრიდან მწვავე კრიტიკის საგანი რომ გახდება, ეს უკვე ნათელია. თუმცა თავად ობამას ოპონენტების პოზიცია ჯერჯერობით ბუნდოვანია. ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი კონგრესი ობამასაგან უფრო ხისტ მოქმედებას ითხოვს. ფაქტია ისიც, რომ „დემოკრატებს“ ახლა ჰაერივით სჭირდებათ ერთი „კარგი სვლა“ მაინც. ეს კი შესაძლოა ირანთან შეთანხმება იყოს, რომლის გაფორმებას საერთაშორისო საზოგადოება რამდენიმე წელია

უშედეგოდ ცდილობს. დასავლეთი თეირანს ბირთვული პროგრამის შეჩერებას სთხოვს და სანქციების მოხსნას სთავაზობს. როგორც შტატებში, ისე ევროპაშიც თეირანთან შეთანხმებას კრიტიკოსები ჰყავს. ევროპელი პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ირანისთვის ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნა სუნიტურ მთავრობებს ექსტრემისტული დაჯგუფებების ხელით შიიტურ ირანთან ბრძოლის საბაბს მისცემს.

თეირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების ფონზე შვეიცარიულ ლოზანში იემენში საუდის არაბეთის სამხედრო ოპერაცია მიუთითებს, რომ ერ-რიადი რეგიონში ირანის პოზიციების გამყარებას ვერ შეეგუება. ამაზე მეტყველებს იემენის საზღვართან მობილიზებული 150 000 ჯარისკაციც. სახმელეთო ოპერაციის დაწყებაზე ჯერ არავინ საუბრობს, თუმცა ისიც ნათელია, რომ საუდის არაბეთის მეფის შვილისთვის, 34 წლის პრინც მოჰამედ ბინ სალმანისათვის, რომელიც თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებს, იემენში მიმდინარე ოპერაცია სახელწოდებით „გადამწყვეტი ქარიშხალი“ შესაძლოა, მართლაც გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ერ-რიადს მხარდაჭერა უკვე გამოუცხადა თურქეთმა და ლოჯისტიკურ დახმარებასაც დაპირდა. პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი კი პოლიტიკურ სკანდალშიც გაეხვა მას შემდეგ, რაც ღიად განაცხადა, რომ რეგიონში ირანის დომინანტობა არ სურს. თავის მხრივ ირანის ინტერესებს იზიარებს რუსეთი, რომელიც ისევე როგორც 2011 წელს, სირიაში კრიზისის დაწყების წინ, ახლაც პოლიტიკური დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს. თუ რითი დასრულდება ეს „დიალოგი“ უკვე გამოჩნდა.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები ამ რეგიონში, „არაბული გაზაფხულის“ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიულ ცვლილებებს იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც წლების განმავლობაში დიქტატორები მართავდნენ, ერთი ხელის მოსმით ვერ მიაღწევ, ხოლო „მართული დიქტატურა“ პრობლემას მხოლოდ დროებით თუ მოხსნის. ძლიერი მმართველის წნეხისაგან გათავისუფლებულ სახელმწიფოებში ძალაუფლებისათვის ბრძოლა უფრო მწვავდება. ამ ბრძოლაში გამარჯვებულისა და დამარცხებულის გარჩევა ხშირ შემთხვევაში ვერც კი ხერხდება. „არაბული გაზაფხულიდან“ „არაბული შემოდგომამდე“ აქ მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა რჩება.

"ფულის გათეთრება - საფრთხე ქვეყნის ეკონომიკისთვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მსოფლიო აქტიურად ებრძვის ფულის გათეთრებას. არალეგალური გზით ნაშოვნი ფულის მასის ზრდა ნებისმიერი ქვეყნისთვის სავალალო შედეგის მომტანია. მას განსაკუთრებული ზიანი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მოაქვს, სადაც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მექანიზმები არასათანადოდ არის განვითარებული. ფულის გათეთრების რისკი, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მაღალია, რაც გამოწვეულია მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილი ნაკლებად არის ინფორმირებული ფულის გათეთრების არსის, მისი მანკიერებებისა და გავრცელებული სქემების შესახებ. აღნიშნულს ემატება უმუშევრობით გამოწვეული მძიმე სოციალური ფონიც, რაც შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ მცირე საფასურის სანაცვლოდ საზოგადოების წევრები უნებლიეთ ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ კრიმინალურ ქმედებებში. ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის დროსაც უკანონოდ, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფული სახეს იცვლის და წარმოჩნდება ისე, თითქოს კანონიერი გზით იყოს ნაშოვნი. ფულის გათეთრება საშუალებას აძლევს კრიმინალებს, გამოიყენონ უკანონოდ ნაშოვნი ფული ისე, რომ არავის გაუჩნდეს ეჭვი ფულის ლეგალურობასთან დაკავშირებით. ფულის გათეთრების რთული პროცესი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. პირველ რიგში ხდება უკანონო ფულის განთავსება ფინანსურ ინსტიტუტში, ან სხვა სახის ორგანიზაციაში. შემდგომ ეტაპზე განთავსებული ფულით ხორციელდება მრავალჯერადი და კომპლექსური ფინანსური ტრანზაქციები. მათი მიზანია, მოხდეს კვალის არევა იმგვარად, რომ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში შეუძლებელი გახდეს ფულის თავდაპირველი წარმოშობის წყაროს დადგენა. ფულის გათეთრების საბოლოო ეტაპზე დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის მფლობელი ახდენს მის ინტეგრაციას კანონიერ საქმიანობაში, რის შემდეგაც ფულის ლეგალურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი აღარ არსებობს.

არალეგალური ფულის წარმოშობის წყაროს წარმოადგენს ისეთი უკანონო ქმედებები, როგორიც არის: ძარცვა, ყაჩაღობა, იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, კორუფცია, გადასახადების დამალვა და სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულები. ფულის გათეთრების პროცესის ხელშეწყობა ან მასში მონაწილეობის მიღება აღნიშნული კრიმინალური ქმედებების ხელშეწყობის ტოლფასია. ფულის გათეთრების პრაქტიკის დამკვიდრებას ქვეყანაში თან სდევს ისეთი ნეგატიური მოვლენების განვითარება, როგორიცაა:

- ორგანიზებული დანაშაულის ზრდა, რაც ქვეყნის მასშტაბით კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას იწვევს;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ზრდის ხარჯზე საგადასახადო შემოსავლების შემცირება, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- კონტრაბანდული საქონლის შემოდინება, რითაც იზღუდება თავისუფალი კონკურენცია და ქვეყნის ისედაც სუსტი ეკონომიკა კიდევ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული კრიმინალურ დაჯგუფებებზე;
- კორუფციის დონის მატება, რასაც საბოლოოდ სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის რღვევა მოჰყვება.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, პროკრედიტ ბანკი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს. ბანკი აწესებს მკაცრ ეთიკურ სტანდარტებს ნებისმიერი სახის საეჭვო ქცევის წინააღმდეგ, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც ბანკის კლიენტებისთვის, ასევე მისი თანამშრომლებისთვის.

ფულის გათეთრების აღმკვეთი ღონისძიებების განსაზღვრისას პროკრედიტ ბანკი ეყრდნობა როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე იმ ნორმებს, რომელსაც ადგენს „გერმანიის აქტი ფულის გათეთრების წინააღმდეგ".

პროკრედიტ ბანკში შექმნილია სპეციალური განყოფილება, რომელიც კოორდინირებას უწევს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს თანამშრომელთა ინტენსიური ტრენინგი, რომლის მიზანია მათი ცნობიერების ამაღლება ფულის გათეთრების რისკის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით. ფულის გათეთრების სქემების და ტიპოლოგიების აღწერის გარდა, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ ნეგატიურ გავლენაზე, რომელსაც ფულის გათეთრება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ახდენს. შედეგად, სემინარში მონაწილე თანამშრომლები უკეთესად აცნობიერებენ საკუთარ როლსა და მნიშვნელობას ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში.

საკანონმდებლო და ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად, ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროკრედიტ ბანკი მიზნად ისახავს კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებას, რაც კლიენტებისა და მათი საქმიანობის საფუძვლიან გაცნობას გულისხმობს. კლიენტებთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე ხდება დეტალური ინფორმაციის მოპოვება მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საქმიანობის სფეროს, ორგანიზაციული სტრუქტურისა და დაკავშირებული მხარეების შესახებ. ნებისმიერი კლიენტის შემთხვევაში ხდება საბოლოო ბენეფიციარი მფლობელის დადგენა, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ აკუმულირებული მოგების რეალურ და საბოლოო მესაკუთრეს. მსგავსი ღონისძიებები ბანკს საშუალებას აძლევს, დროულად აღმოაჩინოს ფულის გათეთრებასთან ან სხვა სახის არალეგალურ საქმიანობასთან დაკავშრებული ქმედებები და მიიღოს სათანადო ზომები.

ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით პროკრედიტ ბანკი არ თანამშრომლობს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც ჩართული არიან ფულის გათეთრების კუთხით მაღალი რისკის მქონე ეკონომიკურ საქმიანობაში, როგორიც არის, მაგალითად, აზარტული თამაშები, იარაღით ვაჭრობა, ონლაინგადახდები და ელექტრონული ფულის მომსახურება.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებით პროკრედიტ ბანკი ცდილობს ხელი შეუშალოს არალეგალურად ნაშოვნი ფულის ინტეგრირებას ეკონომიკაში, რაც საბოლოო ჯამში დადებითად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. ამ კუთხით ბანკს მიაჩნია, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფულის გათეთრების საფრთხეებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეამცირებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკს.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ქვეყანა ინდივიდუალობის დეფისიტით

მიტინგების უწყვეტი ციკლი, „ჯოს!“ – დრომოჭმული, მაგრამ დღემდე აქტუალური ფენომენი, მტრის ხატის ცნების ცვლილება და ბურუსით მოცული ნაცვალსახელი „ჩვენ“; რელიგია და ტრადიცია – არცთუ იშვიათად ძალადობრივი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამამართლებელი არგუმენტი, ბელადის ქართული კულტის ტრანსფორმაცია, მედია, რომელიც „ლაპარაკობს და გადმოსცემს“ და ქალაქი სივრცეების გარეშე, ამ თემებზე „ლიბერალი“ ფილოსოფოს გიორგი მაისურაძეს ესაუბრა.

ინტერვიუ ფილოსოფოს გიორგი მაისურაძესთან

გიორგი ჭეიშვილი

პროტესტი, ხალხის შეკრება, რეგიონებიდან მხარდამჭერების მობილიზება, მოწოდებები, ყვირილი ბოლო ხმაზე და ლაპარაკი საქმის ნაცვლად. როგორია ცხოვრება მიტინგების უწყვეტ ციკლში?

იმ თვალსაზრისით, რომ პოლიტიკოსები დროში არიან გაჩერებული, ძველი, ტრადიციული მიტინგები არ დასრულებულა. ახლაც, „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლო მიტინგზე გამოჩნდა, რომ მეტყველება ისევ „ჯოს!“ - გამოხატვის ოცდახუთი წლის წინანდელი ფორმის ენაზე გრძელდება. ეს არარსებული რეალობაა და პოლიტიკოსები ამ არარსებულ რეალობაში იმყოფებიან.

პრიუდონს აქვს ასეთი გამონათქვამი – „ვინც ახსენებს ღმერთს, ის ტყუის“. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას – ვინც გამუდმებით იმეორებს „საქართველოს გაუმარჯოს“, პირდაპირ გვაფრთხილებს – „არ მენდოთ“. წლებია, რაც არარსებული რეალობის ჩვენება და მისი რეპროდუქცია ხდება.

რაც შეეხება ზოგიერთ პატარ-პატარა აქციას; ეს თავისთავად ძალიან სასარგებლო მოვლენაა, თუმცა ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ სანახაობის ფორმაა, მაგრამ ალბათ საჭირო. ამ აქციებზე

რეალური პრობლემების საჯაროდ გამოტანა ხდება და მათი თვითმიზანი „საქართველოს გაბრწყინება“ არ არის. აქცია, ქუჩაში გამოსვლა – ამას გაგრძელება უნდა მოჰყვეს, ქუჩაში გამოსვლით არ უნდა მთავრდებოდეს. ამ ბოლო დროს არაერთი ასეთი აქცია ვნახეთ. ძალიან კარგია, რომ ადამიანები სახლებიდან გამოდიან და მათთვის მიუღებელ საკითხებს აპროტესტებენ, იქნება ეს ძალადობის თემა, სოციალური ჩაგვრა, მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხი და ა.შ. მაგრამ ამას სხვა ქმედებებიც უნდა მოჰყვეს, რადგან აქცია მხოლოდ ერთ-ერთი გამოხატულებაა, როდესაც ადამიანები საზოგადოებას მიმართავენ, მის მხარდაჭერას ითხოვენ და ცდილობენ ყურადღება რომელიმე აქტუალურ, მწვავე პრობლემაზე გაამახვილებინონ.

მტრის ხატის ფენომენის ცვლილება და „ჩვენ“, ნაცვალსახელი, რომელზეც საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს სურთ მონოპოლიის მოპოვება...

დღეისთვის მტრის ხატის მნიშვნელობა ფაქტობრივად განტევების ვაცის ცნებამ ჩაანაცვლა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება გადაბრალების პოლიტიკას იყენებს. ვთქვათ, მთავრობა უსუსურია და ვერ ახერხებს კონკრეტულ პრობლემას გაართვას თავი. ვისი ბრალია? – ნაციონალების. ვიღაცას კლავენ ან სცემენ. ვისი ბრალია? – ნაციონალების. განტევების ვაციც აღარ გამოდის, გადაბრალების ობიექტი უფროა. ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დღესდღეობით არსებობს, ხელისუფლებისთვის ეს ნამდვილი საჩუქარია – არსებობს პარტია, რომელსაც შეიძლება ყველაფერი დაბრალდეს, მათ შორის ისიც, რაც ალოგიკურია „სხვას“ გადააბრალო.

რაც შეეხება „ჩვენ“-ს, აქაც თითქმის იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ ჩემი პრობლემები სხვას უნდა გადავაბრალო, ვეძებო განტევების ვაცი, „ისინი“, ვინც ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიდუხჭირეში, ჩემს ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და ოჯახურ კონფლიქტებში არიან დამნაშავე.

შეიძლება მარტივად ჟღერს, მაგრამ ამას ღრმა, ფსიქოლოგიური საფუძვლები აქვს. ვფიქრობ, ეს თემა მეტ-ნაკლებად დროებითი იყო. უნდა გამოჩენილიყო ვიღაც ისეთი, ვინც იდეალურად მოერგებოდა ამ დამნაშავის, თუ მტრული ძალის ხატს. ამ შემთხვევაში ჰომოსექსუალობა იდეალური ვარიანტი იყო, თანაც იმ ფონზე, რომ საქართველოში არ არსებულა პოლიტიკური ძალა, ვისაც ამ თემაზე რაციონალური მსჯელობა შეეძლებოდა. ეს თემა ყველაში იწვევდა ემოციებს: „როგორ შეიძლება!“, „ჩვენს ტრადიციებში არ ჯდება!“ და ა.შ.

„ქართველები მხოლოდ მართლმადიდებლები არიან!“ – ფრაზა, რომელიც საკმაოდ ხშირად ისმის, როგორც აქსიომა; რელიგია და ტრადიცია, რომელიც არცთუ იშვიათად, ძალადობრივი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამამართლებელ არგუმენტად გამოიყენება.

ნაციონალიზმისა და რელიგიის ნაზავით საქართველოში ახალი ჰიბრიდი გამოიგონეს. ჰიბრიდი, რომელიც საკმაოდ საეჭვოა თავისი რელიგიური შინაარსითაც. ის, რასაც ზოგადად ეკლესია ხალხის შთაგონებითა და, შეიძლება ითქვას, ტელეპატიური ზემოქმედებით ახდენს, იდენტობის პოლიტიკაა. რასაც დღეს „მართლმადიდებლობას“ უწოდებენ და ქართველობასთან აიგივებენ, ამ 15-20 წლის გამონაგონია და „მრავალსაუკუნოვან“ ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს.

რამდენადაც საბჭოთა წარსული და ბავშვობა მახსოვს, ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს საბჭოთა ადამიანებს. ვინ იყვნენ ის ადამიანები 25 წლის წინ, ვინც დღეს მართლმადიდებლობის სახელით ძალადობენ? ისინი ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები იყვნენ და მექანიკურად გაიძახოდნენ იმ უაზრო ლოზუნგებს, რასაც საბჭოთა ხელისუფლება სთავაზობდა. ზუსტად ასევე დაუნდობლად შეეძლოთ ადამიანების შუაზე გაგლეჯა, თუკი ვინმე გაბედავდა და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ამოიღებდა ხმას, ან უბრალოდ რაიმე ანტისაბჭოთა მოსაზრებას გამოთქვამდა. სწორედ ეს ადამიანები და მათი წინაპრები იყვნენ ის ხალხი, სამშობლოს – საბჭოთა კავშირის მტრებს რომ ებრძოდნენ და ანადგურებდნენ. მათი მოწყობილია 1937 წელი და მგონია, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით, თუ სახელების შეცვლით არაფერი იცვლება.

რაც შეეხება ტრადიციას, ამ ფენომენთან დაკავშირებით ჩემთვის ყველაზე მეტად რელევანტური თეორია ბრიტანელ ისტორიკოსს, ერიკ ჰობსბაუმს ეკუთვნის – „ტრადიცია არის ის, რისი გამოგონებაც ხდება დღეს“. ტრადიციაზე საუბრისას, ის ტრადიცია, რასაც გულისხმობენ, იმ მომენტში იქმნება. რეალურად მას არანაირი ხანგრძლივი და ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

ნაციონალიზმისა და რელიგიის ნაზავით საქართველოში ახალი ჰიბრიდი გამოიგონეს. ჰიბრიდი, რომელიც საკმაოდ საეჭვოა თავისი რელიგიური შინაარსითაც. ის, რასაც ზოგადად ეკლესია ხალხის შთაგონებითა და, შეიძლება ითქვას, ტელეპატიური ზემოქმედებით ახდენს, იდენტობის პოლიტიკაა. რასაც დღეს „მართლმადიდებლობას“ უწოდებენ და ქართველობასთან აიგივებენ, ამ 15-20 წლის გამონაგონია და „მრავალსაუკუნოვან“ ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს.

ის, რასაც მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი, ყველაზე აქტიურად კი გაზეთი „ასავალ-დასავალი“ აკეთებს, საბჭოთა პერიოდის დიდ, ცისტერნიან მანქანებს, „Говновоз“-ებს მახსენებს – ტუმბავენ ექსკრემენტებს, სადაც პოულობენ და ამას ადამიანებს აწვდიან. ეს კოლექტიური კოპროფაგია, როგორც ჩანს, დღეისათვის ყველაზე მასშტაბური, მასობრივი პერვერსია საქართველოში – სიამოვნების მიღება ექსკრემენტებით.

ასე მოიგონეს მართლმადიდებლობის დღევანდელი ფორმა სრულიად გაუგებარი ნიშნებით. ეს არის იდენტობის პოლიტიკა, რომლის უკანაც ძალაუფლების მექანიზმები დგას. ეს ძალაუფლება ყოველთვის ანონიმურია, ის არ იგივდება არცერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან. ეს არის ძალაუფლება, რომელიც თავისი ანონიმური საწყისით ძალადობს საკუთარ მოქალაქეებზე, მანიპულირებს ადამიანებით და მათ საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, მიზნებისთვის, რომლებიც საკმაოდ ბუნდოვანი და აბსტრაქტულია.

ამაში მათ ის პოლიტიკური ძალები უწყობენ ხელს, რომელთაც არანაირი პოლიტიკური ნება, იდეა, მიზანი, სტრატეგია არ გააჩნიათ. საქმე გვაქვს არაოფიციალურ შეთანხმებასთან. პოლიტიკოსებიც ზუსტად ამავე მიზნებით არიან ხელისუფლებაში, რომ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნონ და მართონ – მაქსიმალურად დიდხანს ეკავოთ მმართველობითი პოზიცია.

ბელადის კულტი საქართველოში და მისი ტრანსფორმაცია...

ბელადის ცნებამ მატერიალისტური სახე მიიღო. გამსახურდია – აღიქმებოდა მესიად, რომელსაც ბოროტი ძალისგან უნდა ვეხსენით; შევარდნაძე – რომელსაც ევროპული განვითარების გზაზე უნდა დავეყენებინეთ და მის ნაწილად ვექციეთ, მაშინ, როდესაც კაცმა არ იცოდა, რა იყო ეს ევროპა; სააკაშვილი – რომლის დროსაც გამომჟღავნდა რა იყო ევროპა, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ უტილიტარისტული კუთხით, ისე, როგორც მას აღიქვამდა და დღესაც აღიქვამს „ნაციონალური მოძრაობა“ – მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლოდ. ფაქტობრივად მთელი ძალების კონცენტრირება ხდებოდა იმაზე, რომ „დასავლეთი გვინდა“, რადგან ხალხი იქ კარგად ცხოვრობს. ის, რომ ამ კარგ ცხოვრებას სხვა ფაქტორებიც ახლავს თან, „ამოჭრილი“ იყო.

რაც შეეხება ივანიშვილს, რითი ამოიცნობა ის გარდა ფულისა? ვფიქრობ საინტერესოა თანამედროვე კაპიტალიზმის ტენდენცია, როცა ფულის დაგროვება მის მფლობელს საკრალურ პიროვნებად აქცევს. საკრალურობა თავისი არსით ნიშნავს, რომ არ არის უტილიტარული, ვერ მოიხმარ, ვერ გამოიყენებ. როდესაც ადამიანი რამდენიმე მილიარდის ქონებას ფლობს, ის არ ექვემდებარება ხარჯვასა და მოხმარებას. ბერძნული მითოლოგიიდან ეს შეგვიძლია შევადაროთ მეფე მიდასის მითს, რომელიც რასაც ხელით შეეხებოდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა. საბოლოოდ ეს ადამიანი შიმშილით კვდება, იმიტომ, რომ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი არ შეუძლია.

თანამედროვე სამყაროს მილიარდელებიც ასეთ ფიგურებად იქცნენ. მათთვის გამოსავლად რჩება ის, რომ თანხა რაღაც ტიპის ქველმოქმედებას მოახმარონ, რაც გარკვეულწილად ზეადამიანობის აურას ქმნის. დიდი ფულის ქონა ქართველებს მათ გონებრივ შესაძლებლობებში აჯერებს. შესაბამისად, რადგან ფული აქვთ, ფიქრობენ, რომ საბოლოო სიტყვაც მათ ეთქმით, პოეტებიც არიან, ფილოსოფოსებიც, თეოლოგებიც და უნდა გვასწავლონ. წარმოუდგენიათ, რომ ამ ყველაფრის ყიდვა შეიძლება და საქმეც ის არის, რომ გასდით კიდეც. ხალხი მათ ზეადამიანებად აღიქვამს. თუმცა საბოლოო ჯამში, მოლოდინი, რომ ეს ზეადამიანი მე რაღაცას მინილადებს, საკმაოდ მალე, დიდი გაწბილებით სრულდება და ამ ხალხს ზეადამიანების წინააღმდეგ მიმართავს.

რთულია მათი მოღვაწეობის დასასრულის წარმოდგენა, მაგრამ არ მგონია ბატონობის პერიოდი მათთვის მაინცდამაინც კომფორტულად სრულდებოდეს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხალხის აღქმა არ შეცვლილა. საზოგადოება კვლავ ელის ზეადამიანს და პრობლემები აქვს, ვერ აღიქვამს ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ამ ზეადამიანური შესაძლებლობების ინსცენირებას არ ახდენს. მაგალითად, საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც შეიძლება წინდებს ქსოვდეს, გაურემონტებელ ბინაში ცხოვრობდეს და არ სარგებლობდეს ამ ინსცენირებებით. ის საზოგადოებისთვის ნაკლებად აღქმადია. ისევ და ისევ ენატრებათ ბრწყინვალება, ძალაუფლების სპექტაკლი, რასაც ისინი წინა მმართველებმა მიაჩვიეს.

„ყურადღება, ყურადღება, ლაპარაკობს და გადმოსცემს...“ რას ლაპარაკობს, წერს და გადმოსცემს მედია?

ტელევიზიაც და პრესაც აყალიბებს სტერეოტიპებს, რომელსაც მოსახლეობა ისე იღებს, როგორც ჭეშმარიტებას. ხშირ შემთხვევაში სწორედ მედიას ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის ყველაზე მდარე ხარისხის ემოციების ამოძრავების გამო. ფრაგმენტების დონეზე მინახავს ზოგიერთი ტელეშოუ...

ადამიანები იმ სიბინძურითა და ტყუილით იკვებებიან, რასაც მათ აწვდიან და თან, არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით.

ის, რასაც მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი, ყველაზე აქტიურად კი გაზეთი „ასავალ-დასავალი" აკეთებს, საბჭოთა პერიოდის დიდ, ცისტერნინან მანქანებს, „Говновоз"-ებს მახსენებს – ტუმბავენ ექსკრემენტებს, სადაც პოულობენ და ამას ადამიანებს აწვდიან. ეს კოლექტიური კოპროფაგია, როგორც ჩანს, დღეისათვის ყველაზე მასშტაბური, მასობრივი პერვერსია საქართველოში – სიამოვნების მიღება ექსკრემენტებით. ამ ყველაფრის ფონზე, ყველაზე წარმატებული ის მედიასაშუალებაა, რომელიც ყველაზე მეტ ექსკრემენტს აწვდის აუდიტორიას, აუდიტორიას, რომელმაც არ იცის, რომ სხვა გემოც არსებობს. ხალხს ის სიამოვნებს, რაც უფრო ხშირად მოატყუებ, რაც უფრო მეტ სიბინძურეს ეტყვი, და ფაქტობრივად, თაობების გემოვნება ამ გემოზე ჩამოყალიბდა.

თავისთავად საინტერესონი არიან ის ადამიანებიც, ვინც ამ ყველაფერს იგონებს. ფსიქოლოგიური კუთხით თუ შევხედავთ, ნებისმიერი ფანტაზია განხორციელებულ, რეალიზებულ სურვილს გულისხმობს. ანუ იმ სურვილს, რომელიც ვერ ხორციელდება რეალობაში, რეალიზდება ფანტაზიაში და ეს ფანტაზია გამოხატვის სხვადასხვა ფორმას იძენს. რა დონის მანიაკალური მიდრეკილებები უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რომლებიც ამას თხზავენ?!

პოლიტკორექტულობა, ნეგატიური და პოზიტიური დისკრიმინაცია...

სიტყვებით თამაშში გავერთეთ და შინაარსზე არ დავფიქრებულვართ. როგორი პოლიტკორექტული ფორმაც არ უნდა მოვიფიქროთ, რეალურად მაინც გრძელდება მოწყვლადი ჯგუფების ნეგატიური თუ პოზიტიური დისკრიმინაცია. პოლიტკორექტულობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც ტერმინის გამოყენებამდე მისი გაცნობიერება ხდება.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ფაშისტურად გავიზარდეთ. „ევგეკინა" – ფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, ცრუ, ფსევდომეცნიერება, რომელიც გვიმტკიცებდა, რომ სილამაზე ნორმატივებითაა დადგენილი, ჩვენთან დღესაც აქტუალურია. საზოგადოებას ჩანერგილი აქვს, რომ „ეს" სწორია, „ის" არასწორი.

ფუნდამენტურია ინდივიდუალური ხედვის არსებობის აუცილებლობის საკითხი. ის, რომ შესაძლოა უმრავლესობისთვის რაღაც არ იყოს ლამაზი, მაგრამ მე მომწონდეს და ამის უფლება უმრავლესობისგან ლეგიტიმაციის მიღების გარეშეც მქონდეს. ქვეყანაში ინდივიდუალობის დეფიციტია. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომ ვერ ხდება იმ შინაარსის გაცნობიერება, რაც ამა თუ იმ სიტყვის უკან დგას.

ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობთ, ქალაქი სივრცეების გარეშე და მისი არქიტექტურა...

თბილისი უკვე აღარ ჰგავს ქალაქს. შეგვიძლია შევადაროთ შავ ხვრელს, სადაც ყველაფერი ცენტრშია კონცენტრირებული. ამ საცხოვრებელ ბუნაგში არ არსებობს არანაირი სივრცე, სადაც სახლიდან გამოსული მომენტალურად ამჩნევ პათოლოგიურად დიდ მანქანებს. ეს იმ ადამიანების ფსიქიკის ლუსტრაციაა, ვინც ამ მექანიზებური, მოსიარულე ამორალიზმით გადაადგილდება.

თბილისი ამ ამორალურობის განსაკუთრებული არენაა. არენა, სადაც ადამიანები არ განიცდიან არანაირ სინდისის ქენჯნას, როდესაც ფეხით მოსიარულეთა სივრცე აქვთ დაპყრობილი. ბერლინში ვინმემ ავტომობილის ტროტუარზე დაყენება რომ გაბედოს, გამოჩნდებიან ახალგაზრდები, რომლებიც მფლობელს იმ დღესვე გადაუწვავენ მანქანას. არ ვამბობ, რომ ასე უნდა ვიქცეოდეთ, მაგრამ ვიღაცას მაინც ხომ უნდა გაუჩნდეს სურვილი, რომ მძღოლებს ავტომობილების ტროტუარიდან "ჩამოსვლა" აიძულოს?!

სრული განუკითხაობაა არქიტექტურის კუთხით და სამწუხაროა, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლება იმ ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც გარდა იმისა, რომ არანაირი ესთეტიკური გრძნობა და მორალური ზღუდეები არ გააჩნიათ, (შეიძლება სასაცილოც იყოს) საერთოდ არ აინტერესებთ არც ქვეყანა და არც ქალაქი. ქალაქს არ ჰყავს მთავრობა. ის მთავრობა, რომელიც ცალკე არსებობს, თავს იჯილდოვებს და პრემიებს იწერს. საერთო ჯამში, ინერტული და უსუსურია საზოგადოებაც, რომლის პროტესტის გრძნობაც ვიწრო, სალონურ საუბრებს არ სცდება. ამ არაკომფორტულ, არაჯანსაღ სიმახინჯეში ცხოვრება კი დღითიდღე გაუსაძლისი ხდება და მძაფრდება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ქართველებს ესთეტიკური გრძნობის ორგანო ამოკვეთილი აქვთ.

ფუნდამენტურია ინდივიდუალური ხედვის არსებობის აუცილებლობის საკითხი. ის, რომ შესაძლოა უმრავლესობისთვის რაღაც არ იყოს ლამაზი, მაგრამ მე მომწონდეს და ამის უფლება უმრავლესობისგან ლეგიტიმაციის მიღების გარეშეც მქონდეს. ქვეყანაში ინდივიდუალობის დეფიციტია. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომ ვერ ხდება იმ შინაარსის გაცნობიერება, რაც ამა თუ იმ სიტყვის უკან დგას.

სიმართლის უფლება და მედია - საბოტაჟი

„პრესა მეოთხე ხელისუფლებას წარმოადგენს
საფრანგეთში, რომელიც უტევს ყველას, თუმცა მას
არასდროს არავინ უტევს“.
ონორე დე ბალზაკი, 1840წ.

„მე, მოსახლეობის წუხილს გეუბნებით, რომ ყველა
რეგიონში, სადაც ჩავდივარ, მოსახლეობა მეუბნება,
გააჩუმეთ ეს ტელევიზიებიო“.
ირაკლი ღარიბაშვილი, 2015წ.



პაატა ქურდაძე

სავარაუდოდ, ქართველ ჟურნალისტთა ძალიან დიდ ნაწილს, საკუთარი პროფესიის პირველ სამ კონსტიტუციურ ხელისუფლებასთან (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, იუსტიცია) ალუზია პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ძალაუფლებისათვის დამახასიათებელ კარიკატურულ მორჩილებასა და ხელშეუხებლობის უფლებაზე აქვთ პრეტენზია. ვერც გაამტყუნებ – ისინი ხედავენ საზოგადოების, განსაკუთრებით მათ რესპოდენტთა ინტელექტუალურ სიმხდალეს და ცდილობენ თავიანთი შანსი – მოპოვებული პატარა მორალური ძალაუფლების დროის რაც შეიძლება ხანგრძლივ მონაკვეთში შენარჩუნებისა – ხელიდან არ გაუშვან.

მათ უმეტესობას სრულიად არ ახსოვს, რომ ჟურნალისტიკა პირველ რიგში თავის თავში ინფორმაციის ადრესატამდე უცვლელი სახით მიტანას გულისხმობს და არა მისი უკვე ინტერპრეტირებული ვერსიის კიდევ ერთ სუბიექტურ ინტერპრეტაციას.

ამ უკანასკნელს, ჩვენში მედიდურ და ძალიან სერიოზულ სიტყვას – ანალიზს უწოდებენ, დასავლურ პრესაში კი ედიტორიალს ეძახიან. მას ბეჭდურ მედიაში სპეციალური კოლონა, ან გვერდი ეთმობა, რომელსაც საზოგადოების მიერ აღიარებულ გამორჩეულ ჟურნალისტებსა და კალმის ოსტატებს უთმობენ.

ყველაფერი ძალიან მარტივია – მომხდარის შესახებ ინფორმაცია საბაზისო მოცემულობაა, რომელიც იმისთვის უნდა გაგაჩნდეს, რომ მისი ანალიზი შეძლო. ქართული მედიის ყველაზე დიდი თავისებურება სწორედ ეს არის – მოვლენის შესახებ არა - რეალურ, არამედ ინტერპრეტირებულ ინფორმაციათა ნაზავის ანალიზის მცდელობა. უფრო სწორად მისი იმიტაცია, რომელიც ყოველთვის დიდი ან პატარა კონფლიქტით მთავრდება.

ბრძოლა ინტერპრეტაციათა რეალობად გასაღებისთვის ქართული მედიის ალფა და ომეგაა, რომელსაც, ზოგადად, არ შეიძლება რაიმე საერთო გააჩნდეს ჟურნალიზმის დეონტოლოგიასთან.

ალბათ გაგიჭირდებათ დაასახელოთ ერთი რომელიმე ქართული მედიასაშუალება – სატელევიზიო არხი, რადიო, ბეჭდური ან ინტერნეტმედია... რომლის რეპუტაცია საშუალებას იძლევა მას უსიტყვოდ, იმდენად ენდოთ, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია, რომ ადამიანი ენდოს მედიას. ჩემი მახსოვრობის საწიერში მსგავსი მედიასაშუალება არც არასდროს ყოფილა... და ეს ძალიან, ძალიან ცუდია ზოგადად სახელმწიფოსთვის. კითხვა ინფორმაციის სანდოობის შესახებ ისევე არ უნდა ისმებოდეს, როგორც კითხვა არჩევნების დროს ხმების გაყალბების შესახებ.

მარტივი მაგალითისთვის ფრანგული პრესის ორი გაზეთის მოტანა შეიძლება – მემარჯვენე „ფიგარო“ და მემარცხენე „ლიბერასიონი“. ამ ორ ყოველდღიურ გამოცემას თავისი ტრადიციული მკითხველი ჰყავს: „ფიგაროს“ მკითხველი არასდროს იყიდის „ლიბერასიონს“ და პირიქით. მაგრამ თუკი მას შემთხვევით თვითმფრინავში ან ექიმის მოსაცდელში წააწყდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიტანს ეჭვს მისთვის არასასურველ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის ნამდვილობაში, რადგან ინფორმაციის სანდოობა არის ერთადერთი, რაც გამოცემის რეპუტაციას ქმნის, რომლის გარეშე ნებისმიერი გამოცემა გაკოტრდება. ზემოთ ხსენებული ედიტორიალი კი, რომელსაც შეიძლება ან დაეთანხმო, ან არა, მხოლოდ ნუგბარია ნამცხვარზე, რომელსაც ადამიანი თავისი გემოვნებით ირჩევს და მას სუბიექტური გამოხატვის თავისუფლება ჰქვია.

არაანგაჟირებული, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი მედიასაშუალება საქართველოში თითქმის არ არსებობს, ან თუ არსებობს, მისი გავლენა, სამწუხაროდ, მიზერულია. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ვკითხულობთ, ან ვისმენთ სრულიად შესაძლებელია ტყუილი, ფეიკი, „მოდელირებული ქრონიკა“, ან სულ ცოტა – რომელიმე პოლიტიკური გემოვნების ჯგუფის ინტერპრეტაცია აღმოჩნდეს... იმისათვის, რომ სიმართლე შეიტყო, რამდენიმე წყაროს გადამოწმება და წაკითხულიდან საშუალო არითმეტიკული სიმართლის გამოყვანაა საჭირო... ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ადმიანებმა მხოლოდ ვარაუდით თუ იციან, რა ხდება მათ თავს – საკუთარ ქვეყანაში, ქალაქში... დანარჩენ მსოფლიოზე და საერთაშორისო კონტექსტზე კი კიდევ უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

ჟურნალიზმის შეფასების კრიტერიუმი საქართველოში ერთადერთი და სრულიად ღირსშესანიშნავია – თავისუფლების ხარისხი!..

მედიის თავისუფლება თავისთავად, რა თქმა უნდა, დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენია და ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტოტალიტარული პროპაგანდის ტრადიციებში ჩამოყალიბებული მედიისთვისაა. ოღონდ პრობლემა ის გახლავთ, რომ მედიის თავისუფლების ხარისხი საქართველოში აბსოლუტურად უკუპროპორციულია ინფორმაციის ნდობის, ღირსების ხარისხისა – დიახ, ჩვენ მართლაც გვაქვს თავისუფალი მედია, მხოლოდ თავისუფალი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და ამ ფსევდოთავისუფლების მსხვერპლი პირველ რიგში საქართველოს მოსახლეობაა. შემდეგ კი თავად ჟურნალისტის პროფესია, რომელმაც თავისუფლების არც ფასი იცის და არც გამოყენება, ამიტომ მის ხელში ეს ყბადაღებული „მეოთხე ძალაუფლება“ იგივეა, რაც გაბრაზებული ბავშვის ხელში გადატენილი კალაშნიკოვი.

უნდა ითქვას – მედიის თავისუფლების მახინჯი ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებას, დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო რეიტინგებმა, რომელშიც საქართველო უკვე კარგა ხანია ინარჩუნებს რეგიონალური ლიდერის პოზიციას... მაგრამ რა ასახვას ჰპოვებს ეს მედიის ხარისხზე? ვითარდება თუ არა რეალურად ქართული ჟურნალისტიკა, საეჭვოა.

ქართული მედიაბესტსელერები იგივე დარჩა, რაც თხუთმეტი წლის წინ – ისტერიული „რეაქცია“ თავისი შვილობილი „იმედის კვირით“ და ბრეჟნევივით უალტერნატივო „არჩევანი“ – რომლებიც მხოლოდ სახელებს და დეკორს იცვლიან დროდადრო. ტრაგიკულობამდე უნიჭო იუმორისტული შოუები... ერთი და იგივე ფორმატი. ტელევარსკვლავები, რომლებსაც უკვე წლებია ერთი საათიც არ უმუშავიათ საკუთარ თავზე, მეტიც, ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ეს შესაძლოა სჭირდებოდეთ... არავითარი ცვლილება, არავითარი ნიშანი სულ მცირე პროგრესისა, ძვრისა თუნდაც საკუთარ თავში... ყველა დანარჩენი მედიასაშუალება ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამწუხაროდ, სწორებას სწორედ ამ უბადრუკ ტელეელიტაზე აკეთებს: დიდი და პატარა, ნაციონალური თუ რეგიონალური არხები, რადიო, პრესა. ეს არის თავისუფლება ნიავის გარეშე. რომელსაც სასარგებლო

„ფიგაროს“ მკითხველი არასდროს იყიდის „ლიბერასიონს“ და პირიქით. მაგრამ თუკი მას შემთხვევით თვითმფრინავში ან ექიმის მოსაცდელში წააწყდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიტანს ეჭვს მისთვის არასასურველ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის ნამდვილობაში, რადგან ინფორმაციის სანდოობა არის ერთადერთი, რაც გამოცემის რეპუტაციას ქმნის, რომლის გარეშე ნებისმიერი გამოცემა გაკოტრდება.

არავისთვის არაფერი მოაქვს, ზიანი კი რამდენიც გნებავთ.

სწორედ ამ მახინჯი თავისუფლებით სარგებლობს საყოველთაო კრიტიკისა და ქართველი ინტელექტუალი მკითხველისგან ერთგვარი მარგინალიზაციის „მსხვერპლი“ – „ასავალ-დასავალი“, რომელიც წერს და აქვეყნებს ყველაფერს, რაც და ვისზეც მოეპრიანება. კაცმა რომ თქვას, ვერც გაამტყუნებ, როგორც იტყვიან, რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია.

უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლების ხარისხით „ასავალ-დასავალი“ ქართული მედიის ნამდვილი ფლაგმანია. არანაირი კომპლექსები არ გააჩნია. მისი კრეატიულობის ხარისხს თუ არ შევეხებით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ქართული „შარლი ებდოა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბრალო „შარლის“ გამუდმებით აჯარიმებენ, „ასავალ-დასავალს“ კი, როგორც ცნობილია, ყველაზე მაღალი რეიტინგი და სრული კარტბლანში აქვს ზემოთ ხსენებული ტოკშოუებისგან ინფარქტამდე მისული ჩვენი დაქანცული, საბრალო, მარტოხელა გულებისკენ.

ეს გრძელსახელიანი, მერცხალივით თავისუფალი გამოცემა ნამდვილ ფენომენად, ერთგვარ წარმატების რეფერანსად იქცა ქართული მედიის იმ მოკრძალებული ნაწილისთვის, როგორიცაა, მაგალითად, უამრავი ცრუპენტელა ინტერნეტგამოცემა. მათ იციან, რომ წარმატება აქვე, სულ ერთი ხელის გაწვდენაზეა, მხოლოდ სინდისის ბოლო ძაფი გაკავებს რომ მისწვდე... მისი გადაჭრა კი რა პრობლემაა! ამიტომ ისინი არც ძალღონეს იშურებენ, არც სისასტიკის აქლემივით გადანახულ ულევ რეზერვს, რომ როგორმე პატარა ჰაერის ბუშტებივით ამოაღწიონ რეიტინგის თავისუფალ ჭაობში, გასკდნენ და სულ ცოტა ხნით პატარა, მყრალი სუნი დატოვონ საკუთარი არსებობის დასტურად.

ფაქტია, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში ქართულმა მედიამ ხარისხის გაუმჯობესება ვერ შეძლო, რაც კურიოზულად ეწინააღმდეგება ლიბერალიზმის თითქოსდა ათასჯერ გადამოწმებულ პრინციპებს. კონკურენცია შედგა მხოლოდ ზემოთ ხსენებულ ფორმატში და ის უკვე წლებია გრძელდება. ხოლო გოგი გვახარიას „წითელი ზონა“ ისევე უალტერნატივო ხმად მღაღადებლისა „ტელეჯოჯოხეთსა“ შინა

დარჩა, როგორც თხუთმეტი წლის წინ, „ფსიქოს“ ეპოქაში. ვერც უკეთესი და ვერც უარესი ქართულ ტელესივრცეში ვერავინ გააკეთა.

ქართული მედიის კრიტიკისას ჟურნალისტთა პროფესიონალიზმი მთავარ მიზეზად სახელდება ხოლმე. ძნელია არ დაეთანხმო. თუმცა ალბათ შესათანხმებელია – რას ვგულისხმობთ ამ სიტყვის უკან? თუკი სერტიფიცირებულ პროფესიონალიზმზე ვსაუბრობთ, ქვეყანაში, სადაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არსებობს, ვიწრო პროფესიული დიპლომი სრულიად არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ჟურნალისტის პროფესიით იმუშაო.

გაცილებით მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება, კულტურა და, რაც მთავარია, სიმართლის, ღირსების ფასი, რომელსაც ვერავითარი დიპლომი ვერ შეცვლის. ქართველ ჟურნალისტთა უმეტესი ნაწილი კი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ ტოვებს განათლებული, კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას.

დიდი ხანია შევეჩვიეთ, რომ რეპორტაჟებს ყველაზე სერიოზულ თემებზე აკეთებენ სრულიად გამოუცდელი, სულ ახლახან დიპლომირებული ჟურნალისტები, რომლებსაც მოცემული თემის გასაშუქებლად სითამამის გარდა, ფაქტობრივად არავითარი სხვა ინსტრუმენტი არ გააჩნიათ. ისინი ხშირად ისე მოდიან და მიდიან პროფესიიდან, რომ გამოცდილების დაგროვებას ვერც ასწრებენ. ქართული ჟურნალისტიკა არის იშვიათი და სამწუხარო გამონაკლისი, რომელშიც არ არსებობს „დიდი რეპორტიორის“ ცნება, რადგან ჟურნალისტი, რომელიც ასე თუ ისე რაიმე წარმატებას აღწევს, ხშირად ან პოლიტიკაში გარბის, ან ბიზნესში, უარეს შემთხვევაში შიდასარედაქციო ვარსკვლავი ხდება და მიკროფონით ქუჩაში გასვლას არ კადრულობს. პერმანენტული ცვლა ბავშვურად მოტიტინე რეპორტიორთა სახეებისა და გვარებისა, რომელთა დამახსოვრებასაც ვერ ახერხებ, ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია იმ უნდობლობისა და ერთგვარი ნიჰილისტური ირონიისა, რაც ქართულ საზოგადოებას ჟურნალისტებისა და ზოგადად მედიის მიმართ გააჩნია.

რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ იქნება სამართლიანი ქართული მედიის მთელი პრობლემების

დიახ, ჩვენ მართლაც გვაქვს თავისუფალი მედია, მხოლოდ თავისუფალი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და ამ ფსევდოთავისუფლების მსხვერპლი, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობაა. შემდეგ კი თავად ჟურნალისტის პროფესია, რომელმაც თავისუფლების არც ფასი იცის და არც გამოყენება, ამიტომ მის ხელში ეს ყბადაღებული “მეოთხე ძალაუფლება” იგივეა, რაც გაბრაზებული ბავშვის ხელში გადატენილი კალაშნიკოვი.

ჟურნალისტებისთვის გადაბრალება, თითის მხოლოდ მათი მიმართულებით გაშვერა. ჟურნალისტების ძირითადი არმია მხოლოდ ჯარისკაცია, რომელიც იბრძვის ისე, როგორც მას მედეასაშუალებების მფლობელები და მენეჯერები ავალებენ. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი მედიის იმ დაბალ ხარისხზე, რომელიც რეალურად გაგვაჩნია.

სწორი კონცეფციისა და მენეჯმენტის პირობებში ქართველ ჟურნალისტებს არავისზე ნაკლებად არ შეუძლიათ იმ სტანდარტით მუშაობა, რომელიც მათ რეგიონალური თავისუფლების ხარისხით კი არა, პროფესიული ხარისხით შეფასების საშუალებას მოგვცემდა... მით უმეტეს – პროფესიული ღირსება თავისთავად მოიცავს თავისუფლების სრულიად საკმარის და გონივრულ ხარისხს.

მედიაპოლიტიკის, თუ გნებავთ კონცეფციის შექმნაც კი, აბსოლუტურად ყველა დონეზე, ყველა საფეხურზე საჭირო და მნიშვნელოვანია. აუცილებელია კანონმდებლობის დონეზე სიცრუის ტირაჟირებისათვის, უსაფუძვლო ბრალდებისა და ცილისწამებისთვის, რომ დაზარალებულ მხარეს საშუალება ჰქონდეს რეალური და მნიშვნელოვანი კონპენსაცია მოითხოვოს და არ დაკმაყოფილდეს ცილისმწამებლის მსუბუქი გაკიცხვით მოსამართლის, ან მედიამონიტორის მიერ. სერიოზული ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, რედაქცია თავად გამოიყვანს სიცრუის ფასს, დაითვლის შემოსავალსა და გასავალს, დაფიქრდება უღირს თუ არა სხვისი რეპუტაციის, ნერვებისა და ჯანმრთელობის ხარჯზე საკუთარი რეიტინგის მრიცხველის ტრიალი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მედიის თავისუფლება დამთავრდება, სადაც ჩვენი ნერვული სისტემა და ღირსება იწყება“, შეიძლება ვისაუბროთ მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ქაოსური თავისუფლების ორგანიზების სურვილი სულაც არ ნიშნავს რეპრესიებისა და ცენზურის მოთხოვნას. სწორი კანონმდებლობა მხოლოდ მოცემულობა, საძირკველია, რომ მასზე არა პოტიომკინის სოფლის მსგავსი, არამედ მართლაც სოლიდური, გამძლე მედია აშენდეს; სადაც ყველაფერს თავისი განსაზღვრული ადგილი ექნება; სადაც ინფორმაცია არ აღიქმება მხოლოდ შიდა პოლიტიკური მანიპულაციებისა და ინტრიგების

ყოველდღიურ სერიალად, რადგან ინფორმაცია არის თანაბრად ყველა კატეგორიის ახალი ამბავი თუ ხედვა და არა რომელიმე პრივილეგირებული სფერო.

ჩვენ ხშირად ირონიით ვუყურებთ ჩვენს შორეულ წინაპრებს: მიუხედავად იმისა, რომ ზღვის პირად ცხოვრობდნენ, ნავიც კი არ გააკეთეს, რომ სხვა ქვეყნების სანახავად გაეცურათ... რაიმე ახალი ენახათ.

მედია სწორედ ის ნავია, რომელიც ბოლოსდაბოლოს მოვიპოვეთ. მხოლოდ საიმედოდ მივაბით ცხრა კლიტით ნაპირზე ჩარჭობილ – ჩაბეტონებულ ბოძს და დღესაც არსად მივცურავთ. გვაინტერესებს მხოლოდ შიდა დუღილი და არა ის, თუ რა ხდება იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. ვკმაყოფილდებით შემთხვევით შემოხეტებული სოვდაგრებისა და ჯამბაზების ჩამოტანილი ბრჭყვიალა მძივებით, დევრიშების ნამღერი ტკბილი, ჯადოსნური არაკებით...

დღევანდელი ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში მედია ბევრად უფრო ეფექტური სანავიგაციო საშუალებაა, ვიდრე ნებისმიერი გემი თუ თვითმფრინავი. ქართული მედია თითქოს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით აშუქებს დროდადრო უცხოეთის ახალ ამბებს. განსაკუთრებით მძაფრ-სიუჟეტიანს, სტიქიური უბედურებებით გაჯერებულს. კულტურა ძირითადად პარიზის ან მილანის ფეშენვიკის ფრაგმენტებით შემოიფარგლება... ქართული არხები არ აკეთებენ ექსკლუზიურ რეპორტაჟებს. გაგიჭირდებათ დაასახელოთ ერთი ქართული დოკუმენტური ფილმი მაინც, რომლის ქართული ობიექტივი საშუალებას მოგცემთ იმოგზაუროთ და შეიცნოთ რაიმე ახალი თქვენივე ენაზე; თქვენი, ქართველი და არა „დისქავერის“ სტანდარტული საშუალო მაყურებლის თვალით დაინახოთ, დააკვირდეთ იმას, რაც უცხო ქვეყნებში, უცნობ ადამიანებში გაინტერესებთ.

პრესა, თითქოს კიდევ უფრო იაფი საშუალებაა დღევანდელი ვირტუალური ექსკლუზიური ნავიგაციის სამყაროში. სამწუხაროდ, ბეჭდვითი მედიის როლი საქართველოში სულ უფრო და უფრო კნინდება, მცირდება, ქრება. ჟურნალისტის პროფესიაში კი წერის კულტურას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სოლფეჯიოს – მუსიკოსისთვის. სწორედ ამ კულტურის მძაფრი დეფიციტი იგრძნობა ქართულ მედიაში. როდესაც ტელეჟურნალისტებს უყურებ, ხვდები, რომ მათ უმეტესობას ერთი ნორმალური სტატიის დაწერაც კი გაუჭირდება. ბეჭდვითი მედია რომ სერიოზული და პრესტიჟული რამ არის და მის განვითარებას ხელისშეწყობა სჭირდება, ამას, სამწუხაროდ, ვერც წინა და ვერც დღევანდელი ხელისუფლება ვერ აცნობიერებს. პრესის წონა მთელ მსოფლიოში ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. დაბეჭდილი რამდენიმე სიტყვა გაცილებით სერიოზულად აღიქმება, გაცილებით დიდხანს ძლებს, ვიდრე ტოკშოუში წამოსროლილი და უსასრულო ვიდეოარქივად ქცეული ბარბარიზმებითა და აგრესიით გაჯერებული მთელი მონოლოგი. ქართული პრესა აშკარად კრიზისშია, მას ხელისშეწყობა და წახალისება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნელ-ნელა საბოლოოდ გარდაიქმნება ელექტრონულ მედიად და ეს ძალიან დიდ და ცუდ გავლენას იქონიებს არა მარტო მედიაზე, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოების ზოგად კულტურაზე.

ეს გრძელსახელიანი, მერცხალივით თავისუფალი გამოცემა ნამდვილ ფენომენად, ერთგვარ წარმატების რეფერანსად იქცა ქართული მედიის იმ მოკრძალებულ ნაწილისთვის, როგორიცაა, მაგალითად, უამრავი ცრუპენტელა ინტერნეტგამოცემა. მათ იციან, რომ წარმატება აქვე, სულ ერთი ხელის გაწვდენაზეა, მხოლოდ სინდისის ბოლო ძაფი გაკავებს რომ მისწვდე... მისი გადაჭრა კი რა პრობლემაა!

ხელისუფლება ვალდებულია, შექმნას გონივრული კონტექსტი, რომელშიც კარგ და ხარისხიან ჟურნალისტიკას არსებობის მეტი შანსი აქვს, ვიდრე ყვითელს. ამასთან, რა თქმა უნდა, მისი როლი არ არის ჟურნალისტიკის ხარისხის დადგენა, როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები გამუდმებით აკეთებენ. თუმცა, იქნებ არც გაემტყუნებათ, რადგან მედიაკრიტიკა საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. ჟურნალისტები თვლიან, რომ ერთმანეთის მიმართ საჯაროდ გამოთქმული შენიშვნა არაეთიკურია და ამით თავიანთ ერთგვარ კლანურობას უსვამენ ხაზს... ხოლო არაჟურნალისტის კრიტიკას არაკომპეტენტურად მიიჩნევენ და „ვერ მიიღებენ“... ისე კი, „კვალიფიციური კრიტიკის“ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. პირიქით, „ძალიან სჭირდებათ“ და ა.შ. ალბათ საჭიროა ქართული ჟურნალისტიკის მაღალ ბურჟუაზიას ოდესმე ვინმემ აუხსნას, რომ კვალიფიციურ კრიტიკას დამსახურება სჭირდება, რომ ყველა მედიას ისეთი ხარისხის კრიტიკა აქვს, როგორსაც იმსახურებს. მით უმეტეს, როდესაც გამუდმებით ჩაგჩიჩინებენ, რომ მედია ბიზნესია, რომელიც ძირითადად ცუდ გემოვნებაზე და კიჩზე კეთდება. ალბათ ასეც არის. მხოლოდ არ შეიძლება ეს კიჩი და ცუდი გემოვნება ქვეყანაში ითვლებოდეს რეფერანსად, რომელ-

საც იმის ფუფუნება აქვს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გააჩნდეს; არცთუ მდიდარ და არცთუ პროფესიონალ კერძო არხებთან შედარებით თავისი უამრავი პოტენციური უპირატესობით მედიატენდენციები პოზიტიურისკენ შემოაბრუნოს.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლის განმავლობაში საზმაუწყებელი, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, რეალურად განთავისუფლდა სახელმწიფო კონტროლისგან, ხოლო მისი გადაცემების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა. პირველ რიგში, ეს მის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეს“ შეეხება, რომელიც ქართული ტელევიზიის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, პირველი გაწონასწორებული და ასე თუ ისე სანდო საინფორმაციოა. სამწუხაროდ, არ ვარ დარწმუნებული, რომ მას ბევრი უყურებს. ესეც კიდევ ერთი უცნაური ნაციონალური ფენომენია: ჩვენ ძალიან ვღელავთ, განვიცდით, ვჩხუბობთ, როდესაც საზმაუწყებლის დირექტორს ან მის მოადგილეებს ხსნიან ან ნიშნავენ დაკავებული პოსტებიდან, სამეურვეო საბჭოს არჩევნებზე იმდენს ვნერვიულობთ, ისე გვიხარია, გვწყინს, ისე ვულოცავთ ან ვლანძღავთ არჩეულებს, როგორც შესაბამისად ოჯახის წევრებსა და მოსისხლე მტრებს... სრულიად ვულგარული მანერით გამუდმებით ვაყვედრით, რომ ისინი ჩვენი ჯიბიდან ფინანსდებიან, ვახსენებთ რომ მხოლოდ დაქირავებულნი არიან და ა.შ. მერე კი უცებ ყველაფერი გვავიწყდება. გადავრთავთ სხვა არხებზე და აზრადაც არ მოგვდის, რომ ჩვენი ჯიბიდან გადახდილი „მოამბეს“ ყურება უფრო მეტად ნიშნავს მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვას, ვიდრე „ჩვენი ჯიბიდან დაფინანსებული“ მთელი ეს საკადრო აჟიოტაჟი. თუ ჩვენ მართლა ვაფასებთ ჩვენ მიერ გადახდილ თითოეულ თეთრს, უნდა გვესმოდეს, რომ საზმაუწყებელს გადასახადების გადამხდელის მიერ გამუდმებული კონტროლი კი არა, მხარდაჭერა სჭირდება და ეს მხარდაჭერის გამოხატვა პულტის ღილაკზე თითის უბრალო დაჭერითაა შესაძლებელი. აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი აქვს, მოქალაქეთა დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნული სოლიდარობისა და ნდობის გამო უყურებს საზმაუწყებლის

გაცილებით მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება, კულტურა და, რაც მთავარია, სიმართლის, ღირსების ფასი, რომელსაც ვერავითარი დიპლომი ვერ შეცვლის. ქართველ ჟურნალისტთა უმეტესი ნაწილი კი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ ტოვებს განათლებული, კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას.

საინფორმაციო გამოშვებას, რადგან სჯერა მისი პოლიტიკური გემოვნების მიუკერძოებლობის.

ჩემი აზრით, საზოგადოებრივ მედიას საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს. ის არა მარტო აუდიოვიზუალურ პროდუქციას უნდა სთავაზობდეს საზოგადოებას. კარგი იქნებოდა მაუწყებელი ნაბეჭდ პროდუქციას – ყოველდღიურ გაზეთს გამოსცემდეს, რომელსაც ასევე ექნებოდა ამბიცია გამხდარიყო ბეჭდვითი მედიის რეფერანსი, ტონის მიმცემი. ამასთან, კვირაში ერთხელ თემატური ჟურნალი-დამატებები უნდა იბეჭდებოდეს, ლიტერატურისა და ხელოვნების, ისტორიის, მეცნიერების შესახებ და, რაც მთავარია, ეს შეძლებისდაგვარად იაფი უნდა იყოს. საზოგადოებრივი ბეჭდური მედია, რა თქმა უნდა, მაუწყებლის ბიუჯეტის გაზრდასაც მოითხოვს და მის რესტრუქტურიზაციასაც. დარწმუნებული ვარ ეს არ იქნება ყველაზე უსარგებლოდ დახარჯული საზოგადოების ფული და ენერგია.

უფლება არ გვაქვს, ერთგვარ ინფორმარციულ-კულტურულ გეტოში მცხოვრებ ადამიანებს მოქალაქეობრივი თვითშეგნება მოვთხოვოთ. ველოდოთ, რომ ამ ადამიანებმა დამოუკიდებელი, მანიპულაციებისგან თავისუფალი გადაწყვეტილებები მიიღონ თავიანთი ქვეყნის გეოპოლიტიკურ და ფასეულობათა მომავალზე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ასეთი განათლებული და კეთილშობილი, კოხტად დავარცხნილ-ჩაცმული ყოჩაღი „ცნობადი სახეები“ და მათთან დაახლოებული იღბლიანები ასე ვფიქრობთ.

ჩვენ უნდა დავამთავროთ საქართველოში ტელედებატები და დავიწყოთ დისკუსიის ეპოქა. რადგან დებატი, დისკუსიის ყველზე რთული ფორმა, უმაღლესი პილოტაჟია, რომელიც ვერაფრით ვისწავლეთ. უბრალოდ გამოვტოვეთ, გადავახტით, როგორც უნივერსიტეტში ჩაწყობილ საგანს. შედეგად ჩვენს კამათში ჭეშმარიტების ნაცვლად გამუდმებით სიძულვილისა და დაბნეულობის მახინჯი ნაყოფი იბადება... საჭიროა, დრო უკან გადავახვიოთ, გამოტოვებულ საგნებს ჩავუჯდეთ... მერე იქნებ მართლაც მიეცეს შანსი ძნელადაღსაზრდელი შვილების თავნებობითა და უსაქციელობით გატანჯულ და დაღლილ ბებერ საქართველოს, დროდადრო პლედში გახვეულმა ტელევიზორის წინ მშვიდად ჩასთვლიმოს ხოლმე ისე, რომ წამყვანის სრულიად შემაძრწუნებელმა კივილმა გულისგახეთქვამდე დასტრესილი არ წამოახტუნოს საყვარლად ჭრაჭუნა მოქანავე სავარძლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გაჰთოობისა და მოჯიქაღებული სიბიჭის დრო



დავით ბუხრიკიძე

როცა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის შემდეგ, ნავთობზე ფასმა კატასტროფულად იმატა, ეკონომიკურმა კრიზისმა თავისი დაღი სატელევიზიო ინდუსტრიასაც დაასვა. როგორც სახელწიფო, ისე კერძო ტელევიზიის მფლობელები პირველად და სერიოზულად დაფიქრდნენ მაყურებლისთვის ინფორმაციისა და გართობის მიწოდება-დოზის მექანიზმზე. უფრო ზუსტად, ინფორმაციის ისეთ შეფუთვაზე, რომ ეკონომიკური კრიზისით გაბითურებულ საშუალო-სტატისტიკურ ევროპელს ზედმეტად არ ეფიქრა ხორცისა თუ ავტობუსით მგზავრობის გაორმაგებულ ფასზე.

დაიწყო გასართობი გადაცემებისა და თოქ-შოუების ნამდვილი ბუმი. სატელევიზიო სტუდიებში ნაწვიმარზე სოკოებივით გაჩნდნენ მსახიობები, მომღერლები, ილუზიონისტები, ფეხბურთელები, ცირკის ჯამბაზები, ვარსკვლავთმრიცხველები. მაგალითად, ყველაზე პოპულარულ გასართობ შოუს „რაი უნოზე“ სექსუალური, მოღიმარი და თითქმის ენაჭარტალა რაფაელა კარა უძღვებოდა. ფრანგულმა არხებმა მომღერალ ჯო დასენის ტირაჟირებას საქმიანად და სერიოზულად მოჰკიდა ხელი... ამავე დროს, მთელი ევროპა „ევროვიზიის“ ისტერიამ მოიცვა (რაც, სხვათა შორის, დღეს ჩვენთვისაც ძლიერი და გასაგები ვნება აღმოჩნდა).

1974 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე გამარჯვებით ფრთაშესხმულმა დასავლეთ გერმანულმა ტელეარხებმა „ბუნდესლიგის“ მატჩების რეპორტაჟები ლამის გააორმაგეს, მაშინ როცა „წითელი არმიის ფრაქციის“, ანუ ბაადერ-მაინჰოფის ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ ნამდვილი ამბები სახელმწიფო არხებით ტაბუდადებული იყო... და ამ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება და „ევროპული ლანდშაფტი“ ტელეეკრანიდან მაინც მშვენიერი და მიმზიდველი ჩანდა.

სწორედ იმ პერიოდში, 70-იან წლებში ფრანგი პოსტმოდერნისტი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი ჟან ბოდრიარი წერს ესეს, რომელშიც დასავლეთის სატელევიზიო ინდუსტრიას ვრცლად განიხილავს და მას „ხატების ბოროტ დემონს“ უწოდებს. დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ბოლომდე სწორი და ისტორიული შეფასებაა, თუმცა ინტერნეტის საუკუნემ მაინც დაადასტურა ბოდრიარის შეხედულება, რომ ტელევიზია ნელ-ნელა იქცა ცრუ ხატების სამყაროდ, „სიმულაკრებად“ (როგორც იგი უწოდებს). იგი მუდმივად მანიპულირებს მაყურებლის მოლოდინით და არ იძლევა ნანახის გააზრებისა და რეფლექსიის საშუალებას. და, რაც მთავარია, აიძულებს მაყურებელს არა მოვლენებსა და საკუთარ შეფასებას დაუჯეროს, არამედ უყუროს მას, ვინც და რაც მოდაშია, რაც ზედაპირზე ჩანს და რასაც მხოლოდ მყისიერი პოპულარობა განსაზღრავს.

მოკლედ, ჰამლეტისა არ იყოს, ბატონი ბოდრიარი ცუდ ამბებს ხედავს და თან გვაფრთხილებს, მომავალში უფრო ცუდს უნდა მოელოდეთო. ცხადია, მან ვერ მოასწრო ენახა ვერც ძველი და ვერც ანიმაციით გამხიარულებული თუ რეკონსტრუირებული „ნანუკას შოუ“- სტუდიაში მოსიარულე ფუმფულა ძაღლით და ვითომ დიჯეი როსტოთი; არც ჩაფიქრებულ-ჩაცუცქულ-მელანქოლიური მაია ასათიანის პროფილი; არც ეკა ხოფერიას შოუში შეკრებილი ვერა-ვაკის გამოჩენილი არტისტებითა და „ცნობადი სახეებით“ დაინტერესებულა და, სამწუხაროდ, არც „იმედის“ ბაზაზე დაფუძნებული „ბოზობა-ქალიშვილობის“ ინსტიტუტის კედლებში გამეცადინებული ჯაჯანიძის „სხვა რაკურსი“ შეუფასებია.

არადა, ერთი კარგი, თანამედროვე მარკშეიდერივით ერთგული და ფხიზელი ბოდრიარი ნამდვილად დაგვჭირდებოდა, რადგან ქართული სატელევიზიო გარემო სულაც აღარ ჰგავს გამოგონილ, შეთხზულ „სიმულაკრებს“. ეს უფრო „ფიფლმეტრებით“ გაზომილი და ტელემაყურებლის სისხლით, ცრემლითა და სპერმით ნაგები ახალი „სტუდიური განსაწმენდელია“, რომელსაც წესით სულის მოთქმა, გააზრება თუ მცირე კათარზისი უნდა მოსდევდეს და არა არხებს შორის „რეიტინგების ომი“.

გასაგებია, რომ „ინერტაიმენტი“, ანუ გართობა, ტელევიზიის, როგორც ინდუსტრიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად გადაიქცა.

ფოტო LIG STUDIO

გადაცემების კონსტრუქცია თითქმის ყველა არხს საერთო აქვს: დილის საინფორმაციო-გასართობი პროგრამა, შუადღის შოუ, სერიალები, ღამის თოკშოუ, კონცერტები... პარადოქსია, მაგრამ სატელევიზიო არხებს შორის განსხვავებაც კი რაღაცით ერთმანეთის ჰგავს, ეგზოტიკური თუ ვეგეტარიანული კერძების რეცეპტებით დაწყებული, წვრილი თუ მსხვილი ვარსკვლავების წარმატებებით და მათი პირადი ცხოვრებით დამთავრებული.

სნობური თუ კრეატიული მითი – თუ საინფორმაციო გადაცემები არ მოგიხსენებენ, ტელეეკრანზე არ ჩანხარ და საზოგადოების დიდი ნაწილი სახეზე ვერ გცნობს, უბრალოდ არ არსებობ – საზოგადოებაში უკვე ფართოდაა გავრცელებული, რის დამკვიდრებაშიც, სხვათა შორის, თავად ტელეარხებს დიდი წვლილი მიუძღვით.

სოციალური, პოლიტიკური და გასართობი თოკშოუების რეიტინგი რაღაც წესებს თუ სტანდარტებს უკავშირდება, რომელსაც ვერ გაიგებთ, ვინ აწესებს – თავად ტელევიზია, მაყურებელი, თუ პირადად თოკშოუს წამყვანი. ეს აღრევა ხშირად გაუგებრობას და ვნებათაღელვას იწვევს. ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში, მაგალითად, სტანდარტს ძირითადად, რესპოდენტების პოპულარობა განაპირობებს. მათ უმრავლესობას წამყვანი ირჩევს, რაც პირდაპირ დამოკიდებულია რეიტინგზე, ან კონკრეტულ მომენტში ამ ადამიანის პოპულარობაზე. ამიტომ მას შეუძლია მაგალითად, ერთ სიბრტყეში მოაქციოს საინტერესო ინტერვიუ ჭაბუა ამირეჯიბთან, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩაწერა და ამავე დროს, ღელა კაკულიასთან ფსევდოგულწრფელი საუბარი ჩაწეროს სტუდიაში.

ნანუკა ჟორჟოლიანი ამბობს, რომ მაღალი რეიტინგისათვის ყველაფერზე წამსვლელი არ არის: „მიუხედავად იმისა, რომ კომერციული პროექტი მაქვს, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სხვა შოუებში მაღალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ მე მათ არ მოვიწვევ ან არ ვამღერებ... არიან ვიღაცები, ვისგანაც სახეებს არ შევქმნი. მგონია, რომ დანაშაულია 21-ე საუკუნეში გია სურამელაშვილისგან რეიტინგული სახე შექმნა“. ამავე დროს, მას შეუძლია მაგალითად, ნინო ჩხეიძე რატომღაც ქართული ესტრადის უფრო მნიშვნელოვან პერსონად მიიჩნიოს და შოუში მიიწვიოს, რაც მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ასევე „დანაშაული“ გამოდის. ანუ ამ შემთხვევაშიც ავტორის სუბიექტურობასთან და გარკვეული სტანდარტების აღრევასთან გვაქვს საქმე.

თავის შოუში ჟურნალისტური „სიყვითლისგან“ დისტანცირებას ნანუკა ჟორჟოლიანი ზოგჯერ გულწრფელად, ზოგჯერ იუმორით, სპეციალურად და ზოგჯერ იძულებით ცდილობს, რაც მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ გასართობ თოკშოუებში სინამდვილეში სტანდარტი არ არსებობს და მაყურებლის გულის მოსაგებად ყველა გზა მაინც რეიტინგზე გადის.

რამდენიმე მოკრძალებული შენიშვნა და რჩევა:

1. მიუხედავად იმისა, რომ „ნანუკას შოუ“ არ არის პოლიტიკური და თავადაც

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

მეტ-ნაკლებად ცდილობს შეინარჩუნოს ნეიტრალურობა, მაინც სასურველია პოლიტიკურად ანგაჟირებული ან რომელიმე პარტიის მხარდამჭერი საჯარო და ხმამაღალი განცხადებები არ გააკეთოს. ეს ვნებს მასაც და მის შოუსაც.

2. სასურველია, საკუთარ ტოკ-შოუში პირადი იმედგაცრუება ან ფრუსტრაცია არ გამოხატოს და არ გადაიტანოს რესპონდენტებზე, განსაკუთრებით სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე საუბრისას.

3. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და თბილისი კიდევ უფრო პატარა ქალაქი, ტოკ-შოუს წამყვანი უნდა ეცადოს მაქსიმალურად დისტანცირებული იყოს როგორც „მტრებისგან", ასევე „მეგობრებისგანაც".

4. არ არის აუცილებელი ყოველი გადაცემის შემდეგ მხოლოდ კომპლიმენტებისა და ქების მოსმენა. მით უმეტეს, თუ ისინი არაგულწრფელია. უკეთესია ჯანსაღი კრიტიკის ატანა, რაც იმავდროულად, ახალისებს იუმორს და ზრდის თვითირონიის დოზას.

5. უმჯობესია, სტუდიაში მეტი საინტერესო ადამიანის მიწვევა; ლექსიკური მარაგის დახვეწა, რაც ინფორმაციის მოძიებას და კარგი მწერლების ნაწარმოებების კითხვას ნიშნავს.

ბევრი ფიქრობს რომ, სადაც ნანუკას „სამშაბათია", დაახლოებით იქვეა მაია ასათიანის „პროფილური ხუთშაბათიც". ვერ გეტყვით, მათი გარითმვა მხოლოდ „რუსთავი 2"-ის სარედაქციო პოლიტიკას უკავშირდება (ორივე გადაცემა ამ არხზე გადის) თუ უბრალოდ, ტოკ-შოუების მსგავსება-ნათესაობას. თუმცა ერთი რამ ნამდვილად თვალში საცემია. ქაოსური, ჭრელი, ენერგიული და მხიარული ნანუკა ჟორჟოლიანისგან განსხვავებით, მაია ასათიანის „პროფილი" უფრო რაიონული ან უფრო ფართო მასშტაბის „სასწარკვეთილი დიასახლისების" მხარდაჭერას ჰგავს.

ვისაც არ უნდა ეხებოდეს მაია ასათიანის ტოკ-შოუ: სიყვარულში ხელმოცარულ და გაუბედურებულ ქალებს, სოციალურად დაუცველ ბავშვებს, გალოთებულ და შემდეგ რეაბილიტირებულ მამაკაცებს თუ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს, მთავარი ყველგან მაინც თავად მაიაა; მისი უცნაური, მელანქოლიური პოზა, ჟესტები, კითხვები: – „რა ხდება პირადში"? „ვაი, მართლა მიგატოვა?" „ნამდვილი დედა სად იყო?"...

იქნებ მართლაც, უკეთესია „პროფილს" სერიოზული პრეტენზიები არ წავუყენოთ და მხოლოდ ბულვარულ და საჭორაო გადაცემად მოვიხსენოთ. ამით გადაცემის ავტორსაც გარკვეული ალიბი ექნება და სოციალურ კრიტიკასაც თავიდან აიცილებს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამგვარი „გოიმობა-სიყვითლისთვის" მაია ასათიანს თავი არ ემეტება. მას რაღაც უფრო პრეტენზიული სიმართლე, ნათელი „სვეცკობა" და უშუალობა სწყურია, რაც, სიმართლე ითქვას, მისი რესურსით ძნელი მისაღწევია.

მიუხედავად ბევრი უნებლიე სისულელისა, მას მაინც არ დაურღვევია მინიმალური ჟურნალისტური სტანდარტი. ყოველ შემთხვევაში „პროფილში" არ ლანძღავდნენ „პიდარასტებს", არ აგი-

ფოტო: ლევან ხარბედია

ნებდნენ „ზანგებს“, არ უწოდებდნენ მუსლიმებს „ტერორისტებს“. მოკლედ, არაკეთილის მოსურნენი მაია ასათიანს უფრო „გოიმობაში“ ამხელენ და არა ვინმეს უფლებების დარღვევაში. არადა, ალბათ, მას პირიქით ერჩივნა.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობისთვის „დარი-დური“ და „პროფილი“ სინონიმებია, მაია ასათიანის ტოკ-შოუ რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც ინარჩუნებს ყველაზე რეიტინგული გადაცემის სტატუსს. ამან ავტორი ერთგვარად წაახალისა და გადაწყვიტა საგანგებოდ ქალებისთვის სპეციალური ტელეარხი შეექმნა. მალე ინტელექტუალმა ნიკა გვარამიამ დასტური მისცა და „რუსთავი 2“-ის ბაზაზე მაიამ ახალი, ფერადი, ქალური დრამების ამსახველი „მარაო“ გაშალა: „მამაკაცები ჩვენთან საინტერესოს ვერაფერს იპოვიან. ეს არხი ძირითადად, მაინც ქალბატონებზე გავთვალეთ. აქ ნახავთ ყველაფერს, პოლიტიკის გარდა. არხიდან მხოლოდ სიმშვიდე, სიტკბო, სითბო წამოვა, იქნება ჭორაობა, ბევრი საინტერესო გადაცემა მოდაზე, გარდერობსა თუ მაკიაჟზე, ვარსკვლავების ცხოვრებაზე...“

მაია ასათიანმა მძიმე და მსუბუქი „არტილერია“ ერთდროულად გამოიყენა. ნინა წკრიალაშვილმა პირველად სცადა ბედი წამყვანის ამპლუაში. სადღაც, იქვე გაჩნდნენ თიკო სადუნიშვილი, ნუკი კოშკელიშვილი, თიკა ფაცაცია, შორენა ბეგაშვილი... მოკლედ, „პროფილმა“ ჩვენს ტელესივრცეში რაღაც უცნაური, მისტიკურ-მოტკბო, თუ გოიმურ-სენსიტიური ინდუსტრიის შექმნა მაინც მოახერხა...

მაგრამ მაია ასათიანისთვის ერთ არამშვენიერ ხუთშაბათ საღამოს, „იმედის“ ცინცხალ სტუდიაში გამოჩნდა ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, მჩხიბავი, წამყვანი, სცენარისტი, „ბადრი პატარკაციშვილის დების უახლოესი მეგობარი“ და უბრალოდ, ჭარმაგი მამაკაცი – გია ჯაჯანიძე! და მან თქვა : „სხვა რაკურსი“... არადა, რასაც ვუყურებთ, ისევ იმ „რაკურსშია“ და სხვაგვარად არ ძალუძს. მისი თაყვანისმცემლები (არადა, ასეთები მართლა არსებობენ), ჯაჯანიძის შოუს კრიტიკის საპასუხოდ ამბობენ – „აბა რა ქნას, რა გინდათ, ინტელექტუალური დებატები მოაწყოს? მეორე დღესვე გამოუშვებენ „იმედიდან“. ისე, საინტრესოა, ეს რომ ჩაიდინოს, მართლა გამოუშვებენ, თუ არა.

გია ჯაჯანიძე: „როცა მითხრეს, ხუთშაბათ დღეს გავა „სხვა რაკურსი“, შევცბი და კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი, ჯანსაღი კონკურენციის მომხრე ვარ“. აი ასე, კაცი, ანუ ჯაჯანიძე ბჭობს, მუშაობს და ღმერთი კიდევ იცინის... და ჩვენს საზოგადოებასაც დასცინის, რომელიც ამ „რაკურსს“ მშვიდად და უდრტვინველად უყურებს.

ბატონმა ჯაჯანიძემ თავის ხუთშაბათის შოუში არა მარტო მაია ასათიანის რეიტინგის მოხსნა მოახერხა, არამედ ყბადაღებული სიყვითლისა და ჟურნალისტური ეთიკის საზღვრები საერთოდ წაშალა. მას შეუძლია უშუალობის, ფამილარობის და გულწრფელობის ნიღბით სექსმუშაკს შეურაცხყოფა ისე მიაყენოს,

ფოტოზე: ლევანი ალიბეგაშვილი

რომ მცირე პასუხისმგებლობაც არ იგრძნოს. შემდეგ კი თავის ასე იმართლოს – „იმ გოგოს დიდ პატივს ვცემ, მართლა არაა ბოზი. უბრალოდ, ვულგარულად ეცვა. ვკითხე და მანაც ჩვეულებრივად მიპასუხა – „არა, მე ბოზი არ ვარო“.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ჯაჯანიძეს შეუძლია თავად დაადანაშაულოს, „ეთიკის ქარტია“, რომ მან სათანადო ადგილი არ მიუჩინა ტოკ-შოუს უხამსობას... როგორც თავად აღნიშნავს, „მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე გამოიჭირონ, უჩივლონ და ამით გრანტი აიღონ“. ამგვარი ხილული სიშლეგისა და თავხედობის ფონზე ყველა მისი თემა ფერმკრთალდება – ყოფილი ნარკომანების, სექსმუშაკების, სამართალდამცველების, ფსიქიატრების, ემიგრაციულ ჯოჯოხეთს გამოვლილი ქართველების შესახებ.

ასე, რომ „სხვა რაკურსისთვის“ რაიმე ახალი რაკურსის მოძებნასა და, მით უმეტეს, რაიმე კრიტიკული შენიშვნების გაზიარებას აზრი არა აქვს, რადგან თავად ტოკ-შოუს წამყვანი, რომ იტყვიან, „კეთილისა და ბოროტის მიღმა“ დგას და შესაბამისად ვერც ეთიკურ და ვერც მორალურ პასუხიმგებლობას გაიზიარებს.

პირქუში ფინალი რომ არ გამოგვიდეს, ეკა ხოფერიას „პოზიტიური“ განწყობის მქონე შოუთი დავასრულოთ, რომელიც „იმედზე“ ყოველ ოთხშაბათს გადის და თურმე გასართობ-შემეცნებით-სოციალური ხასიათისაა(?!). როდესაც ეკა ხოფერია მაყურებელს წარმატებული თბილისელი არტისტების თუ მომღერლების ბოჰემური ცხოვრებისა და არტგანცდების შესახებ უყვება, ისეთი განცდა გრჩებათ, თითქოს ოჯახური იდილია, წარმატებული ქალები და მამაკაცები ცალკე პლანეტაზე არსებობენ, ხოლო პრობლემები, სირთულე და სიღარიბე – ცალკე. და ეს „პარალელური სივრცეები“ პარალელური წრფეების მსგავსად, შესაძლოა მხოლოდ უსასრულობაში გადაიკვეთოს. ანუ ის გვაჩვენებს რეალობას, რომელსაც უფრო ზღაპრული ფინალი აქვს.

ხოფერიას შოუ რაღაც „ინტიმურ-კამერულ ატმოსფეროს“ ქმნის. ასეთ შემთხვევაში კი ადამიანებს უხერხულობის განცდა უჩნდებათ. რადგან ბევრი მიზეზის გამო, სხვის ინტიმურ სამყაროში შესვლა (თუ ვუაიერისტი არა ხარ) ძალიან რთულია. ყველა შოუში ის თითქოს ხაზს უსვამს, რომ ისიც და მისი სტუმრებიც ძალიან ბედნიერები და პროფესიაში რეალიზებულნი არიან...

თუმცა ბედნიერებას ზედმეტი მტკიცებულება თუ ზედმეტი თვალსაჩინოება არ სჭირდება – ისედაც გასაგებია, რომ ხელოვნება ყოფაზე მაღლა დგას, სიმდიდრე სიღარიბეზე უკეთესია და რომ ბედნიერება ყველას ხვედრი ვერ იქნება. ამიტომ უნდა შევნატროდეთ მათ, ვინც ერთდროულად მოახერხა იყოს თან ხელოვანი, თან წარმატებული და თან ბედნიერი.

დიდი გართობისა და მოკრძალებული პოლიტიკური სიგიჟის დრო გვკარნახობს, რომ ტელეარხები მუდმივად საკუთარი წარმატებითა და რეიტინგის გაზომვით არიან შთაგონებულნი, რაც მაყურებელს მოდუნების და მძაფრი სანახაობის „მონელების“ საშუალებას არ აძლევს... შოუ უნდა გაგრძელდეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



WWW.LIBERALI.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონული მედიის ადგილობრივი პოლიტიკა

თბილისსა და რეგიონებში მედიის გამოწვევები ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, დიდად არ განსხვავდება, მეორე მხრივ, კი თუ დაინტერესდებით, მხოლოდ ადგილობრივი მედიისთვის დამახასიათებელ ბევრ პრობლემას აღმოაჩენთ.

ზურაბ ვარდიაშვილი

ქეთევან ღვედაშვილი

როდესაც გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ ჟურნალისტს, თამუნა უჩიძეს „ოჯახის ახლობელმა“ სახლში პირველად მიაკითხა და საქმიანობასთან დაკავშირებით რამდენიმე „გონივრული რჩევა“ გაუზიარა, მას ეს ფაქტი სერიოზულად არ აღუქვამს. თუმცა მას შემდეგ, რაც ამგვარმა სტუმრობებმა რეგულარული ხასიათი მიიღო, თამუნა მიხვდა, რომ საქმე რეგიონულ მედიაზე ზეწოლის სპეციფიკურ მეთოდთან ჰქონდა.

„სამხრეთის კარიბჭე“ სამცხე-ჯავახეთში გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთია. ის 2004 წლის ივნისიდან გამოდის და რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტს – ახალციხეს, ადიგენს, ასპინძას, ბორჯომს, ახალქალაქს და ნინოწმინდას ფარავს.

2010 წლის ოქტომბრიდან გაზეთს ყოველკვირეული, სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ჩანართი – „მეურნე“ – დაემატა, ასევე, „სამხრეთის კარიბჭის“ ბაზაზე ფუნქციონირებს საინფორმაციო პორტალი SK-news.ge.

ახალციხის ცენტრში, დიდფანჯრებიანი, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, რამდენიმე პატარა ოთახში ნიუსრუმი, სტუდია, სამონტაჟო და მისაღები ოთახებია განლაგებული. თამუნა უჩიძეს სწორედ "სამხრეთის კარიბჭის" ოფისში შევხვდით. მსხვილჩარჩოიანი სათვალით, მტკიცე, თავდაჯერებული მანერებით, სწრაფი, ენერგიული მეტყველებით, ახალგაზრდა ახალციხელი ჟურნალისტი სულ არ მოგაგონებთ ადამიანს, რომელზეც გავლენის მოხდენა მარტივია.

ადვილი არც ზეწოლის გაძლება იყო, – მეუბნება უჩიძე. მისი თქმით, რეგიონულ მედიებში მომუშავე ჟურნალისტები იმით გამოირჩევიან, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას თვალში უფრო მეტად ხვდებიან, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები უკეთ იცნობენ მათ, მათ ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, უკეთ იციან, საიდან მიუდგნენ, როგორ უპოვონ სუსტი წერტილი...

2014 წლის ივნისში ახალქალაქში მოქალაქემ ბებია და შვილიშვილი მოკლა. ტრაგედიამ რეგიონში მღელვარება გამოიწვია. მსხვერპლთა ახლობლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილის დების გასახლება მოითხოვეს... „სამხრეთის კარიბჭე“ მკვლელობის გარშემო განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა.

ტრაგედიიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ ბრალდებულის დები გაზეთს უკავშირდებიან და მოუთხრობენ, რომ მკვლელობის ღამეს, შსს-ს ადგილობრივმა სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დაკითხვაზე განყოფილებაში გადაიყვანეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, იყო ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობებიც. დები თეიმურაზ კალანდაძეს, ადგილობრივი სამმართველოს უფროსს ადებდნენ ხელს.

ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ დების მონათხრობი ამბის შესახებ პროკურატურაში საქმეც იყო აღძრული, სტატია გაზეთში გამოქვეყნდა.

ამის შემდეგ მსხვერპლთა ახლობლებმა რედაქციასთან საპროტესტო აქციები გამართეს. გაზეთს ცალმხრივ გაშუქებაში ადანაშაულებდნენ.

„სამხრეთის კარიბჭის“ მთავარ რედაქტორს, ნინო ნარიმანაშვილს, ეჭვი არ ეპარება, რომ აქციები სამმართველოდან იმართებოდა. შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესცენტრი სტატიის სათაურის შეცვლასაც

ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო. სწორედ მაშინ ესტუმრა სტატიის ავტორს, თამუნა უჩიძეს, „ოჯახის მეგობარი“.

ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი. ეს იმგვარი შემთხვევებია, როდესაც პრინციპულობის გამოჩენის შემთხვევაში ზეწოლას შედეგი არ აქვს. მაგრამ ახალციხელ ჟურნალისტებს მუშაობის შემაფერხებელი სხვა ფაქტორები არ აკლიათ.

საჯარო ინფორმაციის გაცემა, ისევე როგორც ბევრგან, ახალციხეშიც პრობლემურია. თუმცა საჯარო ინფორმაციის ძნელად მისაწვდომობასთან ერთად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და სახელისუფლებო სტრუქტურები ყოველდღიურად მიმდინარე წვრილმან თემებზე, კითხვების წერილობითი ფორმით დასმას ითხოვენ, რაც დამატებით დროს, ენერგიას და შეფერხებას ნიშნავს. განსაკუთრებით რთულია ინფორმაციის მოპოვება, როცა საქმე ბიუჯეტს, სავარაუდო კორუფციულ სქემებს, მსხვილ ფინანსურ გარიგებებს ეხება. ძალიან ჭირს ვებგვერდისთვის განკუთვნილი გადაცემისთვის სტუმრების სტუდიაში მოყვანა. ადგილობრივი მედიები კონმეტენტური წყაროების, ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიან.

„სამხრეთის კარიბჭის“ ძირითადი შემოსავალი საერთაშორისო დონორების ფინანსებია. ამ კუთხით გაზეთი სხვებზე უარეს მდგომარეობაში არ არის, თუმცა იმ ყველა იდეის განხორციელებას, რაც სამხრეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ რეგიონულ მედიებში მომუშავე ჟურნალისტები იმით გამოირჩევიან, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას თვალში უფრო მეტად ხვდებიან, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები უკეთ იცნობენ მათ, მათ ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, უკეთ იციან საიდან მიუდგნენ, როგორ უპოვონ სუსტი წერტილი...

ჟურნალისტების ახალგაზრდული გუნდის შიგნით ტრიალებს, ვერ აუდის.

ნარიმანაშვილი სარეკლამო შემოსავლების ნაკლებობას ბიზნესზე ზეწოლას არ უკავშირებს. მისი თქმით, წვრილ, ადგილობრივ ბიზნესს რეკლამა არ აინტერესებს, ხოლო მსხვილი სააფთიაქო ქსელების წარმომადგენლები, ბანკები თუ სასტუმროები, რეკლამის განთავსებას ცენტრალურ მედიაში არჩევენ, სადაც კონკურენტული გარემოს არარსებობის გამო შეუსაბამოდ დაბალი ფასებია.

რეგიონული ჟურნალისტების მთავარი გამოწვევა მაინც ისაა, რომ მათი პრობლემები ცენტრამდე იშვიათად აღწევს. ჟურნალისტების მშობლები და ძმები, ცოლები, ქმრები თუ შვილები იმავე სოციუმში ცხოვრობენ, რომლის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან ხშირი „შეტაკება“ სხვადასხვაგვარ უხერხულობებს წარმოქმნის, რაც ცენტრალური ჟურნალისტიკისთვის მეტნაკლებად იოლი დაბრკოლებაა.

არადა, რეგიონული მედიასაშუალებები რომ არა, პერიფერიებში მიმდინარე მოვლენები ხშირად ცენტრალური მედიისა და საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩებოდა. ერთ-ერთი წამყვანი რეგიონული ონლაინგამოცემა „კახეთის საინფორმაციო ცენტრია". 2009 წელს დაარსებული ვებგვერდი შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ შემადგენელი ნაწილია.

თბილისიდან ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ გურჯაანის ცენტრში აღმოვჩნდით. „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ოფისამდე კითხვა-კითხვით მივდივართ. ცენტრიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით მდგარი ერთ-ერთი შენობის მესამე სართულზე კეთილმოწყობილ, საკმაოდ ფართო ოფისში მედიასაშუალება და მის შემადგენლობაში მყოფი ქოლცენტრია განთავსებული.

შიგნით სიმშვიდეა, საუბრის ხმა მხოლოდ ერთი ოთახიდან ისმის. ეს ნიუსრუმია – ფართო, ნათელი ოთახი, რამდენიმე მაგიდით, კომპიუტერებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით. „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ხუთკაციანი გუნდი ჟურნალისტურ პროდუქტს სწორედ აქ ქმნის. ისინი ძირითადად რეგიონში განვითარებულ პროცესებს აშუქებენ, თუმცა მომხმარებელს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებაც აწვდიან.

დანარჩენ ოთახებში ბუღალტრისა და გაყიდვების მენეჯერთა კაბინეტები, ქოლცენტრი, საკონფერენციო დარბაზი და მულტიმედია ცენტრია მოწყობილი. ამჟამად აქ, ჯერ უსახელო, პირველი გადაცემა მზადდება. მედიასაშუალებაში ოცამდე თანამშრომელია დასაქმებული, საიდანაც ექვსი საჰონორარო სისტემაზე მუშაობს.

დღეისათვის „კახეთის საინფორმაციო ცენტრი" რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, როგორიც შიდა შემოსავლის გაზრდა და პლაგიატის პრევენციაა.

რეგიონებში სარეკლამო ბაზარი საკმაოდ მწირია. ამას რეკლამის დამკვეთებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ზეწოლა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც ემატება. ამიტომ მედიასაშუალების შემოსავლების ძირითადი წყარო „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“ და „NED“-ის გრანტებია.

თუმცა მედიასაშუალების 100%-იანი წილის მფლობელი და მთავარი რედაქტორი გელა მთივლიშვილი ამბობს, რომ სხვადასხვა პროექტის წყალობით შიდა შემოსავლის გაზრდა მაინც მოახერხეს.

„ახალი მედიის ნაწილში 2010 წლიდან ვაქტიურობთ. მაშინ ჩვენი შიდა შემოსავალი 4-5% იყო. მას მერე სტატისტიკა მზარდია. 2014 წელს შიდა შემოსავალმა 28%-ს მიაღწია, თუმცა ბოლო ერთი წელია, რეკლამებმა იკლო. ზუსტად ვიცი, რომ რამდენიმე ბიზნესმენს კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა დაურეკა და ჩვენთან რეკლამის განთავსება აუკრძალა".

მთივლიშვილისთვის მთავარი გამოწვევა პლაგიატია. საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მათ მიერ მომზადებულ მასალებს სხვა მედიასაშულებები ყოველგვარი ნებართვის გარეშე იყენებენ. სწორედ პლაგიატის გამო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას საჩივრით ორჯერ მიმართა.

რეგიონებში მუშაობა ერთდროულად დადებით და უარყოფით ასპექტებთანაა დაკავშირებული. ჟურნალისტები იქ მომხდარი ამბების ეპიცენტრში არიან, უფრო ფართო სანაცნობო წრეც ჰყავთ და ხშირად ექსკლუზიურ მასალასაც ფლობენ.

თუმცა ისინი ცენტრალური ხელისუფლებისა და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებისგან შორს არიან. გარდა ამისა, რეგიონებში გადაადგილება როგორც მასალაზე მუშაობის, ასევე სამსახურში სიარულისასაც საკმაოდ პრობლემურია. განსაკუთრებით

იმის ფონზე, რომ „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" თანამშრომელთა ნაწილი სხვადასხვა რაიონში ცხოვრობს.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ოფისის დატოვებიდან ერთ საათში თელავის ცენტრში ვართ. ქვაფენილიან აღმართს კერძო სახლთან მივყავართ, რომლის ორ ოთახში გაზეთ „კახეთის ხმის" ოფისია მოწყობილი. პატარა ოთახს, ოთხი მაგიდითა და კომპიუტერებით, სამუშაოდ იყენებენ. მეორე, შედარებით დიდ ოთახში კი სხვადასხვა ნივთებს ინახავენ.

გაზეთი „კახეთის ხმა" 2002 წლიდან გამოიცემა. 2014 წლიდან მას ვებგვერდი knews.ge დაემატა. გარდა ამისა, მედიაცენტრის საკუთრებაშია Media Cafe თელავი და მედია კლუბი, რომლებიც 2012 წლიდან ფუნქციონირებს. მედიასაშუალების 100%-იანი წილის მფლობელი და მთავარი რედაქტორი მაია მამულაშვილია.

ჩვენი სტუმრობისას გაზეთის ოთხი თანამშრომლიდან ოფისში მხოლოდ ნატალია ცისკარიშვილი გვხვდება. მან „კახეთის ხმაში" მუშაობა 10 წლის წინ, სტაჟირებით დაიწყო და ამჟამად მისი ერთ-ერთი რედაქტორია.

სამუშაო პროცესი დილის 10 საათზე ვებგვერდისთვის თემების დაგეგმვით იწყება. გაზეთს კვირის დასაწყისში გეგმავენ. ვებგვერდიცა და ბეჭდური გამოცემაც ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება. „კახეთის ხმა" ყოველ ორშაბათს 1500-იანი ტირაჟით გამოდის და 70 თეთრი ღირს. კახეთის რეგიონში სტამბის არარსებობის გამო მას თბილისში ბეჭდავენ და რაიონულ ცენტრებში ავრცელებენ.

„ადგილობრივები იცნობენ ჩვენს გაზეთს, რადგან უკვე 13 წელია გამოიცემა. ვებგვერდი შედარებით ახალია, მაგრამ მაინც ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ეს ჩვენ მიმართ ნდობაზე მეტყველებს".

მიუხედავად ამისა, გაზეთის გაყიდვით მიღებული თანხები იმდენად მწირია, რომ ამით არათუ ხელფასების უზრუნველყოფა, არამედ ბეჭდვის ხარჯების დაფარვაც შეუძლებელია.

სარეკლამო შემოსავლის სიმცირისა და გრანტების არარსებობის პირობებში, ამჟამად მედიასაშუალების შემოსავლის ძირითადი წყარო მედიაკაფეა. ნატალია ცისკარიშვილი ამბობს, რომ სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივად მუშაობენ, ფონდებში პროექტები აქვთ წარდგენილი და გრანტებს ელოდებიან.

„ამასთან, მედიაკაფე უნდა დაიტვირთოს, რათა სტაბილური შემოსავალი იქიდანაც იყოს. გვაქვს გეგმები და ველოდებით როგორ განვითარდება მოვლენები".

რეგიონული მაუწყებლების (რომლებიც საერთაშორისო დონორების დაფინანსებას ვერ მოიპოვებენ) ძირითადი შემოსავლის წყარო, ნეკროლოგები, პირადი შეტყობინებები და განცხადებებია. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევის მიხედვით, 2013 წელს ადგილობრივ ტელევიზიებზე, მთლიანი სატელევიზიო შემოსავლების 4 პროცენტი მოდიოდა, ხოლო ხუთ მსხვილ ადგილობრივ რადიოსადგურზე მთელი რადიო შემოსავლების დაახლოებით 3 პროცენტი განაწილდა.

ფინანსური პრობლემების გამო ადგილობრივი მედია თანამშრომელთა მცირერიცხოვანი გუნდებით მუშაობს; არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიან მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული მედიასაშუალებები – გასულ წელს მუნიციპალიტეტებმა მედიასექტორზე დაახლოებით მილიონნახევარი ლარი დახარჯა. ეს დამოუკიდებელ ადგილობრივ მაუწყებლებზე, თუ ონლაინ, ბეჭდურ და აუდიო მედიის საქმიანობაზე დადებითად არ აისახება.

„სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული საქმიანობა, ძირითადად, გაზეთების გამოცემას, საინფორმაციო ცენტრების დაფინანსებისა და საეთერო დროის შეძენას მოიცავს. მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული გაზეთები სერიოზული გავლენის მქონედ არ მიიჩნევიან და რეგიონში სხვა გამოცემების ფუნქციონირებას არ ზღუდავენ. თუმცა ამ გამოცემებში გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტების განცხადებები ტენდერების ჩატარების შემთხვევაში დამოუკიდებელი რეგიონული გაზეთებისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო", – ვკითხულობთ კვლევაში.

ის, რაც რეგიონულ მედიას ცენტრალურისგან დადებითი კუთხით განასხვავებს, ისაა, რომ მათი მფლობელობის საკითხი გამჭვირვალეა. თუმცა ბევრი მათგანი გაქრობის საფრთხეს ყოველდღიურ რეჟიმში ებრძვის, მცირე გამონაკლისების გარდა, რეგიონული მედია განვითარების ნაცვლად მხოლოდ იმასღა ახერხებს, რომ იარსებოს.

ის, რაც რეგიონულ მედიას ცენტრალურისგან დადებითი კუთხით განასხვავებს, ისაა, რომ მათი მფლობელობის საკითხი გამჭვირვალეა. თუმცა ბევრი მათგანი გაქრობის საფრთხეს ყოველდღიურ რეჟიმში ებრძვის, მცირე გამონაკლისების გარდა, რეგიონული მედია განვითარების ნაცვლად მხოლოდ იმასღა ახერხებს, რომ იარსებოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის შეუსრულებელი მისია

პროკურატურა ერთ-ერთი იმ უწყებათაგანია, რომელთა გამოც წინა ხელისუფლებას გამუდმებით აკრიტიკებდნენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უწყების მიმართ ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად სამართლიანობის აღდგენა იქცა – ზოგს შელახული ღირსების აღდგენა სურდა, ზოგს ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, ზოგსაც ყოფილ მაღალჩინოსანთა პასუხისგებაში მიცემა. თუმცა საზოგადოების მოლოდინი ისევ იმედგაცრუებითა და კრიტიკული დამოკიდებულებით შეიცვალა.

ქეთევან ღვედაშვილი

რამდენიმე კვირის წინ ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი საკუთარ სადარბაზოსთან მოკლეს. მკვლელობის შესაძლო დამკვეთთან და მოტივთან დაკავშირებით საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრება გაჩნდა, თუმცა ხარძიანის ქონებასთან მკვლელობის კავშირი ვერავინ უარყო. ახლობლები მომხდარში გია უდესიანს ადანაშაულებენ. ბიზნესმენის მეგობარი, ჟურნალისტი ირაკლი კორძაია საქმესთან გენპროკურორის ყოფილი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილისა და შსს-ს გენინსპექციის ყოფილი უფროსის, ზვიად ჯანყარაშვილის კავშირზე საუბრობს. კორძაია აცხადებს, რომ ამ უკანასკნელთა საერთო ბიზნესინტერესების გამო, ნაცვლიშვილი ხარძიანის ქონების დაბრუნების საკითხს ხელოვნურად აფერხებდა.

ვინ და რატომ მოკლა ბესიკ ხარძიანი, ეს ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ამით პროკურატურის წარუმატებელ საქმეებს კიდევ ერთი შეემატა.

დაუბრუნებელი ქონებისა და გაუხსნელი დანაშაულების საქმეები პროკურატურაში მრავლადაა. ერთ-ერთი ასეთი საქმე ზურა ვაზაგაშვილის მამას, საკუთარი შვილის საფლავზე აფეთქებულ იური ვაზაგაშვილს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროკურატურას საჩივრით ათიათასობით მოქალაქემ მიმართა. როგორც არჩილ კბილაშვილი მთავარი პროკურორობის დროს აცხადებდა, უწყებაში პროკურორების სახელზე შესული საჩივრების უმეტესობა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ეხებოდა. ყოფილი გენპროკურორი იმასაც აღნიშნავდა, რომ კონკრეტულ პროკურორებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხის პოლიტიკურად დაურეგულირებლობის გამო ჭირდა.

ვერც ამ და ვერც სხვა პრობლემის მოგვარება უწყების ვერცერთმა ხელმძღვანელმა მოახერხა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელი რამდენჯერმე შეიცვალა. არასამთავრობო სექტორში გადასული არჩილ კბილაშვილი ნასამართლეობის მქონე ოთარ ფარცხალაძემ ჩაანაცვლა. 2014 წლის 21 იანვრიდან კი ამ თანამდებობას გიორგი ბადაშვილი იკავებს.

პროკურატურას რომ რეორგანიზება და კადრების გადახალისება სჭირდებოდა, ამის შესახებ არჩილ კბილაშვილმა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის დღესვე განაცხადა.

კბილაშვილმა პროკურატურაში ზედა რგოლების ცვლილება დააანონსა და უწყებაში მუშაობის დაწყების მსურველებს განცხადების შესატანად 2-დღიანი ვადა მისცა. კადრების გადახალისებისთვის მან ერთკვირიანი ვადა დათქვა.

ამასთან, კბილაშვილმა პროკურორებს მიმდინარე საქმეების 2 კვირით გადადება და სასამართლოში მიმდინარე პროცესების შეჩერება უბრძანა.

"პირველი კვირის განმავლობაში განახლდება მთლიანად პროკურატურა, ხოლო მეორე კვირას განახლებული პროკურატურა ახალი პროკურორებით ხელახლა გადახედავს მიმდინარე ბრალდებებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ - ან დავუჭერთ მხარს ბრალდებას და გავაგრძელებთ სასამართლო განხილვას, ან მოვხსნით მათ", – აცხადებდა ის.

ერთ კვირაში პროკურატურის რეორგანიზება რომ შეუძლებელია, მომავალში უკეთესად გამოჩნდა. უწყებაში საჩივრების შეტანისას მოქალაქეების უმეტესობა ამბობდა, რომ მათი საჩივარი განსახილველად იმავე პროკურორს ჩაბარდა, ვის წინააღმდეგაც შეიტანეს.

როგორც მოგვიანებით არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, მოქალაქეები 333 პროკურორიდან 330-ს უჩიოდნენ. მათი გათავისუფლება და ახალი კადრებით ჩანაცვლება შეუძლებელი იყო. ამიტომ მან საჩივრების განსახილველად 12-კაციანი კომისია შექმნა, თუმცა მათი მუშაობის შედეგი საზოგადოებამ ვერ იხილა.

ამაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანი ნაცვლიშვილიც საუბრობს. მისი თქმით, პროკურატურა

მოქალაქეთა საჩივრებზე არასათანადოდ რეაგირებს და სისტემაში სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული პირები ჯერ კიდევ რჩებიან.

ამ პრობლემის მოგვარება აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 2015 წლის თებერვალში გადაწყვიტა, როცა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტების, გამოძიების დეპარტამენტი შექმნა.

პროკურატურის წინაშე არსებულ არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევად მისი ინსტიტუციური ცვლილებები რჩება, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. უწყების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეებთან პირდაპირ კავშირშია.

პოლიტიკური მოტივაციის შესახებ კითხვის ნიშნები ყოფილი თანამდებობის პირების დაკავებისასვე გაჩნდა. ქართული და საერთაშორისო საზოგადოების ნაწილმა ეს პროცესები პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აღიქვა. მით უფრო იმ ფონზე, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უწყების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ვერ შეძლო – 2013 წლამდე მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე პრეზიდენტი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. დღეის მდგომარეობით კი ეს უფლებამოსილება პრემიერის ხელშია.

თვეობით წინასწარ პატიმრობაში მყოფი ყოფილი, მათ შორის ე.წ. კაბელების საქმეში ბრალდებული მაღალჩინოსნები; ე.წ. ტრაქტორების საქმე – დაწყებული გამოძიება და უკან წაღებული ბრალდება – ეს ყველაფერი სახელმწიფო ბრალდების არა მხოლოდ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, არამედ პროფესიონალიზმსაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

პროკურატურამ ერთგვარი გამოსავალი საერთაშორისო ჯგუფის შექმნაში იპოვა. ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების შესასწავლად 2014 წლის ივლისში მთავარი პროკურორის ინიციატივით შექმნილ ჯგუფში გაწევრიანებული არიან: სერ ჯოფრი ნაისი (გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ადვოკატი), მოშე ლადორი (ისრაელის სახელმწიფოს ყოფილი მთავარი პროკურორი) და პოლ კოფი (ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილი უფროსი).

ამ დროისთვის არსებული ორი დასკვნა – 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების, არკადი პატარკაციშვილის ქონების, მათ შორის ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდებისა და 2005 წელს ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტებს ეხება. ჯგუფის წევრები ქართველ პროკურორებს მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის გაგრძელების რეკომენდაციას აძლევენ.

სავარაუდოა, რომ ამით პროკურატურა შესაძლო პოლიტიკური სარჩულის შესახებ ეჭვების გაქარწყლებას ცდილობს.

პროკურატურის რეორგანიზების აუცილებლობაზე საუბრობს ადვოკატი კახა წერეთელიც, რომელიც უწყებაში 1998-2007 და 2012-2013 წლებში მუშაობდა.

იგი უწყების მთავარ გამოწვევად დამოუკიდებლობის გაძლიერებას მიიჩნევს. მისი შეფასებით, ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები და საფრთხეები არ უნდა არსებობდეს. მაგრამ როცა პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და გენპროკურპორის დანიშვნა-გათავისუფლებას პრემიერი ერთპიროვნულად წყვეტს, ეს უწყების პოლიტიკურ მოვლენებზე დამოკიდებულების საფრთხეს ქმნის. კახა წერეთელი მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორი იმპიჩმენტის წესით უნდა თავისუფლდებოდეს.

„თავისი პასუხისმგებლობა და თავისივე დაცვის გარანტიები რიგით პროკურორებსაც უნდა ჰქონდეთ. არ შეიძლება, ყველაფერი ცენტრალიზებულად წყდებოდეს“, – აცხადებს წერეთელი.

თუმცა ადვოკატი არ მიიჩნევს, რომ „სამართალი იგვიანებს“. მისი შეფასებით, მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში მთავარი სამართლიანობაა. ეს შეიძლება სწრაფიც იყოს და დროში გაჭიანურებულიც. სამართლიანობის საკითხს კი სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით აფასებს.

„ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი ორ კვირაში მთავრდებოდა, ყველა მხარე ერთ აზრზე იყო. პროკურატურა, რომელიც ძლიერი ჩანდა იმის გამო, რომ მის მიერ შეტანილ ყველა შუამდგომლობას სასამართლო აკმაყოფილებდა, საბოლოო ჯამში საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“.

ზოგადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კუთხით არსებულ ვითარებას ადვოკატი დადებითად აფასებს. თუმცა აღნიშნავს, რომ იდეალურისგან ძალიან შორს ვართ და გამოსასწორებლად ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

პროკურატურის როლი მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე სულ უფრო იზრდება. თუკი სამართლიანობის აღდგენის შესახებ დაპირება შეუსრულებელი დარჩება, ეს სავარაუდოდ მმართველ გუნდს 2016 წლის არჩევნებში კარგს არაფერს მოუტანს. გარდა ამისა, არსებობს ალბათობა, რომ საზოგადოება სამართლის აღსრულებას თვითნებურად შეეცდება.

პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამ სიტუაციაში კი მთავარი ხელისუფლების ნება და მისი მხრიდან გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხუცეს ქალთა საბჭო პანკისში

გულიკო ხანგოშვილი სოფელ დუისში ცხოვრობს. უხუცეს ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ 2 წლის წინ აირჩიეს.

2011 წელს პანკისის ხეობაში უხუცეს ქალთა საბჭო ჩამოყალიბდა. ქალებმა აქტიურობა დაიწყეს. ჩამოაყალიბეს ქალთა კლუბები და დღემდე სოფლებში ოჯახური კონფლიქტების მოგვარებასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობენ. საბჭოში 15 უხუცესი 45 წელს გადაცილებული ქალი შედის. მიუხედავად ქალის როლის გაძლიერებისა, საბოლოოდ გადაწვეტილებას უხუცეს კაცთა საბჭო იღებს, რომელიც ქალების კლუბების ჩამოყალიბებამდე უკვე არსებობდა. გარდა ამისა, სოფელ დუისში კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი ფუნქციონირებს, რომელიც ახალგაზრდების განათლებასა და სპორტულ-გამავჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვაზე ზრუნავს.
ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება, სამუშაო ადგილების სიმცირე და უმუშევრობა, სოფლების გაზიფიცირება, უხარისხო სამედიცინო მომსახურება, სკოლების გაუმართავი ინფრასტრუქტურა – ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლის მოგვარების გზებზეც კვირაში ერთხელ ფონდში კაცთა და ქალთა საბჭოს წევრები მსჯელობენ.

სოფო აფციაური

პანკისში, სოფელ დუისის კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ერთი ოთახის კუთხეში სკოლის მოსწავლე გოგონები სხედან, იქვე გვერდით სავარძელში კი – რამდენიმე ბიჭი. მაგიდის გარშემო პანკისელი, უხუცესი ქალები არიან შემოკრებილი. თვეში ერთხელ თბილისიდან დუისში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლები ჩადიან და ყველანი ერთად, სოფლის პრობლემებზე საუბრობენ. ქალებთან ერთად, როგორც წესი, უხუცესი კაცებიც არიან ხოლმე, თუმცა დღევანდელ შეხვედრას მხოლოდ ქალი წარმომადგენლები ესწრებიან.

თავდაპირველად ხეობაში მხოლოდ უხუცეს კაცთა საბჭო არსებობდა, თუმცა ნელ-

-ნელა აქტიურობა ქალებმაც დაიწყეს და 2011 წელს კახეთის რეგიონული განვითარების ფონდისა და გაეროს უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით უხუცეს ქალთა საბჭოც შეიქმნა.

საბჭო 15 მუდმივი წევრის, სამი ლიდერისა და 37-მდე მოხალისე ქალისგან შედგება. მათი დაკომპლექტება ასაკისა და ხეობაში მცხოვრებთა გვარების მიხედვით ხდება – ქალები 45 წელს გადაცილებულები უნდა იყვნენ და თითოეული მათგანი ერთ დიდ ან რამდენიმე გაერთიანებულ გვარს წარმოადგენს. ასევეა დაკომპლექტებული უხუცეს კაცთა საბჭოც, რომელიც ქალებთან შედარებით მეტი პრივილეგიით სარგებლობს. მაგალითად, ხეობაში წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტის მოგვარების დროს საბოლოო გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის მათზეა.

გულიკო ხანგოშვილი სოფელ დუისში ცხოვრობს. უხუცეს ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ 2 წლის წინ აირჩიეს. პროფესიით სტომატოლოგია და წლების განმავლობაში თბილისში მუშაობდა. შემდეგ ოჯახი შექმნა, ოთხი შვილი გააჩინა და საცხოვრებლად ახმეტაში გადავიდა. გარკვეული დროის განმავლობაში დიასახლისი იყო, შვილები როგორც კი წამოიზარდნენ, მუშაობა ისევ დაიწყო და ახლა სოფელ დუისში ოჯახში ძალადობისა და ზოგადად, ქალთა საკითხებზე აქტიურად მუშაობს. ამბობს, რომ მიუხედავად სოფელში დღემდე შემორჩენილი გენდერული სტერეოტიპებისა, მისი ოჯახისთვის განათლება და სამსახური ყოველთვის პრიორიტეტული იყო. წლებია თვითონაც გენდერულ სტერეოტიპებსა და ოჯახში ძალადობას ებრძვის.

ამბობს, რომ პანკისის ხეობაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში ქალზე ძალადობის შემთხვევები ფიქსირდება, თუმცა ძირითადად, ოჯახის წევრებს ამის საჯაროდ გამოტანა არ სურთ და საბჭოც საქმეებს ანონიმურად განიხილავს.

თუ ოჯახი ვინაობის გამხელის წინააღმდეგი არაა, საბჭო სასამართლო იმიტაციას აწყობს და რეგიონული განვითარების ფონდში მომჩივნისა და დაზარალებული პირების მოსმენის შემდეგ, ქალთა და კაცთა საბჭოს წევრები და მათთან ერთად მომუშავე იურისტები შესაბამის გადაწყვეტილებას იღებენ.

პროცესი ძირითადად, ცოლ-ქმრის დაშორების შემდეგ ქონების გაყოფასა და შვილების დატოვებას ეხება.

გულიკო მაგალითად ერთ შემთხვევას იხსენებს, როდესაც ეჭვიანობის ნიადაგზე შექმნილი უთანხმოების გამო ქალი დედასთან წავიდა. შვილი კი მამამ დაიტოვა. საქმეში ქალთა საბჭოს გარდა, კაცებიც ჩაერივნენ და შვილი დედასთან გადაიყვანეს:

„ყურანი ქალის მიმართ იმდენად ჰუმანურია, რომ უხუცეს კაცთა საბჭოს წევრები მსგავსი კონფლიქტის დროს ბავშვს ხშირ შემთხვევაში დედას უბრუნებენ. ამბობენ, რომ 12 წლამდე შვილი დედასთან უნდა იზრდებოდეს“, – ამბობს გულიკო და იმ პრობლემების შესახებაც საუბრობს, რაც ქალებს დამოუკიდებლად ცხოვრებაში ან კარიერულ წინსვლაში ხელს უშლის.

მისი აზრით, ეს, ერთი მხრივ, კულტურული თავისებურებების, მეორე მხრივ კი, განათლების არქონის ბრალია. „განათლება უდიდესი ძალაა, რომელიც ჩვენს კულტურულ და ტრადიციულ ბარიერებსაც კი ანგრევს“, – ამბობს საბჭოს თავმჯდომარე და პანკისი ხეობაში კიდევ ერთ პრობლემატურ საკითხს ეხება – ხეობის სოფლებში ადრეული ქორწინების შემთხვევების სიხშირეს. ამის მიზეზად ძირითადად სოციალურ პრობლემებს ასახელებენ.

გულიკო ხანგოშვილი იხსენებს 13 წლის გოგონას გათხოვების შემთხვევას, როდესაც რამდენიმე თვის წინ ადრეული ქორწინება დედის თანხმობით სწორედ სოციალური სიდუხჭირის გამო მოხდა.

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდში ახალგაზრდებს სხვადასხვა საგანში

■ საბჭო 15 მუდმივი წევრის, სამი ლიდერისა და 37-მდე მოხალისე ქალისგან შედგება. მათი დაკომპლექტება ასაკისა და ხეობაში მცხოვრებთა გვარების მიხედვით ხდება – ქალები 45 წელს გადაცილებულები უნდა იყვნენ და თითოეული მათგანი ერთ დიდ ან რამდენიმე გაერთიანებულ გვარს წარმოადგენს.



ფოტო: ლონდონ ფუტკარაძე

ქალთა საბჭოს შემადგენლობაში 15 მუდმივი წევრი, სამი ლიდერი და 37-მდე მოხალისე ქალია. მათი დაკომპლექტება ასაკისა და ხეობაში მხოვრები გვარების მიხედვით ხდება.

„ჩემი ოჯახი ძალიან რელიგიურია, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ სწავლაში ხელს მაქსიმალურად არ მიწყობენ. პირიქით, ჩვენს სოფელში ოჯახები უკვე გოგონების განათლებას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ბიჭებისას. ამაში დიდი წვლილი ქალთა კლუბებს მიუძღვის – ადრე პანკისში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაც არ იცოდნენ, ახლა შეიცვალა დამოკიდებულება. თუმცა, უნდა ვაღიარო, ჩვენს ხეობაში ზედმეტად მკაცრი და ტრადიციული კაცები ცხოვრობენ“, – ამბობს ეკა.

მომზადება ან კულტურული აქტივობებით დაკავება შეუძლიათ – ერთი ოთახი თექაზე სამუშაოდაა გამოყოფილი, ქართულში, საბუნებისმეტყველო საგნებში, ჩეჩნურ ენაში მეცადინეობა, ასევე კომპიუტერული კურსების გავლა სოფელში მცხოვრებ 200-მდე ბავშვს შეუძლია.

ნატა ბაღაკაშვილი საზოგადოებრივი ცენტრის კოორდინატორია. დუისში სოფელ ბირკიანიდან დადის და სკოლის მოსწავლეებს აღნიშნული კურსების გავლაში ეხმარება. 6-თვიანი მეცადინეობის შემდეგ მოსწავლეები გამოცდებს აბარებენ და შესაბამის სერტიფიკატებს იღებენ. ნატამ თბილისში უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა, 2 წელი პარიზში ისწავლა და შემდეგ დუისში სამუშაოდ ჩამოვიდა. ის ერთ-ერთი იმ ქალთაგანია, რომელიც თავსაფარს არ ატარებს.

ფიქრობს, რომ რელიგიური ფუნდამენტალიზმი ჯერ კიდევ დიდ გავლენას ახდენს ქალსა და კაცს შორის გენდერული თანასწორობის ჩამოყალიბებაზე.

„ხეობაში უმუშევრობის მხრივაც დიდი პრობლემაა. თითქოს, ეს ოჯახში ძალადობასთან არაა კავშირში, თუმცა, დამიჯერეთ, კონფლიქტებზე ესეც ძალიან დიდ გავლენას ახდენს“, – ამბობს ნატა.

პანკისის ხეობაში სამუშაო ადგილების სიმცირით გამოწვეულ სხვა შედეგებზე „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი ელენე რუსეცკაია საუბრობს. ამბობს, რომ უმუშევრობის გამო ხეობიდან მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება და სოფლები მოსახლეობისგან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისგან იცლება.

გარდა ამისა, პანკისის ხეობაში მცხოვრებლებს არაერთი პრობლემა აწუხებთ – სოფლებში არაა ბუნებრივი აირი, სკოლები ამორტიზებულია, არ არსებობს სარწყავი არხები, მანქანების სიმცირის გამო, მოსახლეობა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას დაგვიანებით იღებს.

სოფლის პრობლემების განხილვას სკოლის მოსწავლეებიც აქტიურად ესწრებიან. მანსურ მარგოშვილი მეთერთმეტე კლასელია, ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება უკვე დაიწყო და კერძო მასწავლებლებთანაც დადის, თუმცა ჯერ არ იცის, სწავლას რა ფაკულტეტზე გააგრძელებს.

საბჭოს შეხვედრაზე ამბობს, რომ სკოლებში არც კარგი ბიბლიოთეკებია და არც წიგნები. ასევე, უნდა, რომ მისი მშობლიური, ჩეჩნური ენა ისწავლებოდეს.

„ჩეჩნური ენა მხოლოდ კახეთის რეგიონული განვითარების ფონდში ისწავლება. მე არ მაქვს იმის დრო, რომ დამატებით აქ ვიარო. არადა, მინდა, რომ სკოლაში ჩემს მშობლიურ ენას ვსწავლობდე“, – ამბობს მანსური.

ეკა ქავთარაშვილი სკოლას წელს ამთავრებს და დიპლომატიურ ფაკულტეტზე უნდა ჩაბარება. სოფელზე მხოლოდ 3 გრანტია განსაზღვრული და არ იცის, შეძლებს თუ არა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფასოდ გაგრძელებას.

ეკა პანკისის ხეობაში ქალის როლის გაძლიერებაზე საუბრობს. ამბობს, რომ რაც სოფლებში ქალთა კლუბები ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა განათლებისადმი დამოკიდებულება. მისი აზრით, რელიგია მკაცრ კანონებს აწესებს, თუმცა ქალებს ეს განათლების მიღებაში ხელს არ უშლის.

„ჩემი ოჯახი ძალიან რელიგიურია, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ სწავლაში ხელს მაქსიმალურად არ მიწყობენ. პირიქით, ჩვენს სოფელში ოჯახები უკვე გოგონების განათლებას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ბიჭებისას. ამაში დიდი წვლილი ქალთა კლუბებს მიუძღვის – ადრე პანკისში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაც არ იცოდნენ, ახლა შეიცვალა დამოკიდებულება. თუმცა, უნდა ვაღიარო, ჩვენს ხეობაში ზედმეტად მკაცრი და ტრადიციული კაცები ცხოვრობენ“, – ამბობს ეკა.

ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება და მათი სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ერთ-ერთი მიზანია.

ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი: „ქალები და ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში პანკისის ხეობაში“ 2014 წელს დაიწყო და წელს, აპრილში სრულდება. ამ პერიოდის განმავლობაში ცენტრის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობასთან და საბჭოს წევრებთან შეხვედრებს ყოველთვიურად მართავენ. მუშაობა თავდაპირველად ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე იყო ორიენტირებული, თუმცა პროექტის კოორდინატორი ნანუკა ავალიანი ამბობს, რომ

ფოტო: ირაკლი ავალიანი

ადრეული ქორწინების შემთხვევები პანკისის ხეობის სოფლებშიც ხშირია. ამის მიზეზად ძირითადად, სოციალურ პრობლემებს ასახელებენ.

სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის გარეთ გამოტანა სურს:

„სწორედ ამიტომ, ჩვენი პროექტი თავისთავად გაფართოვდა და მედიატორის როლიც შევითვისეთ. საბჭოს შეხვედრებზე სხვადასხვა საკითხზე ვსაუბრობთ. შემდეგ ვცდილობთ, რომ დასახელებული პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის და შესაბამისი სამინისტროების დონეზე გავიტანოთ. შედეგად, გავხსენით ბიბლიოთეკა, ვატარებთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, შეჯიბრებსა და ტრენინგებს ცნობიერების ამაღლების მიზნით“, – ამბობს ნანუკა ავალიანი.

მისივე თქმით, მართალია ცენტრის პროექტი პანკისში დასასრულს უახლოვდება, თუმცა მათი მთავარი მიზანი ისაა, რომ აქ მაცხოვრებლებმა საკუთარი უფლებების დაცვის უნარ-ჩვევები გამოიმუშაონ და ამისთვის დამოუკიდებლად იბრძოლონ.

პანკისის ხეობაში ქალთა გაძლიერების კუთხით არსებული პროექტების მნიშვნელობაზე ცენტრის ხელმძღვანელი ელენე რუსეცკაიაც საუბრობს. მისი თქმით, ხეობაში ამ მხრივ დიდი პროგრესია, თუმცა კაცის ხმა ჯერ კიდევ უპირატესია:

„ეს მხოლოდ პანკისის ხეობის პრობლემა არაა, საქართველოს ბევრი რეგიონი ამავე მდგომარეობაშია. ამიტომ, მნიშვნელოვანია მუდმივი მუშაობა და ქალების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ბრძოლა“, – ამბობს რუსეცკაია.

შეძლებენ თუ არა ქალები თავისი აქტიურობით საკუთარი როლისა და სხვა ქალების გაძლიერებას, კარგი განათლების მიღებასა და კულტურული თავისებურებებით ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებთან გამკლავებას? – ამაზე პასუხის გაცემა რთულია, თუმცა ცხადია, რომ პანკისის ხეობაში ქალებმა საკუთარი უფლებების შესახებ ხმამაღლა და უკვე თამამად დაიწყეს საუბარი.

სტატია მომზადებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალები და ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში პანკისის ხეობაში“ ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალაიზიელი ქალები "ახლოს" და "შორიდან"

მალაიზიაში მათი ჩასვლა, ვისაც „პირველად ნახვის“ გამოცდილება ახარებს, ნამდვილი სიამოვნებაა. ამ ქვეყანაზე საქართველოში ხშირად არ ვსაუბრობთ. ასე რომ, ადგილზე აღმოაჩენთ, რომ მალაიზია აღმოსავლეთ აზიაში ნავთობისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ქვეყნის სიმდიდრეც თვალშისაცემია. 1957-იდან 2005 წლამდე მალაიზიის მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) საშუალოდ 6.5 პროცენტით მატულობდა, რამაც განაპირობა ის, რომ 2014-2015 წლებისთვის მალაიზია აზიაში მეექვსე ეკონომიკური ძალაა, ხოლო მსოფლიოში – მეოცე. ეს კი მას საფრანგეთზე, ავსტრალიასა და სამხრეთ კორეაზე მაღლა აყენებს.

ლიზა ადეიშვილი

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 12.000 დოლარს აღწევს, მაგრამ შემოსავლის თანასწორობის (ჩინი) მაჩვენებელი მაღალი, 46.2-ია. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი საშუალოა, 42-ი. მალაიზიელი ხალხი თბილი და უდარდელი, მათი იუმორი კი – განსაკუთრებული და ძალიან სასაცილოა. ამ ქვეყანაში სულ ზაფხულია, ულამაზესი პლაჟები, შთამბეჭდავი ეროვნული პარკები და ტყეები...

ტროპიკული სამოთხის მიღმა მრავალშრიან სოციალურ სტრუქტურას აღმოაჩენთ. მსოფლიოს მეინსტრიმული მედიის ყურადღებას ქალთა უფლებები, დისკრიმინაცია და პოზიტიური დისკრიმინაცია იქცევს. ერთი მხრივ, ხშირად შუქდება მაღალი ფენის ფემინისტური კამპანიები, რომლებიც ყოველდღიურ სექსიზმს ებრძვის, ინტერნეტში სწრაფად ვრცელდება ფემინისტური ჰაშტაგები: ქუჩაში ქალზე ძალადობის, ე.წ. „აკიდების“, აგრეთვე ქალის სხეულის არარეალისტური ფორმების დაწესების წინააღმდეგ, მეცნიერებაში ქალთა მეტად ჩასართველად... მეორე მხრივ, მედიაში შესამჩნევია ტენდენცია შუა აზიისა და სხვა მუსლიმური ქვეყნების ქალთა ყოფის განგაშით გაშუქება და განზოგადება. ეს ქვეყნები ყურადღებას მხოლოდ ექსტრემალური შემთხვევებით იქცევენ: ავღანეთში ფერჰუნდეს ჩაქოლვა ან დელიში ჯიოტი სინგის გაუპატიურების საქმე...

დასავლეთის ქვეყნებზე მისადაგებული კამპანიები მრავალგვარია, ხოლო აღმოსავლელ ქალს მეინსტრიმ ფემინიზმსა და მედიაში მეტწილად მხოლოდ ერთი იმიჯი აქვს – თავშებურული, დაჩაგრული და კონსერვატორი. რას ვხედავთ, როდესაც მუსლიმურ ქვეყანას „ინაურის“ თვალით ვუყურებთ, ვცხოვრობთ ამ ქალებთან ერთად, მათი ცხოვრების წესით? რა არის დღეს მალაიზიელი ქალის პრობლემა? რა აკონტროლებს მას – რელიგია თუ პატრიარქატი? რა აკნინებს – მალაიზიური მენტალიტეტი თუ დასავლური მედიისგან მიწებებული „ჩაგრული მუსლიმი ქალის“ სტიგმა? რა არის მალაიზიელი ქალის სტრატეგია საკუთარი სტატუსის გასაძლიერებლად?

მალაიზია მუსლიმური ქვეყანაა, სადაც 30 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. სამ ძირითად ეთნოსთან: მალე (50.1%), ჩინელ-მალე (22.6%) და ინდოელ-მალესთან (6.7%) ერთად მრავალი მცირე ეთნოსი თანაცხოვრობს (20.6%). მალე-მალაიზიელები პრივილეგირებული ეთნოსია. ისინი ყველაზე დიდი დოზით არიან პოლიტიკაში ჩართული. დაბადებით მუსლიმები არიან, რაც მათ პასპორტშიც აღნიშნულია. მუსლიმებს სახელმწიფოსგან სხვა მრავალ დახმარებასთან ერთად მიწები მემკვიდრეობით გადაეცემათ, რაც ბევრ სხვა ეთნოსს ისლამზე მოქცევისკენ უბიძგებს. მუსლიმებზე შარიათის კანონი ვრცელდება. ასე რომ, პრივილეგიასთან ერთად მათზე მეტი კონტროლიც მოდის – მუსლიმმა არ უნდა დაარღვიოს არც საერო და არც შარიათის კანონი. ჩინელი მალაიზიელები ბიზნესში არიან ჩართული და თვითმყოფად თემებად ჩამოყალიბებას ცდილობენ. ინდოელი მალეები

როგორც კი ქმარი მოხერხებულად დაჯდება, ცოლი სკუტერს დაძრავს. სამხრეთ ტაილანდის მუსულმანური რეგიონი მალაიზიის საზღვართან. 2015

ფოტო: ლუსა ალექსეევი

ადრე მუშათა კლასს მიეკუთვნებოდნენ. დღესდღეობით კი მათ უფრო მაღალ სოციალურ ფენებშიც ვხვდებით.

მალაიზიის დედაქალაქში, კუალა ლუმპურში ჩასვლისას, უცხოელ ქალთა ასოციაციას დავუკავშირდი. ასოციაციის წევრები მოქალაქეობის არმქონე, მაღალი ფენის ქალები არიან, რომელთა ქმრები მაღალანაზღაურებად პოსტებს იკავებენ. ასოციაციის პრეზიდენტმა, ყაზახმა ქალბატონმა ტატიანა მეხონცევამ მითხრა, რომ მალაიზიური პოლიტიკა ვერ იტანს უცხო პირის საშინაო საქმეებში ჩარევას და თუ სოციალურ თემებზე მსურდა საუბარი, არასწორ ადგილას მივედი. მისი თქმით, ასოციაციის წევრი ქალები ამგვარ თემებზე თამამი აზრების გამოხატვით ქმრებს სამუშაო ადგილების დაკარგვის საშიშროებას უქმნიან.

ტატიანა მეხონცევამ მაგალითად ავსტრალიელი ჰიპი მომიყვანა, რომელიც მთავრობამ დააკავა, რადგან გოგონამ ავსტრალიური კომპანია მალაიზიის გარემოს დაბინძურებაში დაადანაშაულა. ასევე დაამატა, რომ მალაიზიაში მცხოვრებ უცხოელთა Facebook-ი კონტროლდება და მთავრობისთვის არასასურველი პოსტი ან კომენტარი შეიძლება დაკავების ან ჯარიმის საბაბად იქცეს. მეხონცევამ მირჩია, ადგილობრივ მალაიზიურ არასამთავრებო ორგანიზაციებს დავკავშირებოდი, რადგან მათ სიტყვის მეტი თავისუფლება აქვთ.

მალაიზიაში მთავრობისგან აქციის ჩატარების ნებართვის მიღება რთული და ხანგრძლივი პროცესია. აქ არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას დისკრიმინაციას და სექსიზმს არ უპროტესტებენ – ისინი თანამშრომლობენ მასთან. ყველაზე ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითად არასამთავრობოებმა პარლამენტის ქალთა კონგრესთან ერთად შესწორებული და დაკონკრეტებული გაუპატიურების შესახებ კანონი დამისახელეს. მათ მიაღწიეს 1996 წელს მიღებული ოჯახში ძალადობის კანონის გადაკეთებას და დღეს ქორწინებაში მყოფთა შორის მომხდარი სექსუალური ძალადობა კანონში შეტანილია, როგორც გაუპატიურება (DV act). ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის, All Women's Action Association-ის წარმომადგენლებმა ამიხსნეს, რომ აგრესიული და მყისიერი პროტესტით მათი ორგანიზაცია დიდხანს ვერ იარსებებდა. აღნიშნული არასამთავრობო უკვე 25 წელიწადია არსებობს, პრობლემებზე გახსნილად საუბრობს და ქალთა უფლებების ქომაგია. მალაიზიაში ვერ ვნახე ქალთა ხმამაღალი მოძრაობის პერსპექტივა. ისინი უფრო წყნარ დინებას მიჰყვებიან. სამაგიეროდ არიან ქალები, რომლებიც სახელმწიფო ორგა-

■ მალაიზიაში მცხოვრებ უცხოელთა Facebook-ი კონტროლდება და მთავრობისთვის არასასურველი პოსტი ან კომენტარი შეიძლება დაკავების ან ჯარიმის საბაბად იქცეს.

ნოებთან თანამშრომლობენ, მუშაობენ პროექტებზე გოგონათა გასაძლიერებლად, ეხმარებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ.

23 იანვარს პორტ დიკსონში All Women's Action Association-ის სამდღიან „ფემინისტურ კამპინგს" დავესწარი. მიზანი ისეთ საკითხებზე საუბარი იყო, რომლებიც მედიისთვის, ხელისუფლებისთვის და მონაწილეთა ყოველდღიურ გარემოში მეორეხარისხოვანია. მასში მონაწილეობა 36-მა ადამიანმა მიიღო, მათ შორის იყვნენ მელეები, მალე-ინდოელები, მალე-ჩინელები, ევრაზიელები და ასევე ერთი მალე-ამერიკელი. დისკუსიების დროს ისინი მოსაზრებებს პირადი მაგალითებით ამდიდრებდნენ. ერთმა ქალმა მოძალადე მამაზე მოგვიყვა, რომელიც ცოლსა და ექვს ქალიშვილს სცემდა, რადგან ვაჟის არყოლის გამო იმედი ჰქონდა გაცრუებული. ერთმა ჰიჯაბიანმა გოგონამ გვიამბო, როგორ სცადა მეტროში მამაკაცმა მასზე მასტურბირება. ამგვარ ისტორიებს ახალგაცნობილ ადამიანებს არ უყვებიან, რადგან საზოგადოება გვასწავლის, რომ ეს მსხვერპლის სირცხვილია. მაგრამ კამპინგზე თითოეული მონაწილის ჯანსაღი პერსპექტივა იგრძნობოდა, ნებისმიერ მათგანი იტყოდა: „არ არის შენი ბრალი, თუ გარყვნილი ადამიანი მეტროში მასტურბირებს!" „არ არის შენი ბრალი, თუ ვინმე ეგზჰიბიციონისტია", „შენ არავისზე ნაკლები არ ხარ შენი სქესის გამო. შენი ბრალი არაა, თუ მამაშენი გონებრივად ავადმყოფია!" ამ განწყობამ ყველა გახსნილი და თავდაჯერებული გახადა.

ამ ღონისძიების დროს გავიცანი ქალთა უფლებების აქტივისტი ჩინელი-მალე ბენგ უი, რომელთანაც ხშირად ვსაუბრობდი. ბენგ უი 50 წლამდე ქალია. ის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა იმით, რამდენად ჩამოყალიბებული ჰქონდა აზრი სხვადასხვა საკითხებზე და ამავდროულად ყოველთვის გახსნილი რჩებოდა განსხვავებული აზრის მოსასმენად და მისაღებად. ის 25 წელია უკვე AWAM-ის წევრია. მან დასავლური განათლება ჯერ ავსტრალიაში, შემდეგ ჰოლანდიაში მიიღო, ხოლო დოქტორანტურა სინგაპურის უნივერსიტეტში დაამთავრა. ბენგ უი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში პოლიტიკასა და ისლამში სექსუალური ორიენტაციის საკითხებს იკვლევს (შეხუალიტყ ინ პოლიტიცს ანდ ისლამ). კვლევის თანახმად, ლესბოსელი და ტრანსგენდერი ქალების მიმართ დისკურსი განსაკუთრებით მკაცრი 1980-იანი წლების შემდეგ გახდა. შარიათის კანონი, რომელსაც საზოგადოება ღვთისგან გამოგზავნილად აღიქვამს, სხვადასხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული მალაიზიის 14 შტატში. ასე რომ, ლგტბ თემის მიმართ ტოლერანტულობა შტატების მიხედვით იცვლება. შესაბამისად, შტატში, სადაც ჩინელი პოლიტიკოსები მნიშვნელოვან პოსტებზე არიან, გეების მიმართ ტოლერანტულობა უფრო მაღალია, რადგან ისინი დაბადებით მუსლიმები არ არიან და საზოგადოება მათგან შარიათის კანონის ზედმიწევნით დაცვას არ მოელის.

ბენგ უიმ აღნიშნა, რომ მალაიზიური პოლიტიკა ძირითადად ეკონომიკური გაძლიერებისკენ არის მიმართული. მეტი ტოლერანტობა ტრანსგენდერთა მიმართ მალაიზიის თავისებურებაა. ისინი საუკუნეების მანძილზე სოფლის კულტურის ნაწილი იყვნენ (განსაკუთრებით ჩრდილოეთით). ძველად სოფლებში ქორწილებს აწყობდნენ და პატარძლის იმიჯზე ზრუნავდნენ. დღეს ყველაზე მეტად კოსმეტიკის სფეროში (ტრანსგენდერებს ხშირად ვხვდებით დიდ სავაჭრო ცენტრებში გამყიდველებად, კოსმეტოლოგებად) მუშაობენ. სამაგიეროდ ძალიან რთული იქნება ტრანსგენდერისთვის მასწავლებლობა, ექთნობა, პოლიტიკოსობა. ამ შეზღუდვის გამო ბევრი ტრანსგენდერი სექსმუშაკი ხდება და საზოგადოების თვალში მათი სტიგმატიზაცია აქედან იწყება. მართალია, მალაიზიის პოლიტიკა ჰომოსექსუალთა მიმართ მკაცრი ჩანს, მაგრამ ბენგ უიმ ამიხსნა, რომ შარიათის კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში დევნის „სოდომის ცოდვას", თუ ადგილი ჰქონდა ძალადობას. სხვა შემთხვევაში ძნელია ჰომოსექსუალობის გამო ვინმეს დასჯა, რადგან ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალობა საზოგადოების თვალისგან დაფარულია.

მალაიზიაში კონსტიტუციური მონარქიაა. ოჯახს, სოციალურ წარმოშობას და იერარქიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ყველაზე გავლენიანი ფემინისტი და თანამედროვედ მოაზროვნე ქალის, მარინა მაჰატჰირის ნააზრევი იმიტომ იბეჭდება, იმიტომ უსმენენ და სიტყვას აძლევენ, რომ ყოფილი პრემიერის ქალიშვილია. მაჰატჰირ მუჰამედი, მალაიზიის საყვარელი პოლიტიკოსი 22-წლიანი მმართველობის შემდეგ მალაიზიელებს დღესაც უღვივებს ეროვნულ სულისკვეთებას. ასე რომ, მის ქალიშვილსაც უსმენენ, თუნდაც იგი მამისგან განსხვავებით პროდასავლური ორიენტაციის იყოს. მარინა მაჰატჰირი აქტიურად იბრძვის აივ ინფექციის წინააღმდეგ. მისთვის ისლამი ქალის დაჩაგვრას საერთოდ არ უკავშირდება, პირიქით – „ყურანი ქალს აძლიერებს და ხელს უწყობს".

ესმის თუ არა მალაიზიას მუშა ქალების ხმა? ნუთუ დამთხვევაა, რომ პირველი ქალი მალაიზიაში, რომელიც აბორტის გაკეთებისთვის ციხეში ჩასვეს, და, სხვათა შორის, პირდაპირ კლინიკაში დააკავეს, ნეპალელი ემიგრანტი ქარხნის მუშაა; ქალი, რომელსაც არ აქვს განათლება და არ იცის არც ინგლისური და არც მალე ენები, რომელიც სასამართლო დარბაზში საკუთარ განაჩენსაც მისთვის გაუგებარ ენაზე ისმენდა. 2014 წლის ნოემბერში, როდესაც ყველანაირ სოციალურ მხარდაჭერას მოკლებული 24 წლის გოგონა აიყვანეს, ის ჯერ კიდევ პალატაში იქვა და ნარკოზიდან გამოდიოდა.

მალაიზიელ არასამთავრობოებთან საუბრისას ერთ-ერთი დისკუსია სწორედ ამ ნეპალელ გოგონას შეეხო – საშუალო ან საშუალო/მაღალი კლასის გოგონებმა სკოლის ბოლო წლები და „დაქალების" უამრავი აბორტი გაიხსენეს. ისიც კი მითხრეს, რომ აბორტი მალაიზიის „გამხელილი საიდუმლოა". ქალები, რომლებსაც საშუალება აქვთ კერძო კლინიკებს მიაკითხონ, ნაყოფს უპრობლემოდ იცილებენ. როგორც ჩანს, ნირმალა ციხეში იმიტომ ჩასვეს, რომ მალაიზიის მთავრობას ხალხისთვის მაგალითის ჩვენება მოუნდა – ვინ იქნებოდა უკეთესი ნიმუში, ვიდრე მუშა ემიგრანტი გოგონა, რომელიც აბორტს სამსახურის დაკარგვის შიშით იკეთებს?

დასავლური კულტურა მუსლიმ გოგონებს ხშირად ჩაგრულის იარლიყს აკრა-

ვს და მათ „გათავისუფლებაზე“, გაუნათლებლობაზე ღელავენ, როდესაც მათი პრობლემა რელიგია და რწმენა კი არა, პატრიარქატია, რომელიც ყველა სოციალურ სტრუქტურას თავის სასარგებლოდ იყენებს. საფრანგეთში სამწლიანი ცხოვრებისას თვალშისაცემი იყო ისლამოფობია, თუმცა ამას არავინ აღიარებდა. პარიზში ცხოვრებისას ვნახე, რომ საზოგადოების თვალში ჰიჯაბის ტარება გარკვეული კონსერვატიული აზროვნების ტარებასაც ნიშნავს (ხანდახან კი გაცილებით ნეგატიურ დატვირთვას ანიჭებენ, მაგალითად ექსტრემიზმს) და მისი სოციალიზაციის ფარგლები შეზღუდულია. მალაიზიაში ჰიჯაბიანი გოგონები ამ სტერეოტიპებში არ თავსდებიან: ისინი წევრიანდებიან არასამთავრობო ორგანიზაციებში, იცვამენ შორტებს, დადიან ბარებში, ცხოვრობენ შეყვარებულთან ერთად, მალაიზიაში გამოდის მოდური ჟურნალი „ჰიჯაბისტა“ (ჰიჯაბ + ფასჰიონისტა). საზოგადოება მათ იღებს ისეთს, როგორებიც არიან. ეს კი იმის განმაპირობებელია, რომ მეგობრების ჯგუფები სოციალურად უფრო შერეულია და საზოგადობაც უფრო შეკრული. გოგონამ, რომელიც ჰიჯაბს ატარებდა, მითხრა, რომ დასავლეთის „ალერგია“ ჰიჯაბზე გაუგებარი და შეურაცხმყოფელიც კია. რატომ არის ასეთი რთული იმის გაგება, რომ ჰიჯაბიანი გოგონა შეიძლება იყო ფემინისტიც, აბორტის მომხრეც, ლესბოსელიც და „შარლიც“?! მე ისევ მალაიზიაში ვიყავი, როდესაც პარიზში ტერორისტული აქტი მოხდა. მუსლიმურ ქვეყანაში ჟურნალისტთა ხოცვა ისევე განიცადეს და დაგმეს, როგორც დასავლურ სამყაროში, თუმცა ისინი არ იყვნენ „შარლი ჰებდოს“ ერთგული მკითხველნი.

ავტობუსის გაჩერებაზე უსახლკარო მძინარე კაცი. კუალა ლუმპური, მალაიზია. 2015

ფოტო: ბერიძის ალბომიდან

საფრანგეთში სამწლიანი ცხოვრებისას თვალშისაცემი იყო ისლამოფობია, თუმცა ამას არავინ აღიარებდა. პარიზში ცხოვრებისას ვნახე, რომ საზოგადოების თვალში ჰიჯაბის ტარება გარკვეული კონსერვატიული აზროვნების ტარებასაც ნიშნავს (ხანდახან კი გაცილებით ნეგატიურ დატვირთვას ანიჭებენ, მაგალითად ექსტრემიზმს) და მისი სოციალიზაციის ფარგლები შეზღუდულია.

საბოლოოდ, მალაიზიაში ქალის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების ნაკლებობაა. ქალებმა აქ უნდა იპოვონ გზა და ადგილი, სადაც მას მოუსმენენ და ცენზურას არ დაუწესებენ. ამ პრობლემას რომ გაუმკლავდეს, სტრატეგიულად უნდა იაზროვნოს, შეიცნოს თავისი გარემო, იცოდეს საკუთარი უფლებები და დაამყაროს საჭირო კონტაქტები. მეორე საკითხი მალაიზიური სამართლის ორმაგი სტანდარტია. არის შემთხვევები, როდესაც კანონის წინაშე ყველა თანასწორი არ არის. ეს ფენომენი ყველაზე მეტად მუშათა კლასს და მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირებს აზარალებს. ბევრმა მალემ აღნიშნა, რომ მალაიზიაში მკაცრი და რთულად ინტერპრეტირებადი კანონებია. კლასისტური მიდგომა, რომელიც მალაიზიაშია დამკვიდრებული, განაპირობებს იმას, რომ საშუალო და მაღალი ფენები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ და ყველაზე მეტად მუშათა კლასი იჩაგრება. მალაიზიელი ქალის პრობლემაა ისიც, თუ როგორ აღიქვამს მას მსოფლიო ევროცენტრული მედიის ხატების მეშვეობით, რომელსაც ისლამოფობიური ტენდენციები აქვს და აღმოსავლელი ქალების მდგომარეობას მხოლოდ ერთი მხრიდან აშუქებს. მალაიზიელი ქალის ბარიერი არა ისლამი, მისი რწმენა და რელიგია, არამედ სიტყვის თავისუფლების ნაკლებობა და ორმაგი სტანდარტებია. თუ არჩევნის პატივისცემა დასავლეთში ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რატომ არის ამდენად ძნელი, პატივი სცენ ქალებს, რომლებიც ჰიჯაბს ატარებენ?! რატომ დგას ყოველთვის კითხვა: გამართლებულია თუ არა ჰიჯაბის ტარება?! რატომ სჭირდებათ მუსულმან ქალებს დასავლეთის წინაშე გაამართლონ და დაასაბუთონ თავიანთი რელიგიური არჩევანი და თავი იმართლონ სეკულარული სტრუქტურების წინაშე? მალაიზიელ ქალთა მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანს არ სჭირდება, მთლიანად მიესადაგოს ერთ რომელიმე სოციალურ კატეგორიას, რადგან მას მრავალი მხარე აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიანკა

ანკა გუჯაბიძე

ბიანკას გადაღება საბის მკვლელობის შემდეგ დავიწყე. მახსოვს, რა რეაქცია მოჰყვა ამ ამბავს. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ დიდია, მკვლელს ამართლებდა. ამან გადამაწყვეტინა ისეთი პროექტის გადაღება, რომელიც სრულიად განსხვავებული იქნებოდა იმ სტერეოტიპებისგან, რომელსაც ჩვენი მედია ჰომოფობებს შეფარულად უმყარებს. ვცადე, პათეტიკისა და სატელევიზიო დრამის გარეშე მეჩვენებინა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. ადამიანის, რომელიც მუდმივად არის ზიზღის და დამცირების ობიექტი. ფოტოპროექტის გმირის მაგალითზე კარგად ჩანს, როგორი დაუნდობელნი ვართ ერთმანეთის მიმართ.

ჩემი აზრით, ბიანკას მიმართ გამოხატულ ძალიან დამთრგუნველ, შეურაცხმყოფელ და აგრესიულ დამოკიდებულებაში კარგად ჩანს ქართული საზოგადოების სახე.

პროექტზე მუშაობისას ჩვენ გვქონდა გულწრფელი საუბრები. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ საუბრებიდან.

რა რეაქცია ჰქონდათ ოჯახის წევრებს?

ძალიან მძიმე და რთული, რის გამოც ბევრჯერ თვითმკვლელობა ვცადე. ძალიან რთულად მიიღეს. განსაკუთრებით, დედამ და ბებიამ.

სოფელში დაახლოებით ორი წლის წინ გაიგეს. მანამდე მათთვის ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, რადგან არ აღიქვამდნენ, რომ ბიჭი ვიყავი, არც გართულება ჰქონიათ არასდროს. პირიქით, სახელიც მათ შემარქვეს – ანი. თუ ვინმე მოკვდებოდა, მეძახდნენ – „ანი დახმარება გვჭირდება“. მათთვის არ ვიყავი განსხვავებული, ჩვეულებრივ გოგოსავით მიყურებდნენ.

მაგრამ ბოლო ორი წელია, უკვე მიუღებლობაა. [...]

რა ფორმის აგრესიას შეხვედრიხარ?

ყველაზე მძაფრად მახსოვს გურიის ამბავი – 70-კაციანი ჩაქოლვა. ხელკეტს მირტყამდნენ და მემუქრებოდნენ – „აი ამ ადგილიდან შენ ცოცხალი ვერ გახვალო“ – ყველაზე მეტად ეს დამამახსოვრდა. მსგავსი რაღაცები, უკვე ჩემთვის გადახარშული იყო და ვიცოდი, რომ დიდ ქალაქში ჩასული იმავე ხიფათებს გადავეყრებოდი. მართლა განსაკუთრებულად მძიმე იყო გურიაში მომხდარი ამბავი.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს (ზუსტად არ ვიცი, რა დღე იყო) სტადიონზე გურიის ბიჭები თასის მოსაპოვებლად თამაშობდნენ. იქ იყო ჩვენი სამეზობლო – ვიღაცის მამა, ვიღაცის მშობელი, ნაცნობები. შევედი სტადიონზე, დავჯექი და ერთ-ერთი მოთამაშე, რომელიც ჩემი ღობის მეზობელია, მოდის და მეუბნება – „აქ რა ჩემი ... გინდა?“ მე ვუპასუხე, რომ სოფელი არავის საკუთრება არ არის. მან ხელი გამარტყა. არ მოვუთმინე და სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე. ამას სტვენა მოჰყვა და რამდენიმე ბიჭი მოვარდა. როცა უკვე შუა ჩხუბი იყო, აი იმ ბიჭს, რომელიც თავიდან მოვიდა, ფრჩხილებით დავუკაწრე სახე. რაზეც გაჭედეს, როგორ ავწიე ხელი.

ამ ამბავში მთელი სოფელი ჩაერთო. რაღაც მიზეზი უნდოდათ, რომ სოფლის წესებით გავეძევებინე.

როგორ უმკლავდები ქუჩაში აგრესიას?

დღესდღეობით ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევ, რადგან უკვე გადატანილი და გადახარშული მაქვს. არ ვაქცევ ყურადღებას არანაირად, თუ პირადად არ მეხება – არ შემეხებიან ხელით ან არ შეეხებიან ჩემს ოჯახს. სხვა შემთხვევაში, არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის ჩემზე. რადგან, როდესაც ხარ ტრანსი, განსხვავებული, არატრადიციული ორიენტაციის და თითით საჩვენებელი, თავზე თვითონ უნდა იმუშაო, რომ უფრო დიდი ხიფათი არ ნახო, რაც მე მაქვს გადატანილი. ქუჩაში აგრესია ჩემთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა.

რას გეუბნებიან ადამიანები, რომლებიც შემოდიან შენთან დიალოგში, გესაუბრებიან, მაგრამ არ იღებენ შენს იდენტობას?

ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. ასეთ ხალხთან ვერაფერს გავდივარ. აი, მაგალითად, გუშინ – ტაქსის მძღოლს ერთი საათი ვეუბნებოდი, რომ ტრანსი ავადმყოფი არ არის. ის მპასუხობს, რომ არის. შეაყარე კედელს ცერცვი და ეგ არის – აზრი არ აქვს.

უფრო მეტად რომელი ასაკობრივი კატეგორიიდან მოდის აგრესია?

აგრესია მოდის ახალგაზრდებიდან. ყოფილა შემთხვევა 13 წლის ბიჭისგანაც წამოსულა. ასე მგონია, რომ 25 წლამდე უფრო აგრესიულად განწყობილნი არიან. დღესდღეობით ახალგაზრდებში აგრესიამ იმატა. დამოკიდებულება მხოლოდ ჩემი დედ-მამისხელა ხალხისგან შეიცვალა. მათგან ოდნავი პატივისცემა და შეგნება მაინც მოდის. ახალგაზრდებისგან წამოსული აგრესია უფრო ინტენსიურიც კი გახდა.

ფოტოპროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა




SHELLALE DISCOBAR

TOMA TURKA







METRO
ANKARA
ISTANBUL

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გზა მაჯონდოში მიდის

ეს ძველი ამბებია, გამოგონილი ქალაქი, გამოგონილი სამყარო ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ლიტერატურაში ჩნდება. შეიძლება მანამდეც არსებობდა, ეგვიპტურ ან შუმერულ ლიტერატურაში, თუმცა ამას ვერ ვადასტურებთ. ზუსტი აღმოჩნდა ჰომეროსი, თანაც იმდენად, რომ რაც კი თქვა, ქალაქი იქნებოდა, თუ მდინარე, შლიმანის შრომის შედეგად ყველაფერს მივაგენით. შეიძლება კონკრეტული მეომრისა თუ ფარისთვისაც კი მიგვეკვლია...

ლევან ბერძენიშვილი

გამოგონილი ქალაქი ანტიკურობაშივე გაჩნდა და თანაც ისე, როგორც ის მომავალში ლიტერატურას დასჭირდა. პლატონმა გამოიგონა ატლანტისი, ატლანტიდასაც რომ უხმობენ, და უპირველესად ხაზი გაუსვა იმ მითებს, ქალაქის არსებობას რომ ამტკიცებდნენ. ამ თეორიის მიხედვით, ატლანტისი ევროპასა და ამერიკას შორის უნდა არსებობდეს. ეს ქალაქი პლატონის დრომდე სულ ცოტა ათი საუკუნით ადრე უნდა გამქრალიყო, რა თქმა უნდა, თუკი მის გაუჩინარებას მსოფლიო წარღვნას დავუკავშირებთ.

ვფიქრობ, პლატონს ატლანტისი ზუსტად იმისათვის დასჭირდა, რისთვისაც ანალოგიურ მეთოდს შემდეგ თომას მორი და არაერთი სხვა ავტორი მიმართავს, ანუ პლატონი ქმნიდა სამყაროს, სადაც იყო წესრიგი და ვინაიდან დედამიწის ზურგზე არ არსებობს ასეთი ადგილი, ამისთვის გამოგონილი სამყარო იქმნება.

ბუენდიების გენეალოგიური ხე

ამ სამყაროებს განსაკურებულად მიმზიდველი „აურა“ აქვთ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1541 წელს ცნობილი კონკისტადორი, კიტოს გუბერნატორი, გონსალო პისარო 340 გაწვრთნილი ჯარისკაცითა და ოთხი ათასი ადგილობრივით „ელ დორადოს“, იმ ქალაქის საპოვნელად დაიძრა, ენთუზიასტები დღესაც უშედეგოდ რომ ეძებენ.

შემდგომში „ელ დორადო“ – ზღაპრული ოქროს ქალაქი - მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ჩნდება, აქვეა ფრანგული ლიტერატურის ამბებიც – „მთელი ოქრო პერუდან“...

ეს მაგიაა – არსებობს ქალაქები, რომლებიც სხვებს არ ჰგავს, განსაკუთრებულია და შესაბამისად არც ჩანს, უნდა მიაგნო, უნდა იპოვო, აღმოაჩინო.

მაგია კიდევ ისეთი უნდა, სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურას, გამოგონილი სამყაროების მექას რომ ახასიათებს. თავისთავად მაგიური რეალიზმი ოქსიმორონი, „ცხელი თოვლის“ მსგავსი სიტყვათშეთანხმებაა. ეს მაგია შეიძლება რომანტიკულადაც იყოს გადმოცემული, მაგრამ მისი ძალა ამ ამბების დამაჯერებლობა, ისე გადმოცემაა, თითქოს ნამდვილი იყოს. დამაჯერებელი კი არა, ზოგჯერ ქუჩაში სიარულისას იმასაც ფიქრობ, რომ რომე-

ატლანტიდა

ლიმე არკადიო ან პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია შეგხვდება აუცილებლად. მაკონდოში ხომ მოხვდები და მოხვდები - ყველა გზა ხომ მაკონდოში მიდის.

მაკონდოზე სულ ის ჩემი მეგობარი მახსენდება, ერთ-ერთ სტატიაში რომ აღვნიშნე, რომანების დასაწყისები ზეპირად იცის-მეთქი. „მარტოობის ასი წელიწადის" საკმაოდ დიდი მონაკვეთი იცოდა კარგად, და როცა რომელიმე შეკრებისას თუ მეგობრების წრეში დაასრულებდა პასაჟს სიტყვებით – „Это была в Макондо", ყველა ღელავდა მაკონდოზე, ქალაქზე, რომელიც არავინ იცოდა, არსებობდა თუ არა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ არაკატაკაში, რომელიც მარკესმა სამყაროს ცენტრად აქცია, არსებობს ასეთი პატარა დასახლება. გადმოცემის მიხედვით, თუ არაკატაკადან, ე.წ. ბანანის მხარეში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კოლუმბიის მიმართულებით წახვალ, ბანანის ზონასა და სიენაგას შორის არის პატარა დასახლება, სახელად მაკონდო, საიდანაც უკან ვერავინ ბრუნდება. რა თქმა უნდა, ამ დასახლებას არანაირი კავშირი არ აქვს გაბოს მიერ შექმნილ სამყაროსთან, ქალაქთან, რომელიც პირველად მწერლის 40-50-იანი წლების მოთხრობებში ჩნდება.

„მარტოობის ას წელიწადში", გამოგონილ სამყაროში, მაკონდო XIX საუკუნის 40-იან წლებში იბადება და XX საუკუნის 30-იან წლებამდე, ანუ მთელ საუკუნეს ძლებს. ამ საუკუნის განმავლობაში დასახლებაში ექვსი თაობა შეიცვლება.

ექვსი თაობა ხუმრობა საქმე არ გეგონოთ. ბერძნულ მითოლოგიას თუ გადავხედავთ, აქ არის ოთხი თაობა: ქაოსიდან ჩნდება წესრიგი, შემდეგ მოდის ურანოსი, კრონოსი და ბოლოს ზევსი. ადამიანები მეხუთე თაობაში ჩნდებიან, ხოლო ოქროს ადამიანების გადაგვარება და დაცემა, მათი რკინის ადამიანებად ქცევა მეექვსე თაობაში ხდება. აი ეს იცის მარკესმა!

მას შეეძლო ნებისმიერი ქალაქი აეღო და გაენადგურებინა ისე, როგორც რომი დაანგრია და მოსპო ლუიჯი პირანდელომ. ეს ცალკე ხელოვნებაა. თუმცა მაკონდო გაბოს ერთი მთავარი რამის სათქმელად დასჭირდა – ექვსი თაობა, განვითარებაც

ელდორადო

ექვსი თაობა ხუმრობა საქმე არ გეგონოთ. ბერძნულ მითოლოგიას თუ გადავხედავთ, აქ არის ოთხი თაობა: ქაოსიდან ჩნდება წესრიგი, შემდეგ მოდის ურანოსი, კრონოსი და ბოლოს ზევსი. ადამიანები მეხუთე თაობაში ჩნდებიან, ხოლო ოქროს ადამიანების გადაგვარება და დაცემა, მათი რკინის ადამიანებად ქცევა მეექვსე თაობაში ხდება. აი ეს იცის მარკესმა!

და გადაგვარებაც, თუმცა უკანასკნელი მათგანიც რომ გადარჩენილიყო, სამყარო უკეთესი იქნებოდა. აი ამ ტრაგიკული აზრის თქმა სურდა მარკესს. პატარა მაკონდოს ისტორია კოლუმბიის ისტორიის ერთ-ერთი საუკუნე არ გეგონოთ – ეს მთელი სამყაროს ისტორიაა.

სამხრეთ ამერიკელები საერთოდ ზღაპრული ხალხია, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწერლობა აქვთ და თანაც ამტკიცებენ, რომ სამხრეთ ამერიკულ საფუძვლებზე დგანან, მაშინ როდესაც რეალურად ევროპულს ეყრდნობიან. ვფიქრობ, ეს ამბები ალეხო კარპენტიერიმ მოიფიქრა. საერთოდაც, ამ საქმეში ლიდერი კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები იყო. გამოგონილი სამყარო, ქალაქი აქაური მწერლების ფანტაზიის ნაყოფია, და რაც უფრო სამხრეთით მივდივართ, ეს გამოგონება ფანტასტიკურ დონეს აღწევს.

ამ მწერალთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი – ხულიო კორტასარი – ქალაქებს სხვანაირად იგონებდა. მისი ერთი პერსონაჟი ერთდროულად კვდება ევროპის ქალაქის სუფთა ჰოსპიტლის სარეცელზე და აცტეკების მსხვერპლშესაწირ ქვაზე. ასეთი რამ მოიფიქრა კორტასარმა, მანვე გვაჩვენა ერთი ადამიანი ორ ქალაქში. რაც უნდა ერქვას, ლიმა, პარიზი თუ სხვა, მათი თანადროულობა ამ ქალაქებს გამოგონილი სამყაროს ნაწილად აქცევს.

გამოგონილია თითოეული ქოხი, რომლიდანაც პერსონაჟი ისეთ კაცთან გამოდის და შედის, რომელმაც თავის ნაწარმოებს გამოგონება, ფიქცია დაარქვა. მოცულობით დიდი წიგნები არ დაუწერია ყველა დროის ყველაზე დიდ სამხრეთ ამერიკელ მწერალს, ხორხე ლუის ბორხესს.

ჰიბრიდული სახელმწიფო – კოსტაგუანა გამოიგონა ჯოზეფ კონრადმა, ქვეყანა, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს ნიშანს ატარებს – აქ იმართება კარნავალები, კარგი ჰაერია და ადგილობრივზე უკეთეს ხორცს ვერსად ნახავთ.

საერთოდ ბევრი დაწერილა იმაზე, თუ რა საჭიროა სამყაროს, ქალაქის გამოგონება. ფაქტი კი ერთია, გამოგონილ სამყაროს დიდი ხიბლი აქვს – ცენზურას იოლად

უვლის გვერდს და დროისა არ ეშინია. მარკესსაც, ასტურიასსაც, ფუენტესსაც, კარპენტიერსაც სამყაროების გამოგონება იმისთვის დასჭირდათ, რომ არსებობდა რეჟიმები, რომლებიც ვერ იღებდნენ ვერანაირ კრიტიკას. ეს საკითხი ქართველებს კარგად გვესმის, „სამოსელი პირველიც" ხომ გამოგონილი სამყაროა, თანაც ზუსტად „იქაური". მოგეხსენებათ კანუდოსი ცნობილი ისტორიული ამბავია, ოღონდაც აქ მწერალმა ჭკვიანურ ხერხს მიაგნო – უცხოელები ქართველები არიან, ქართველები – უცხოელები, ყველაფერი გასაგებია.

გამოგონილი სამყარო, გამოგონილი ქალაქი და პერსონაჟები ლიტერატურის არსია. ლიტერატურაში ქალაქს გინდა თბილისი დაარქვი, გინდა ქუთაისი, ის მაინც გამოგონილია, ის ის მაინც არ არის, რაც რეალურად გვაქვს. მაკონდოს გამოგონებისთვის მსოფლიომ ძეგლი უნდა დაუდგას მარკესს – სისხლის აღრევის შიშმა და არასწორმა საფუძველმა შექმნა ქალაქი, რომელმაც კინაღამ იხსნა სამყარო, თუმცა საფუძველი საფუძველია და ამიტომაც იგი დაინგრევა. ამ ნაწარმოებში ყველაზე დიდი ბედნიერებაც სწორედ ის არის, რომ უბედურება მოხდა და გამოგონილი დამთავრდა.

სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურაში კრეატიულობის ეს უზარმაზარი ნაკადი, რაც სრულიად უცხო იყო ევროპულისთვის, ვეებერთელა იმპულსად იქცა, რომელმაც ევროპაში სწორედ მაშინ შემოაღწია, როდესაც რომანი აქ სულს ღაფავდა. სამხრეთ ამერიკელებმა მისი რეალობის მაგიაში გადატანა შეძლეს და როდესაც ეს ევროპაში მოხვდა, მან გამოფხიზლება, ახალი ფორმების ძიება დაიწყო, თანაც ისე, რომ სამხრეთ ამერიკული ლიტერატურისთვის არ მიებაძა.

როდესაც ჰომეროსი ილიონს, ანუ ტროას აღწერდა, მისთვის ეს ქალაქი გამოგონილი იყო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ამბებიდან სულ მცირე ოთხასი წელი იყო გასული. მიუხედავად ამისა, ჰომეროსი წერს, როგორც ამ ომის თანამედროვე. ეს არის საიდუმლო, რომელიც მისგან სამხრეთ ამერიკულმა ლიტერატურამ ისწავლა. ეს ლიტერატურა აღწერილ ამბებთან არც დროში და არც სივრცეში დისტანცირებული არ არის. ეს არის მისი განსაკუთრებული ძალა. საოცარია, როგორ ხერხდება მკვდარი ძროხის ისე წარმოჩენა, თითქოს ავტორი აშკარად ადგილზე იმყოფება. ამ გამოგონილ სამყაროებში ჩვენც ნამდვილად ადგილზე ვართ.

ეს ავტორები ადამიანის წარმოსახვის უნარს, აინშტაინის სიტყვებით, „ცოდნაზე მნიშვნელოვან" რამეს ენდობიან და ყველამ უნდა იცოდეს, რომ არსებულს, ყოველთვის გამოგონილი ქალაქი ჯობია, ანუ ქალაქი თბილისი გალაკტიონის ლექსში „თბილისი", ბევრად სჯობს იმ არქიტექტურულ „საოცრებას", რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ამ მწერალთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი – ხულიო კორტასარი – ქალაქებს სხვანაირად იგონებდა. მისი ერთი პერსონაჟი ერთდროულად კვდება ევროპის ქალაქის სუფთა ჰოსპიტლის სარეცელზე და აცტეკების მსხვერპლშესაწირ ქვაზე. ასეთი რამ მოიფიქრა კორტასარმა, მანვე გვაჩვენა ერთი ადამიანი ორ ქალაქში. რაც უნდა ერქვას, ლიმა, პარიზი თუ სხვა, მათი თანადროულობა ამ ქალაქებს გამოგონილი სამყაროს ნაწილად აქცევს.

ქართული ღვინო საერთაშორისო გამოფენებზე

ქართული ღვინო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ოფლიოს 7 ქვეყანაში გამართულ სხვადასხვა მნიშვნელო- ნ საერთაშორისო გამოფენასა, თუ პრეზენტაციაზე იყო წარ- ენილი - საფრანგეთში, გერმანიაში, ჩინეთში, იტალიაში, ონიაში, აშშ-სა და პოლონეთში.

ვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართულ ღვი- ს კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი წარმოების ინო, ბრენდი და ჭაჭა ათასობით ღვინის პროფესიონალისა ა მოყვარულისთვის დაეგემოვნებინათ. რამდენიმე ქართული ღვინო აღნიშნული გამოფენებიდან ოქროს, ვერცხლისა და ბრილიანტის მედლებითაც დაბრუნდა.

ქართული ღვინის დაჭაშნიკებას 9 მაისს, დედა ენის ბაღში, „ახალი ღვინის ფესტივალზე" საქართველოში მაცხოვრებლებიც შეძლებენ.

ადგილობრივ, თუ საერთაშორისო გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენა საშუალებას იძლევა გაიგოს მსოფლიომ, რომ საქართველოში ღვინის წარმოება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ.

ᲓᲐᲮᲐᲩᲒᲣᲚᲘ ᲧᲐᲜᲬᲔᲑᲘ

გიორგი კეკელიძე

■ გალაკტიონს ჩვეოდა კოლეგების გამოჯავრება. თავისებურად. მწარედ. ის განზე იდგა. განზე და ალბათ უფრო მაღლაც. პაოლოს კი გაწევა უყვარდა და გაიწია კიდეც, ოღონდ შუაში ჩადგნენ სხვა მწერლები და პოეტები. პოეტები საქართველოსი – როგორც გალაკტიონი ამბობდა. თუმცა გალამ მთაწმინდის მთვარე და ლურჯა ცხენები მანდ დაბეჭდა იმ საფირმო, უცნაურ ფორმატში, ამ ლეგენდარულ ნომერს რომ ახასიათებდა – რითმის ნაწილის გამოყოფით: სითამ-ამე/ღ-ამე , ასხვაფ-ერებს/ჩანჩქ-ერებს და ასე შემდეგ.

„პავლე რომ დეიყლანწები,
სადაა შენი ყანწები?!“

გალაკტიონს ჩვეოდა კოლეგების გამოჯავრება. თავისებურად. მწარედ. ის განზე იდგა. განზე და ალბათ უფრო მაღლაც. პაოლოს კი გაწევა უყვარდა და გაიწია კიდეც, ოღონდ შუაში ჩადგნენ სხვა მწერლები და პოეტები. პოეტები საქართველოსი – როგორც გალაკტიონი ამბობდა. თუმცა გალამ მთაწმინდის მთვარე და ლურჯა ცხენები მანდ დაბეჭდა იმ საფირმო, უცნაურ ფორმატში, ამ ლეგენდარულ ნომერს რომ ახასიათებდა – რითმის ნაწილის გამოყოფით: სითამ-ამე/ღ-ამე, ასხვაფ-ერებს/ჩანჩქ-ერებს და ასე შემდეგ. ეს ჩხუბი კი, სადაც ახლა მაკდონალდსის შენობაა, ემანდ მომხდარა, ოდნავ ზემოთ.

ცისფერი ყანწების ორი ნომერი გამოვიდა და მორჩა. ასე დამთავრდა სევდიანი, არეული, ბოჰემებისა თუ ცრუბოჰემების, დიდი თეატრებისა და ხანაც ცოტა სიყალბეშეპარული ვოდევილების ერა. ევროპის უცაბედი ნაბიჯები საქართველოში, აჩქარებული შემორბენა და მერე გაქცევა, უკანმოუხედავად. ათწლეულობით. ეგებ დღემდეც კი. და მის ნაფეხურებში ჩამდგარი სისხლი, რომელიც არ აშრა, არამედ გაიყინა. ყველაზე უმცროსია და ეგ მაინც გადარჩესო, გოგლა ლეონიძეზე ამბობდნენ. გოგლა გადარჩა და მერე ამ გაყინულ სისხლზე დაწერა:

რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,
გამაგებინე – რა ლექსი გინდა,
რომ არ მომეცი მე მყუდროება,
არც წყალი მასვი მე გემო წმინდა.

რად დამიგრიხე ხორხზე საბელი
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე,
რად აკვლევინე კაენს აბელი,
რომ ერთი ძმაც კი არ შემირჩინე...

მაგრამ სანამ ძმები დაიხოცებოდნენ – ზოგი სხვისი ტყვიით, ზოგი – თავისით, ზოგი „მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა“, ეს საოცარი ჟურნალი დაიბადა. 1916 წელს. ქუთაისში. მაშინ პოეტების სატახტო იქ იყო, მერე თვითონვე გადმოიტანეს თბილისში, სხვადასხვა მიზეზით. ეს მიზეზები ცალკე საკვლევია –

„მინდა ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო ბინა შენ;
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე“.

სხვა მისტიციზმია. სოციო-მისტიციზმი ასე ვთქვათ. ჯერ კიდევ ქუჯისა და ფარნავაზის ამბით იწყება და სხვა. რაც შეეხება ჟურნალს, იქ გრიგოლ რობაქაძეა. ამ უცხოეთმოვლილ და საერთოდ კარგად მოვლილ კაცს გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ყანწელ ხალხზე. მეტრი – როგორც ჩვენებურ ოთხმოცდაათიანების პრესაში უყვარდათ. გრიგოლი კი ლექციებს კითხულობდა და ეს გამოსვლები გულისხმობდა, რომ იქ, სადაც ვიყავით, აღარ დაგვედგომებოდა. „საჭიროა აჯანყება, თორემ გავიგუდებით, ოღონდ ფესვებზე დაყრდნობით“, ყველა ეძებს წინაპარს. ამათ ახლო წარსული არ უნდოდათ. „არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო, ან აკაკი, მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც ბოჰემა“, თუმცა ბარათაშვილი უყვარდათ და, ასე განსაჯეთ, ბესიკიც. ეს უკანასკნელი ან უყვარდათ, ან კარგი მიზეზი იყო ფესვებით აჯანყებისთვის, რადგან „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ ბრწყინვალედ ჟღერს. ხოლო მანიფესტი კიდევ ბრწყინვალედ ჟღერდა. ბრწყინვალედ და ცოტა შემაშინებლად – როგორც იმ დროის ტექსტთა წესია.

„ისმინეთ ჩემი ქადაგება!“ – გაჰყვიროდა პაოლო. ხოლო ქადაგება ნიშნავდა: „ძლიერება ხალხის სულს და ავადმყოფ სხეულს! ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ – მღელვარების, ხმიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა“, დეკადენტური პათოსი ალაგ-ალაგ პატრიოტული სულით. აი,

კარდუს და მზის პატრიოტიზმით. ავით და მომხიბვლელით. ვულკანივით. ეს მანიფესტი სამყაროს მოსუფთავების სურვილით იყო ნაკარნახევი, ოღონდ ფუტურისტების ტოტალური ცოცხის ნაცვლად, აქ პროცესი დაგემოვნებით ხდებოდა – ვიღაც ხვდებოდა სანაგვეზე, ვიღაც არა. მაგრამ ძახილი კი ყველას აშინებდა:

„არული, არული, თქვენ საცოდავო საჭურისებო და ხმა დაკარგულნო მომღერალნო. დაჰშორდით ჩვენს გზას და დაიკარგეთ უთვალო უფსკრულში“ და მერე იწყება რობაქიძის სირენა, რომელიც გრიშაშვილის ლექსი უფრო გეგონება და მერე თვითონ გრიშაშვილი. ი-გრი. გალაზე უკვე გითხარით. მერე ელენე დარიანი. სადავო სახელი (პოეტურ ამბავში). მაგრამ ლექსები უდავო, ეროტიკული. იმაზე თამამი, ვიდრე ელოდნენ ამ გიჟი ბიჭებისგან და გოგოებისგან: „და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები. მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს“, ივ. ყიფიანი. ვალერიანი – „ეს უცხო ღამე, ვით შავი ძაღლი“, ტიტე ქალდეაში. თვითონ დანტემოწყენილი პაოლო, დენდი ნ. ლორთქიფანიძე. ლელი ჯაფარიძე. ალ. ცირეკიძე. აკაკი ფაღავა. არ. ჭუმბაძე და ბალმონტი. ეს ერთადერთი უცხოელი. ან რანაირი უცხოელი, სიმბოლისტებს ხომ ფეხქვეშ ერთი მიწა ეცლებოდათ. მერე ისეც ტიტე, ერთგვარი საპროგრამო ბოლოსტყვით. ჯერ ავტორთა შეფასება, მერე გზის დანახვა და ამ გზის შეფასება: „არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლოზმისთვის? ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტორული სული. იმას უნდა, რომ მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების... ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის, და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

კატეგორიულობა ამ ჟურნალის მთავარ ფორმათაგანია. ან კი სხვანაირად როგორ გამოვიდოდა. ხოლო მეორე ნომერში გალაკტიონი არ ჩანს. ეს სხვა გაყოფის დასაწყისია. დიდი და წმინდა ომის. მაგრამ საომარი მოწოდება სხვების მიმართაა: „ჩვენ მოვისმინეთ თქვენი წყევლა... გვესმოდა ხმები უძლური და არ სჩანდა თქვენი ხმალი“ (ყვითელ მტრებს) მერე ლექსები, ლექსები, ლექსები, ლექსები და ბოლოს ისევ ტიტე. უფრო დინჯი. მეცნიერული. იმედიანიც. ხსნის საკითხს, ისევ კატეგორიულად, ოღონდ ნაკლები პათოსით. ბევრი რამ წერია და ბევრ რამეზე, მაგრამ მე ნიშანდობლივ ფინალს მოგიყვანთ:

„საზოგადოებრივი და ხელოვნების კრიზისი ერთმანეთს გადაება. რუსულმა გავლენამ ქნა ის, რომ შეიქნა ყიზილბაშური თეორია, სადაც მტკიცდებოდა კულტურტრეგერობა საქართველოსი და სრულიად შემთხვევით არ იყო, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის დაცემის საკითხი რევოლუციის მეორე დღეს დაისვა“.

რუსულმა გავლენამ უფრო მეტი „ქნა“. წლების მერე ტიტე სადღაც დახვრიტეს. ეს ჟურნალები აკრძალეს. პაოლომ თოფი მიიყუდა. ვალერიანმა ჩაკეტილი დღეების საწამლავი. ყანწები გაშავდნენ.

„ისმინეთ ჩემი ქადაგება!“ – გაჰყვიროდა პაოლო. ხოლო ქადაგება ნიშნავდა: „ძლიერება ხალხის სულს და ავადმყოფ სხეულს! ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ – მღელვარების, ხმიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესნობ მუშათა პირველი მაისი

1 მაისის სახელს მღელვარე რევოლუციური წასულის მქონე ტფილისში პატარა ქუჩა ატარებდა, შუაბაზრიდან ალავერდოვის (ყოფილი აბასაბადის) მოედნისკენ რომ უხვევდა. აქ 1903 წელს მძიმე რეპრესიებით შევიწროებულმა სოციალ-დემოკრატმა მუშებმა მაინც გაბედეს საპირველმაისო დემონსტრაციის გამართვა: ქუჩაში მიმავალ დაკრძალვის პროცესიას აედევნენ, წითელი დროშაც გამოფინეს და პოლიციასთან და ჯართან მომენტალურად ამტყდარი ცემა-ტყეპის შემდეგ ამ შესახვევიდან შუასაუკუნეების ქუჩების ლაბირინთში ჩაიკარგნენ.

ირაკლი ხვადაგიანი

ეს ტრაგი-კომიკური აქცია მნიშვნელობით ახლოსაც ვერ მოვიდოდა 2 წლის წინანდელ პირველმაისობასთან. თუმცა ადგილმა, სადაც ტფილისის პროლეტარიატმა საჯაროდ პირველად აღმართა წითელი დროშა და საკუთარი უფლებების მინიმუმის რეალიზაცია ხმამაღლა მოითხოვა, ერთ შეხედვით უცნაური გულგრილობა დაიმსახურა ქალაქის „საბჭოთა მამების“ მხრიდან, რომლებმაც სახელწოდებებითა თუ მემორიალური დაფებით 1920-იანი წლებიდანვე დაიწყეს საჯარო სივრცეში გმირული ბრძოლის ამსახველი ადგილების მონიშვნა.

ასეთ მნიშვნელოვან ხსოვნის ადგილს 1930-იან წლებამდე ჯერ კიდევ დრომოჭმული სალდათის ბაზრის, რუსისა და ხაზინის ქუჩების სახელები ერქვა. ცვლილების გადაწყვეტილების მიღებისას კი ახალ სახელად მისთვის „კოლმეურნეობის მოედანი“ გაიმეტეს. იგნორირების მიზეზი, დიდი ალბათობით, სალდათის ბაზარში 1901 წლის 22 აპრილს გამართული პირველმაისობის დემონსტრაციის ლიდერებისა და მედროშეების სახელების ხსენებას მოყოლილი უხერხულობები გახდა – 20 წლის განმავლობაში, რევოლუციის ტალღებმა მაშინდელი თანამებრძოლები ბარიკადების

სხვადასხვა მხარეებზე გადაისროლა, პარტისტორიის ცენზურის ჩრდილმა კი ძველ რევოლუციონერებს ენაზე კბილის დაჭერა, ან ბოლშევიკური ლექსიკონით ლაპარაკი ასწავლა.

ტოტალური სიყალბის ეპოქის დადგომის შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე სასკოლო თვალსაჩინოებების ალბომებში უჩა ჯაფარიძის სურათსაც ნახავდით – კეტებით შეიარაღებული ჯგუფი წითელი დროშით ცხენოსან პოლიციას ებრძვის; უპიროვნო სახეებში ერთადერთი ნაცნობი კი – ახალგაზრდა კობა ჯუღაშვილი, გახუნებული პალტოთი და ჭრელი შარფით, საქმიანი იერით განკარგულებებს აძლევს მუშათა რაზმს. პირველმაისობის ეს საკულტო გამოსახულება სტალინის დიდებასთან ერთად მიაფარეს თვალს, ამ საეტაპო მოვლენის ნამდვილი გმირების ტრაგედია კი უფრო ღრმად ჩაიმარხა აკრძალული ლიტერატურისა და არქივების საცავებში.

„...პირველ მაისს ხმელეთის ოთხივე კუთხეში ფეხზე დგება დაჩაგრული კაცობრიობა და ერთ ხმად აცხადებს პროტესტს დამჩაგვრელთა წინააღმდეგ! პირველ მაისს ქვეყნადა ქუხს ხმა სიმართლისა და მოიწოდებს ყველა ხალხს თავის დროშისაკენ. მაშ ვიგრძნოთ ჩვენც ის და გამოვეხმაუროთ მის წარმომგზავნთ! ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენ, თფილისის მუშებსაც, გვყავს მჩაგვრელნი და ჩვენც ვიცით მათთან ბრძოლა. დროშა სამართლიანობის და თანასწორობის აღვმართოთ ჩვენც და ზედ მოვაქარგოთ ჩვენი მიუცილებელი მოთხოვნილებანი, ამ დიდებულ დღეს მოვითხოვოთ ის, რაც ყველა მოწინავე ერთ აქვთ და ჩვენ არა გვაქვს. ვთქვათ ის, რაც თვითეულ ჩვენგანს გულში აქვს და პირით ვერ უთქვამს, ვთქვათ ერთათ ერთ ხმათ და მით ძმური ჭირი და ლხინი ძმურათ გავიყოთ ...“

18 აპრილის დილით, ტფილისის ფაბრიკების ჭიშკრებზე და მთავარი ქუჩების ლამპიონებზე გამოჩენილმა პროკლამაციამ რამდენიმეკვირიანი დაძაბული მოლოდინი გაუმართლა ჟანდარმერიას. უკვე საკმაოდ სახიფათო ძალად ქცეულ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ჩანერგილი წვრილფეხა ინფორმატორების ცნობა გამართლდა – 1898 წლიდან მოყოლებული, ქალაქგარეთ მოუხელთებელი ზეიმების შემდეგ, ახლადშექმნილმა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტმა, მუშების დაჟინებული თხოვნით პირველი მაისის დემონსტრაციის ქალაქში გამართვა გადაწყვიტა.

კომიტეტს კარგად ჰქონდა გათვლილი ხელისუფლების მკაცრი პასუხი ასეთ აშკარა ამბოხზე და ამიტომ წინასწარვე მიიღო ზომები მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად და მოსალოდნელი რეპრესიების გავლენის შესამცირებლად. გადაწყდა მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, ტფილისის დემონსტრაცია სწორედ ევროპული კალენდრით და არა ადგილობრივი დროით გამართულიყო, „ინტელიგენტებს“ (პარტიის მეორე კასტას – თეორეტიკოს, პროპაგანდისტ და არა მუშა ორგანიზატორებს) დემონსტრაციაში მონაწილეობა აკრძალვოდათ, ხოლო მუშათა ლიდერებს წილისყრით გადაეწყვიტათ, ვინ აღმართავდა დროშას და საციმბიროდ გაიხდიდა საქმეს.

მიხეილის პროსპექტის ვიწრო შესახვევში, ძმები ჩოდრიშვილების სახელოსნოში, წილისყრამ ეს პატივი არაქელა ოქუაშვილსა და ზაქრო ჩოდრიშვილს არგუნა, რომლებიც ტფილისის კომიტეტის წევრები და მუშათა მოძრაობის სული და გული იყვნენ. მათვე ითავეს 18 აპრილის დილაბნელზე ნოე ჟორდანიას დაწერილი და ვლასა მგელაძის მიერ არალეგალურად ნაბეჭდი პროკლამაციების გავრცელება და დემონსტრაციის ადგილის შერჩევა. თუმცა ქალაქის ცენტრალურ უბნებში ლამის საომარი სამზადისი აღმოაჩინეს – პოლიციას და ჟანდარმერიას უკვე დაეწყო სტრატეგიული ადგილების გამაგრება მეფისნაცვლის სასახლის ირგვლივ და ხმალგაშიშვლებული კაზაკები ერთად თავშეყრილ სამ კაცსაც კი ქორებივით აცხრებოდნენ თავს.

იმედგაცრუების ელდამ მალე გაიარა და ამბოხის ჟინმა მაინც თავისი გაიტანა – არაქელა ოქუაშვილს მეტად ეშმაკური აზრი დაებადა – დემონსტრაცია 4 დღით გვიან, კვირას, 22 აპრილს, სალდათის ბაზარ „იარმუკაში“ გაემართათ, სადაც მილეთის ხალხი ირეოდა და პოლიცია შეკრებას წინასწარ ვერ დაუშლიდათ. თანაც სალდათის ბაზრიდან ან პუშკინის ქუჩის მხრიდან გაიჭრებოდნენ გოლოვინსკზე ან, ალექსანდრეს ბაღის გავლით, ბარიატინსკის ქუჩიდან, რაც მეფის სატრაპებს მეტ თავისტკივილს გაუჩენდა.

ასე მნიშვნელოვან ხსოვნის ადგილს 1930-იან წლებამდე ჯერ კიდევ დრომოჭმული სალდათის ბაზრის, რუსისა და ხაზინის ქუჩების სახელები ერქვა. ცვლილების გადაწყვეტილების მიღებისას კი ახალ სახელად მისთვის „კოლმეურნეობის მოედანი“ გაიმეტეს. იგნორირების მიზეზი, დიდი ალბათობით, სალდათის ბაზარში 1901 წლის 22 აპრილს გამართული პირველმაისობის დემონსტრაციის ლიდერებისა და მედროშეების სახელების ხსენებას მოყოლილი უხერხულობები გახდა – 20 წლის განმავლობაში, რევოლუციის ტალღებმა მაშინდელი თანამებრძოლები ბარიკადების სხვადასხვა მხარეებზე გადაისროლა, პარტისტორიის ცენზურის ჩრდილმა კი ძველ რევოლუციონერებს ენაზე კბილის დაჭერა, ან ბოლშევიკური ლექსიკონით ლაპარაკი ასწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„... პირველ მაისს ხმელეთის ოთხივე კუთხეში ფეხზე დგება დაჩაგრული კაცობრიობა და ერთ ხმად აცხადებს პროტესტს დამჩაგვრელთა წინააღმდეგ! პირველ მაისს ქვეყნადა ქუხს ხმა სიმართლისა და მოიწოდებს ყველა ხალხს თავის დროშისაკენ. მაშ ვიგრძნოთ ჩვენც ის და გამოვეხმაუროთ მის წარმომგზავნთ! ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენ, თფილისის მუშებსაც, გვყავს მჩაგვრელნი და ჩვენც ვიცით მათთან ბრძოლა. დროშა სამართლიანობის და თანასწორობის აღვმართოთ ჩვენც და ზედ მოვაქარგოთ ჩვენი მიუცილებელი მოთხოვნილებანი, ამ დიდებულ დღეს მოვითხოვოთ ის, რაც ყველა მოწინავე ერთ აქვთ და ჩვენ არა გვაქვს. ვთქვათ ის, რაც თვითეულ ჩვენგანს გულში აქვს და პირით ვერ უთქვამს, ვთქვათ ერთათ ერთ ხმათ და მით ძმური ჭირი და ლხინი ძმურათ გავიყოთ ...“

22 აპრილის დილით ალექსანდრეს ბაღის განაპირას სალდათის ბაზარში ლურჯბლუზიანი და გრუზათმიანი მუშების ნაწილი ინტერესით ათვალიერებდა თითქოს გასაყიდად გამოტანილ გათლილი შინდის ჯოხების გროვას, ნაწილი კი შეჯგუფულიყო და თვალებით ბურღავდა ხალხში არეულ პოლიციელებს, შენობების კუთხეებში მოფარებულ ცხენოსან კაზაკებს და კონკის ვაგონიდან მომზირალი ჟანდარმთა შეფობის – ლავროვის, ცისის და ზასიპკინის ნაცნობ სიფათებს.

12 საათისთვის ერთ-ერთ ჯგუფში ნერვიული ფუსფუსი ატყდა – არაქელა ოქუაშვილმა ცოლისძმას – კარაპეტა ბელოევს პალტოს შიგნიდან ტანზე დახვეული, კოლა მაჭარაძის მიერ სამი წლის წინათ მოხატული წითელი ბაირაღი შემოაცალა და იქვე სიახლოვეს, აღელვებისგან აკანკალებული ხელით გაბო ოქოევის მაღაზიიდან გამოტანილი ჭერის საწმენდი „ჩოთქის“ ტარზე აბმა დაიწყო. ამასობაში ერთ-ერთმა მუშამ გასაყიდად გამოტანილი „ტაბურეტკაც“ მოიხელთა და ზედ შემდგარი ტანმორჩილი გიორგი თელიას პირველი სიტყვებისა და „ვაშას“ ყვირილის ფონზე ბაზრის მოლივლივე თავების ზემოთ წითელი, ნაქარგი დროშა გაიშალა. ეფექტი იმდენად მოულოდნელი გამოდგა, რომ იქვე მდგარმა „გოროდოვოიმ“ მეწამულ ბაირაღზე ამოქარგული მარქსის, ენგელსის და ლასალის სახეების დანახვაზე ქუდი მოიშვლიპა და პირჯვარი გადაიწერა – კვირა დილით, სათნო წვეროსნების სახეების და უცხო ოქროსფერი წარწერების გამო დროშა საეკლესიო ბაირაღად აღიქვა.

„8 საათიანი სამუშაო დღე! ძმობა, ერთობა, თავისუფლება!!!“-ს ყვირილით დაძრულ გუნდს ხალხში არეული პოლიციის რაზმი დაეძგერა და ხელჩართული ჩხუბი გაჩაღდა – პოლიცმაისტერი გედევანოვი დროშას მისწვდა და დაითრია, რომელიც გაწევ-გამოწევაში შუაზე გაიფხრიწა; სანამ მუშების მეორე გუნდმა შინდის კეტები მოიმარჯვა და მთავარ ჯგუფს მიეშველა, შევიწროებული მედროშეები პოლიციელების დაწოლას მუშტით და მითვისებული „ტაბურეტკით“ იგერიებდნენ, რომელიც გმირულად დაიფშვნა გედევანოვის ნეკნებზე; ვლასა მგელაძე შინდის კეტით დაუნდობლად სცემდა გარს შემოხვეულ პოლიციელებს და კაზაკებს, არაქელამ ხანჯალი იშიშვლა, მწარედ ნაცემმა ლეონტი მამალაძემ კი ველარ გაუძლო ყოველი მხრიდან დეზიანი ჩექმების ცემას და რევოლვერიდან უწესრიგო სროლა ატეხა, რომლის ბრმა ტყვიამ ერთ-ერთ პოლიციელს ზურგში გაუარა.

მასობრივ ცემა-ტყეპაში გარდატეხა სასულიერო სემინარიის მხრიდან ჩამოქანებულმა კაზაკი ცხენოსნების რაზმმა შეიტანა, რომელმაც ბრალიან-უბრალოს მათრახით აუჭრელა ზურგი, მეამბოხეების ჯგუფები დაშალა და შებოჭა. „იარმუკის“ ირგვლივ ბრახუნით დაიხურა დუქნების დარაბები და გოლოვინსკზე მოძრაობა ჩაკვდა. სანამ გოროდოვოები ძირს დაყრილ „ბუნტოვშიკებს“ ხელებს უკრავდნენ და ქარავანივით ამწკრივებდნენ, გამარჯვების აღსანიშნავ აკორდად პოლიცმაისტერის მოადგილე ცხენიდან ერთ-ერთ გოროდოვოის გადასწვდა და მოტვლეპილ თავზე ეამბორა. ჩამქრალი შეტაკების საბოლოო წერტილი სამმა ახალგაზრდა ბარიშნამ დასვა, რომლებიც გაწიწმატებული ეცნენ ხელ-ფეხის შეკვრაში გართულ რამდენიმე პოლიციელს, დაუნდობლად დაკაწრეს და ულვაშები დააგლიჯეს. პეტერბურგიდან რევოლუციონერობის გამო გამოსახლებული „კურსისტკები“ – ნინა ნოსარი, სარა ფინკელშტეინი და ალექსანდრა შაკოლი გაბაწრულ და დასისხლიანებულ მომიტინგეებს დაუყენეს გვერდში და ქალაქელი ავარების ლანძღვა-გინების თანხლებით მეტეხის გზას გაუყენეს.

ნაგვიანევმა კორესპონდენციამ ტფილისური პირველმაისობიდან ჟენევაში მაისის ბოლოს ჩააღწია და რუსულენოვანი „ისკრას“ ფურცლებიდან ევროპულ პრესაში გადაინაცვლა. საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის რუკაზე ტფილისმა წითელი დროშა დამსახურებულად დაამატა, რევოლუციის მედროშეების სახელებმა კი ინტერნაციონალური მასშტაბი შეიძინეს.

სამი ათწლეულის შემდეგ, როცა საბჭოთა ტფილისის მუშათა საბჭოსა და აღმასკომის ფუნქციონერებს, ასევე ძველ რევოლუციონერ-ბოლშევიკებს მოედნის სახელის გამოცვლისას წესით ეს თავბრუდამხვევი და საამაყო მოვლენა უნდა გახსენებოდათ, მედროშე და დამრტყმელი

რაზმელებიდან – ვლასა მგელაძე (1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური დასავლეთ საქართველოში) არც ისე დიდი ხნის გასული იყო არალეგალურად საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან; ლეონტი მამალაძე, რომელსაც ციმბირის ფასად დაუჯდა რევოლვერის გასროლა, ახალი დაბრუნებული იყო უკვე საბჭოთა ციმბირული გადასახლებიდან; კოლა მაჭარაძე კი ამაოდ ითხოვდა დაპატიმრებისას ჩამორთმეული მემუარების დაბრუნებას.

1935 წელს ლავრენტი ბერიამ საბჭოთა მოქალაქეებს ამიერკავკასიაში სოციალისტური მოძრაობის ახალი „სახარება" წარუდგინა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ფაქტი ახლებურად, სტალინურად იყო ინტერპრეტირებული (როგორც ბოროტი ხმები ჩურჩულებდნენ, თავად ბელადის რედაქციით). მაისობის ცოცხლად დარჩენილმა მონაწილეებმაც საკუთარი მოგონებები სასწრაფოდ ოფიციალურ თარგს მოარგეს – როგორ დაგეგმა და უხელმძღვანელა პირველ საჯარო სამაისო დემონსტრაციას ამხანაგმა კობამ, რომელიც როგორც „ინტელიგენტი" დემონსტრაციაზე არ უნდა მისულიყო და სულაც ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა.

პირველმაისობის მთავარი მედროშის – არაქელა ოქუაშვილის თავზე 1901 წლიდან მარტო წისქვილის ქვა არ მობრუნებულა. მისი ფანტასტიკური თავგადასავალი აღტაცებას და პატივისცემას იწვევს და ცალკე გამოცემას იმსახურებს. მიუხედავად 1905 წლიდან ურყევი ბოლშევიკობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს რამდენიმე პატიმრობისა, გასაბჭოების შემდეგ არაქელა კვლავაც ძველებურად ცხოვრობდა საკუთარი ხელით ნაშენ სახლში და დიდ თანამდებობებს არ გასთამაშებია. პატრიარქის წვერით, უზარმაზარი ჩიბუხით და საკუთარი ხელით აწყობილი უცნაური კონსტრუქციის ავტომობილით მოსეირნე ნაციმბირალი „პაპაშა" საყოველთაო ყურადღებით და სიმპათიით სარგებლობდა – 1926 წელს, ამხანაგმა სტალინმა თბილისში სიტყვით გამოსვლისას რკინიგზელ მუშებზე შთაბეჭდილების მოსახდენად არაქელა თავის „მასწავლებლადაც" კი მოიხსენა. თუმცა 1927 წელს მასწავლებელი მოსწავლის

არაქელა ოქუაშვილი

წინააღმდეგ ოპოზიციურ მოძრაობას შეუერთდა რის გამოც რამდენიმე კვირით ჩეკას სარდაფიც მოინახულა, თუმცა სხვებისაგან განსხვავებით გადასახლებას აარიდეს.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში, მძიმე 37-ის დამდეგს, სტალინის კულტის გამეფებისას, არაქელამ სხვებისაგან განსხვავებით კეთილსინდისიერად აღწერა საკუთარი თავგადასავალი და მოგვიანებით ფრთხილად სცადა თავი ემართლებინა – თუ რატომ არ ჩანდა მისეული სოციალისტური მოძრაობის ისტორიის პერსონალურ პანორამაში ამხანაგი სტალინის მონუმენტური ფიგურა, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო.

როგორც შთამომავლებს ახსოვთ, ერთხელაც არაქელას ავტომობილს ღერძი სწორედ დიდებული წარსულის სამახსოვრო ადგილას – კოლმეურნეობის მოედანზე გადაუტყდა, რაც „პაპაშას" ცუდად ენიშნა. ასეც მოხდა – 1937 წლის „ცხელი" გაზაფხულის ღამეს, არაქელა ოქუაშვილი საკუთარი სახლიდან გაიყვანეს და უკვალოდ გადაკარგეს.

1937 წლის 31 მაისს, „მოსწავლემ" მასწავლებლის გვარ-სახელის გასწვრივ „პირველი კატეგორია" – დახვრეტა, შეათვალიერა და სიის ბოლოში ხელი მოაწერა.

■ 1935 წელს ლავრენტი ბერიამ საბჭოთა მოქალაქეებს ამიერკავკასიაში სოციალისტური მოძრაობის ახალი „სახარება" წარუდგინა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ფაქტი ახლებურად, სტალინურად იყო ინტერპრეტირებული (როგორც ბოროტი ხმები ჩურჩულებდნენ, თავად ბელადის რედაქციით). მაისობის ცოცხლად დარჩენილმა მონაწილეებმაც საკუთარი მოგონებები სასწრაფოდ ოფიციალურ თარგს მოარგეს – როგორ დაგეგმა და უხელმძღვანელა პირველ საჯარო სამაისო დემონსტრაციას ამხანაგმა კობამ, რომელიც როგორც „ინტელიგენტი" დემონსტრაციაზე არ უნდა მისულიყო და სულაც ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოოპარკი და ბოსეიფაცია

რა როლი აქვთ ზოოპარკებს, რატომ არსებობენ და რატომ უნდა იარსებონ მომავალშიც?



ზურაბ გურიელიძე

დედამიწაზე ფაუნის წარმომადგენლები ხუთჯერ გადაშენდნენ და ხუთივე შემთხვევაში ეს პროცესი ბუნებრივი კატაკლიზმებით იყო გამოწვეული. ახლა ჩვენ ადამიანის მიერ გამოწვეული მეექვსე გადაშენების მომსწრენი ვართ და როგორც მეცნიერები ამბობენ, ეს პროცესი ათასჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ადამიანის ჩარევის გარეშე წარიმართებოდა. სწორედ ასეთ დროს დღის წესრიგში დგება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – როგორ გადავარჩინოთ სხვადასხვა სახეობები?!

არსებობს მოსაზრება, რომ თუკი ცხოველი გადაშენების პირასაა, უნდა გადაშენდეს და ბუნებრივ პროცესში არ უნდა ჩავერიოთ. ეს იმ შემთხვევაში, თუ საკითხი რაიმე ბუნებრივ კატაკლიზმებს უკავშირდება და ასეთ დროს, ადამიანი რომც ჩაერიოს, ალბათ ვერაფერს გააწყობს. მაგრამ როდესაც ამ კატაკლიზმებს თავად ადამიანი იწვევს, მანვე უნდა უზრუნველყოს, რომ პროცესი არ განვითარდეს, გარემოზე ზემოქმედება შერბილდეს, ზიანი შემცირდეს და რაც შეიძლება მეტი არსება გადარჩეს.

ასეთ სიტუაციაში დიდი როლი ეკისრება ზოოპარკებს, მათ ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას – სახეობების გადარჩენას ტყვეობაში, რასაც ლათინურად – ex situ კონსერვაცია ეწოდება. კონსერვაცია ორ დიდ ნაწილად იყოფა. ეს არის in situ – გადარჩენა ბუნებაში, მათ საცხოვრებელ გარემოში და ex situ – კონსერვაცია მათი საცხოვრებელი გარემოს მიღმა.

ზოოპარკებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ და ისინი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდშია აღწერილი. უფრო ზუსტად, ეს იყო სამხეცეები, სადაც ცხოველები ადამიანთათვის საჩვენებლად გამოჰყავდათ, რაც გარკვეული თვალსაზრისით შოუს ელემენტებსაც შეიცავდა.

აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა – ცხოველებს ათავსებდნენ გალიებში, სადაც ისინი ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. მაშინ ცხოველებს მოაზროვნე არსებებად არ აღიქვამდნენ და თვლიდნენ, რომ ადამიანს როგორც სურდა ისე უნდა მოქცეოდა მათ. სამწუხაროდ, ასეთი მოსაზრებები დღესაც არსებობს.

XX საუკუნის დასაწყისში ამ მიმართულებით ზოოპარკის არსებობის ისტორიაში პირველი მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილება მოხდა – გალიები ცხოველთა საბინადრო გარემოს ანალოგის მიხედვით შექმნილი ვოლიერებით შეიცვალა. ამ რევოლუციის ავტორი – გერმანელი კარლ ჰაგენბეკი – ჰამბურგთან მდებარე ზოოპარკის მფლობელი და დირექტორი იყო.

ეს ტენდენციაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ დროს განათლების გარკვეულ ელემენტებთან ერთად (სად ბინადრობს ცხოველი, რითი იკვებება და ა.შ.) ზოოპარკებს მხოლოდ და მხოლოდ რეკრეაციული დანიშნულება ჰქონდათ.

XX საუკუნის 60-იან წლებში, ინგლისელმა ზოოლოგმა და კუნძულ ჯერსიზე არსებული ზოოპარკის – „ველური ბუნების დაცვის ცენტრის“ დირექტორმა, ჯერალდ დარელმა შექმნა „კიდობნის კონცეფცია“. დარელის აზრით, სწორედ ზოოპარკებს უნდა მოეხერხებინა გადაშენების პირას მყოფი ცხოველების გადარჩენა. ეს იყო მეორე გადამწყვეტი ეტაპი, როდესაც ზოოპარკებმა ფუნქცია აბსოლუტურად შეიცვალეს და ამ მიმართულებით დაიწყეს მუშაობა.

„კიდობნის კონცეფცია“ მალევე განვითარდა და დაიწყო მესამე ეტაპი, როდესაც ეკოლოგიაში გაჩნდა ისეთი ცნება, როგორიცაა სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი.

„მინიმალური სიცოცხლისუნარიანობის კონცეფციის“ ავტორი, ამერიკელი მეცნიერი, კონერვაციული ბიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდი ხნის განმავლობაში მინეაპოლისის ზოოპარკის თანამშრომელი – ულისე სილი იყო. სწორედ ზოოპარკში მუშაობამ მისცა მას იმ კონცეფციის ჩამოყალიბების ბიძგი, რომელიც გულისხმობს, თუ რამდენი ინდივიდია საკმარისი სახეობის გადასარჩენად.

XX საუკუნის 70-იან წლებში საქმე კიდევ ერთ ეტაპამდე მივიდა – როგორ უნდა დაებრუნებინათ ტყვეობაში გაზრდილი ცხოველები ბუნებაში. რეინტროდუქცია საკმაოდ რთული პროცესია და ამ ტიპის პროექტები მეტ-ნაკლები წარმატებით მანამდეც მიმდინარეობდა.



ბერლინის ზოოლოგიური ბაღი

მაგალითად, ასეთი იყო ჯერალდ დარელის პროექტი, რომელიც მავრიკიაზე ვარდისფერი მტრედის დაბრუნებას გულისხმობდა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, რადგან რეინტროდუქცია დროში საკმაოდ გაწელილია.

სიცოცხლისუნარიანობის კონცეფციამ განსაზღვრა, რა რაოდენობის ცხოველების დაბრუნება შეიძლებოდა ბუნებაში და პირველი ასეთი წარმატებული პროექტი პატარა მაიმუნების – ოქროს ლომისებური თამარინის ბრაზილიაში დაბრუნება იყო.

ეს მაიმუნები ყველაზე დიდი რაოდენობით იქ ბინადრობდნენ, სადაც ახლა ქვეყნის დედაქალაქი ბრაზილია მდებარეობს და ქალაქის მშენებლობამ ამ სახეობის თითქმის მთლიანად გაქრობა გამოიწვია. ოქროს ლომისებური თამარინები ძირითადად ზოოპარკებშიღა შემორჩნენ, სიცოცხლისუნარიანობის ანალიზის კონცეფციის წყალობით კი მათი ბუნებაში დაბრუნება, რეინტროდუქცია მოხერხდა. მეორე ასეთი წარმატებული მაგალითი ფლორიდული პუმის სახეობის აღდგენა იყო.

აქედან მოყოლებული, ზოოპარკების ძალისხმევით არაერთი სახეობის აღდგენა მოხერხდა, მათ შორის თეთრი ორიქსის, არაბეთის ნახევარკუნძულზე მობინადრე დიდი ანტილოპის, რომელიც ადამიანის „აქტიურობის“ შედეგად თითქმის მთლიანად დაიხოცა. ამ სახეობის რამდენიმე ეგზემპლარი მხოლოდ და მხოლოდ ზოოპარკებში იყო შემორჩენილი, დღეს კი საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებიან. ეს კონცეფცია რომ ადრე შემუშავებულიყო, არაერთი საინტერესო სახეობის გადარჩენა მოხერხდებოდა, თუნდაც - XX საუკუნის 30-იან წლებში გამქრალი ჩანთოსანი მგლისა და ტასმანიური ვეფხვის.

ეს ნეგატიური პროცესი დღემდე გრძელდება და არაერთი სახეობა გადაშენდა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ყველაფერზე საზოგადოების ზეგავლენა. როდესაც საზოგადოების ნაწილი უარყოფითად განეწყო ზოოპარკების მიმართ და მათზე დიდი იერიშიც მიიტანა, სწორედ ამის გამო ვეღარ მოხერხდა რიგი სახეობების ტყვეობაში გადაყვანა, მათი გამრავლება და შემდეგ უკან, ბუნებაში დაბრუნება.

რა თქმა უნდა, რისკები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ თუნდაც ის რად ღირს, რომ 2000 წელს ესპანეთში პირენეის იბექსი, 2006 წელს კი მდინარე იანძის დელფინი ბაიჯი გადაშენდა. დელფინის ამ სახეობის გადაშენებას დიდი კამათი უძღოდა წინ – გადაერჩინათ თუ არა ეს ცხოველი. ერთ-ერთი წინადადების მიხედვით, უნდა დაეჭირათ ბაიჯის მთელი გადარჩენილი პოპულაცია – სულ რამდენიმე ინდივიდი, გადაეყვანათ დიდ ბრიტანეთში, გაემრავლებინათ და მდინარე იანძის აუზში სპეციალურ რეზერვატი მოეწყოთ, სადაც ამ დელფინის რეინტროდუქცია დაიწყებოდა. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ სანამ ამ საკითხზე დავა-კამათი მიმდინარეობდა, ცხოველი გაქრა და 2006 წლიდან ის აღარავის შეუნიშნავს. ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, როცა დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულ დისკუსიებს ასეთი ნეგატიური შედეგი მოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს – რეინტროდუქციას დავუბრუნდეთ: აქ სხვადასხვა კატეგორიები არსებობს. თავად ტერმინი გულისხმობს, რომ ბუნებაში კონკრეტული სახეობა მთლიანად გადაშენდა და საჭიროა მისი ხელმეორედ დაბრუნება. არსებობს მეორე მსგავსი ტერმინი – რესტოკინგი, რაც გულისხმობს, რომ ცხოველის რაოდენობა იმდენადაა შემცირებული, მას დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეუძლია და აუცილებელია სახეობის დამატება. ამ ტერმინოლოგიურ განსხვავებებს შინაარსობრივად იდენტური – ტყვეობაში გაზრდილი ცხოველის ბუნებაში დაბრუნების ამოცანა აქვს.

ტყვეობაში ყოფნისას ცხოველის ქცევა იცვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანთან შეჩვევის საკითხი. ასევე, სერიოზულ გადაწყვეტას მოითხოვდა უამრავი სახეობისთვის ნიშნეული – საკვების მოპოვების უუნარობის პრობლემა.

ცხოველებმა არ იცოდნენ საკვების მოპოვება, რადგან ტყვეობაში მათ ყველაფერი „მზამზარეული“ მიერთმეოდათ. ამ ქცევის ცვლილებიდან გამომდინარე, მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება – ცხოველებს, ე.წ. სტერეოტიპული ქცევები უყალიბდებოდათ. ეს ერთი და იგივე ქცევაა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში პერიოდულად მეორდება, როცა ცხოველი შეუსაბამო პირობებში ცხოვრობს – გამუდმებით ერთი კუთხიდან მეორისკენ მოძრაობს, თავს აქნევს, გამუდმებით წევს, ან ჭამს, ან წყალს სვამს. ცხოველის „ფსიქიკური“ დაავადების წინაპირობა სწორედ სტერეოტიპული ქცევებია. ამ პრობლემის მქონე ცხოველის ბუნებაში დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა ისევ ზოოპარკებში დაიწყო. ჯერალდ დარელმა შემოიღო გარემოს გამდიდრების ცნება და დაიხვეწა პრინციპი – როგორ უნდა შევინახოთ ცხოველი ტყვეობაში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ფსიქოლოგიური კომფორტი.

აუცილებელია, რომ ტყვეობაში ცხოველს გაურთულდეს საკვების მიღება. საკვები ვოლიერის მთელ ტერიტორიაზე იმალება და ცხოველმა ის უნდა მოიპოვოს. მოსახლეობის მხრიდან თავიდან (ზოგჯერ დღესაც) ამან გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია, რადგან ჩათვალეს, რომ ამით ცხოველი წვალდება.

მაგალითად, საკმაოდ ხშირად გვეკითხებიან, რატომ ვუფანტავთ დათვებს საკვებს მთელ ტერიტორიაზე ან რატომ ვუყრით თევზის ნაჭრებს წყალში. ამ კითხვას საკმაოდ მარტივი პასუხი აქვს – ეს არის ცხოველის ბუნებაში ცხოვრების იმიტაცია. დათვი ასე იკვებება. ის გადაადგილდება და აგროვებს საკვებს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. სწორედ ამიტომ, მოსაწყენად მას დრო აღარ რჩება. სტერეოტიპული ქცევა, რომელიც ასე დამანგრევლად მოქმედებს ცხოველის ფსიქიკაზე, სწორედ მოწყენილობისგან წარმოიქმნება. ცხოველები მოაზროვნე არსებები არიან და შესაბამისად მათაც სჭირდებათ, რომ დაკავდნენ.

ბაზელის ზოოპარკი, შვეიცარია

საკვების დამალვის გარდა, გარემოს გამდიდრებისთვის უამრავი სხვა რამ გამოიყენება. მაგალითად, ხეები, თოკები და სხვადასხვა საშუალებები, რომლითაც ცხოველს თავის გართობა შეუძლია. ხშირად, ევროპულ ზოოპარკებში, ისევე როგორც ჩვენთან, შეგიძლიათ ნახოთ როგორ წვალობენ ცხოველები, რომ საკვები მიიღონ. თბილისის ზოოპარკში პერიოდულად ვატარებთ ასეთ პროცედურას – იაგუარის ვოლიერში დამონტაჟებულია ხე, რომელიც მაღალია და მის წვერზე, სხვადასხვა მანძილის დაშორებით ვკიდებთ ხორცს. ცხოველი საკმაოდ დიდ დროს ხარჯავს, სანამ მიხვდება და ისწავლის, როგორ უნდა მოიპოვოს საკვები.

ეს მიდგომა საკმაოდ რთული გასატარებელია მტაცებლებთან, რომელთათვისაც საკვების მოპოვება უშუალოდ ნადირობასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ ნადირობის ქცევის გამომუშავებაა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. ამიტომაცაა, რომ ყველაზე რთული მტაცებლების რეინტროდუქციაა. თუ მტაცებელმა ნადირობა გარკვეულ ასაკამდე არ ისწავლა, შემდეგ მისი სწავლა შეუძლებელი ხდება.

რაც უფრო განვითარებულია მტაცებელი, მით უფრო რთულად მიდის სწავლების პროცესი. მაგალითად, მელია ყოველთვის მზად არის დაისწავლოს თაგვის მოპოვება ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერ დროს. ეს მგელს არ შეუძლია. თუ ლეკვობისას მან საკვების მოპოვების გამოცდილება ვერ მიიღო, ამის სწავლა შემდეგ შეუძლებელი ხდება. ჩვენ გვყავს მგლების ჯგუფი, რომლებიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბოცვერთან ერთად ცხოვრობდნენ და აბსოლუტურად არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ მას. არ იცოდნენ, რომ ბოცვერი საკვებად გამოიყენება და მგლებისთვის ეს პატარა „მეზობლები“ ჩვეულებრივი „სათამაშოები“ იყვნენ. ასეთი ცხოველების ბუნებაში დაბრუნება აბსოლუტურად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ცხოველს არანორმალური ქცევებიც უყალიბდება, ისეთი როგორიც ბუნებაში არ ახასიათებს.

ზოოპარკების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ცხოველთა ქცევის იმგვარად

ჩამოყალიბებაა, რომ შესაძლებელი იყოს ბუნებაში მათი დაბრუნება. ზოგ შემთხვევაში საჭიროა, რომ ცხოველები ბუნებაში დავაბრუნოთ, ზოგჯერ კი აუცილებელია გარკვეული მიდგომების დახვეწა, რისთვისაც იწყება ცხოველთან მუშაობა და, შეიძლება ითქვას, რომ ქცევის კორექციაც შესაძლებელია.

დღეისათვის ზოოპარკის ძირითადი სამეცნიერო საქმიანობა სწორედ ეს მიმართულებაა: ერთი მხრივ, ცხოველთა ქცევის, მეორე მხრივ, კი თვითონ ბუნებაში არსებული სიტუაციის შესწავლა. ეს ის არის, რისი გაკეთებაც დღესდღეობით ზოოპარკებს შეუძლიათ. სხვა შემთხვევაში, იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რაც დედამიწაზე გვაქვს, შეიძლება ძალიან ბევრი სახეობა განადგურდეს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იმ დრომდე, სანამ ზოოპარკი კონსერვაციულ ფუნქციას შეიძენდა, დამთვალიერებლის მოსაზიდად უცნაური ცხოველები გამოჰყავდათ. მაგალითად, XX საუკუნის 70-იან წლებამდე კატისებრთა ოჯახის ყველანაირი დიდი ცხოველი ერთმანეთთან შეაჯვარეს და მიიღეს ძალიან უცნაური, ჰიბრიდული ცხოველები, რომლებიც ბუნებაში არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ვთქვათ, ლეოპარდი ვეფხვთანაც ცხოვრობს და ლომთანაც, ბუნებაში მათი შეჯვარება არ დაფიქსირებულა.

ხალხის მოზიდვის საკითხი დღესაც აქტუალურია. ზოოპარკის ორი ძირითადი როლი განათლება და კონსერვაცია გახლავთ. ორივე მიმართულება საკმაოდ დიდ რესურსს საჭიროებს. სწორედ ამ რესურსების მოძიების დროს ჩნდება ზოოპარკებში ცხოველთა ისეთი სახეობები, რასაც კომერციულ სახეობებს ეძახიან. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ცხოველებით ვაჭრობა მიმდინარეობს. ადამიანები ძირითადად სწორედ ასეთი ცხოველების სანახავად დადიან ზოოპარკებში.

თბილისის ზოოპარკში ასეთი სახეობის კლასიკური მაგალითია თეთრი ვეფხვი. თეთრი ვეფხვი იბადება, მაგრამ ზოოპარკის პირობებისგან განსხვავებით, ბუნებაში ვერ ცოცხლობს. ერთი მხრივ, ეს ლამაზი, ეფექტური ცხოველი და, მეორე მხრივ, რომელიმე პატარა ძუძუმწოვარი, რომლის გადარჩენაც აუცილებელია, მაგალითად – ნაკლებად ეფექტური რომელიმე მღრღნელი. კომერციული ცხოველების „სტუმართა“ გადახდილი თანხა დამთვალიერებელთათვის ნაკლებად საინტერესო, არამიმზიდველი ცხოველების გადარჩენასაც ხმარდება – ცხოველები ერთმანეთს ეხმარებიან, ეს ერთი მთლიანი საზოგადოებაა, რომელიც გადარჩენაზე ზრუნავს.


სან-დიეგოს ზოოპარკი

ევროპულ ზოოპარკებს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი სტუმრობს და როდესაც ბილეთის ფასი 15-20 ევროა, საკმაოდ სოლიდური თანხაც გროვდება. ამ თანხის დიდი ნაწილი სწორედ ცხოველთა კონსერვაციას ხმარდება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანებს ცხოველების შესახებ სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ. არსებობს ცხოველების მთელი რიგი, რომლებიც ადამიანებში ცუდი რეპუტაციით სარგებლობენ. ქართული ფაუნიდან ამის კლასიკური მაგალითია – აფთარი და მგელი. მგელი, რომელსაც ყველანაირი მეთოდებით ებრძვიან და აფთარი, რომელსაც ებრძოდნენ და დღეისათვის ერთეული ინდივიდების სახითღაა შემორჩენილი.

აფთარი აბსოლუტურად უწყინარი ცხოველია, რომელიც ლეშით იკვებება. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მას ადამიანი დაუპირისპირდა, მცდარი წარმოდგენები იყო, წარმოდგენები იმის შესახებ, თითქოს აფთარი სახლში იპარება და ბავშვებს იტაცებს, საფლავიდან თხრის მიცვალებულებს და ა.შ.

არაერთი არასწორი ინფორმაცია არსებობს მგლების შესახებაც, თითქოს მათ კისერი გაშეშებული აქვთ ან სისხლისმსმელი ცხოველები არიან. როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ ცხოველი კისერსაც ჩვეულებრივ ამოძრავებს, მზრუნველი დედაა და ალერსიანია მომვლელების მიმართ, ეს ცვლის მათ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ.

ამა თუ იმ ცხოველთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპების შეცვლა მხოლოდ თეორიული მტკიცებებით შეუძლებელია. ადამიანმა საკუთარი თვალით უნდა დაინახოს და ყველა გრძნობის ორგანოებით შეიგრძნოს ცხოველი, როგორც სენეგალელმა ეკოლოგმა ბაბა დიომმა თქვა: „ბოლოს ჩვენ გადავარჩენთ იმას, ვინც გვიყვარს, ხოლო გვიყვარს ის, ვისაც ვიცნობთ“.

ჟურნალ „ლიბერალისა“ და თბილისის ზოოპარკის ერთობლივი პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუდი, ჩოგბოჩს უნყვეტი ტრადიცია

ლუდთან საქართველოს კავშირი ძველი დროიდან დასტურდება. ჩემი საყვარელი მწერალი ქსენოფონი, სოკრატეს მოსწავლე, კაცი, რომელიც ისტორიკოსი, მეომარი და მოგზაური იყო, ჩვენს მხარეშიც ნამყოფია და აღწერილი აქვს, ე.წ. ქერის ღვინო, რაც შეუძლებელია ლუდი არ იყოს. ქერის ღვინო, ანუ ლუდი ჯერ კიდევ ხალიბებს, უძველეს ქართულ ტომებს ჰქონიათ, შემდეგში კი, ე.წ. ღვთისშვილებს. ფშავ-ხევსურეთში უმაღლეს რელიგიურ ავტორიტეტებს ქაჯავეთის დალაშქვრის შემდეგ ჯვრებში ლუდის დულილი დაუწესებიათ.

ლევან ბერძენიშვილი

ქართული მითების მიხედვით, ლუდი ძალიან ძველი სასმელია და ამ სიძველის გათვალისწინებით, გასაგებია, რომ საკმაოდ სერიოზულად მონაწილეობდა ცხოვრებაში. ამიტომაც, მისი როლი გარკვეულწილად შესასწავლია.

მთაში ლუდი ძეობის შემადგენელი ნაწილია და საერთოდაც, კაცობის ხაზგასმა იქ ლუდით ხდება. ბიჭის დაბადება, მისი ინიციაცია, ანუ 14 წლის ვაჟის კაცობაში შესვლა – ეს ყველაფერი ლუდით აღინიშნება. უკვე შეიძლება, რომ მოზარდს უწოდონ მასმური, ანუ ის, ვინც დამლევია. საინტერესოა ისიც, რომ ბავშვები ლუდს 14 წლის ასაკამდეც სვამენ, თუმცა ზომიერად, და რომ არ იცრუონ და ზედმეტი არ მოუვიდეთ, ამისათვის შუბლზე ნახშირით ადებენ ნიშანს.

ლუდთან დაკავშირებით მთაში მთავარი რიტუალური ამბებია. ამიტომაც ორ კაცურ საქმეში – ჩხუბსა და ქალებთან ურთიერთობაში სწორედ ეს სასმელი ფიგურირებს.

თუკი ორი კაცი იჩხუბებს და ვერ რიგდება, მათ მოსარიგებლად მომრიგებლები იკრიბებიან. მომრიგებელმა იცის, რომ ან ერთის მხარე უნდა დაიკავოს, ან მეორესი. ამ გამოცდილმა კაცმა უნდა გაარკვიოს, რომელია დამნაშავე ან ნაკლებად დამნაშავე და რომელი მსხვერპლი. ამის შემდეგ მან ლუდით სავსე თასი დამნაშავეს უნდა მიაწოდოს, რაც ნიშნავს, რომ ამ საქმეში

ბრალეულობა მისია. პირობა თავიდანვე ასეთია – რასაც მომრიგებელი იტყვის, ორივე მხარე უნდა დაეთანხმოს. დამნაშავემ დაპირისპირებულს უნდა მიმართოს – „შენი პატივისა იყოს“, შესვას ლუდი და შერიგება შედგება. ლუდის გარეშე ეს ამბავი ვერ ჩაივლის.

ლუდთან დაკავშირებით კიდევ უფრო საინტერესო რიტუალური ამბავია ერთ პატარა სოფელში, რომელსაც ახიელი ჰქვია. წელიწადში ერთხელ იქ თეატრალური წარმოდგენა იმართება – სოფელი ორ ნაწილად იყოფა, ერთი ნაწილი ქალის მოტაცებას ცდილობს, მეორე კი არ უნდა დანებდეს, მთელი ამბებია, ჭიდაობა და სხვა.

ამ სახუმარო რიტუალურ ბრძოლებში ერთი კაცი თეატრალურად დაიჭრება – „აუუჰჰ“ დაიძახებს და გაგორდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დანიშნულია და უნდა დალიოს. "დაჭრილს" ლუდით მკურნალობენ – მან იმდენი უნდა სვას, სანამ არ წაიქცევა. შემდეგ ლუდს იმ რჩეულ ქალს მიართმევენ, რომლის მოტაცებასაც სოფლის ერთი ნაწილი ცდილობდა, ნიშნად იმისა, რომ თავისი როლი კარგად შეასრულა.

ამ სოფლისთვის, რეგიონისთვის, ეს ამბავი ისეთი მნიშვნელოვანი რამაა, რომ მასში მგლოვიარე, შავოსანი ქალებიც კი მონაწილეობენ. ისინი ლუდს თავიანთი მიცვალებულების გასახსენებლად სვამენ და თანასოფლელებიც სასმელს მათ გლოვის ნიშნად აწვდიან. ყველაფერთან ერთად ლუდი გლოვის სასმელიცაა.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ყველა კაცურ საქმეში ლუდი მონაწილეობს. იმ ფონზე, როცა ასეთი არქეტიპი არსებობს, როცა ქართულ მთაში მას ასეთი როლი აქვს, ის მთელ ქართულ აზროვნებაშიც დაილექა და დაილექა, როგორც მასკულინური სასმელი. მომხრე ვარ, რომ ლუდის მოყვარულ ქალთა რაოდენობა გაიზარდოს, ქალების და ლუდის დამოკიდებულების პოზიტიური მიმართულებით შეცვლა კიდევ ერთი ნაბიჯია დემოკრატიისკენ. ამბობენ, ქალებისთვის 1 კათხა ლუდია სასარგებლო, კაცებისთვის კი 1.5 ან ორიო.

აქვე ერთ პატარა პირად ამბავსაც გავიხსენებ. ჩემი მეგობარი საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გაიპარა. მაშინ ეს დიდი ამბავი იყო და მასაც კარგად ესმოდა, სად წავიდა თვითონ და სად დაგვტოვა ჩვენ. გვიგზავნიდა თბილ წერილებს, რომლებსაც თითო ბოთლ სხვადასხვა სახის ლუდს აყოლებდა. ასეთი ფუფუნება სად გვქონდა CCCP-ში! ასე გავიცანი უამრავი ლუდი, რომელიც საერთოდ არ გვენახა და არც გაგვეგონა. და მაინცდამაინც მაშინ, ჩემმა მეუღლემ ლუდის სმა დაიწყო და თითოეულ ბოთლში, ამ ბედნიერებაში ჩამეზიარა. არადა, როგორც კი ეს ბოთლები მაღაზიის დახლებზეც გამოჩნდა, ლუდის სმის ინტერესი გაუქრა.

ამავე დროს, ლუდი სოციალური სასმელიცაა, მას მარტო ვერ დალევ. არაყივით არ ათრობს და ცხოვრების არსზე დაფიქრებისკენაც არ მოგიწოდებს. პირიქით, სამეგობროდ და სახუმაროდ განგაწყობს. რად უნდა იმას მტკიცება, რომ სოციალური ურთიერთობა ტვინს ავითარებს?!

ადამიანს აქვს წარმოდგენა, რომ მას უნდა და სჭირდება ალკოჰოლი, რომელიც ერთ-ერთია იმ ოთხი ელემენტიდან, რასაც ენერგია მოაქვს – ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი და ალკოჰოლი. სხვა არაფერს აქვს კალორია და ამიტომ, როცა მედიცინა სასმელზე მკაცრად საუბრობს და უკალორიო რამე-რუმეებს გვთავაზობს, უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ამით არ ვცხოვრობთ.

თუკი ადამიანი ერთ ან ორ კათხა ლუდს დალევს, მას წარმოსახვის უნარი უვითარდება და კრეატიული ხდება. თუმცა ეს იმის ხარჯზე, რომ სამუშაოს შესრულება უჭირს. სამსახურში ან მანქანის ტარების დროს ასეთი ამბები დაუშვებელია. თუმცა კროსვორდის შესავსებად, ან ფეხბურთის ინტელექტუალური ნაწილის უკეთ დასანახად ერთი-ორი კათხა ლუდის შესმა კარგია.

ამ დროს ყველაფერს ამჩნევ, როგორ გაკეთდა პასი, რა სიჩქარით გაირბინა ფეხბურთელმა ჩაწოდების მისაღებად, როგორი ტრაექტორიითა და ძალითაა ბურთის დარტყმა ან ჩაწოდება საჭირო, ანუ ხედავ ყველაფერ იმას, რასაც ვერ ამჩნევენ ადამიანები, რომლებიც სპორტში ვერ ერკვევიან. აღმოჩნდა, რომ ლუდი გვეხმარება, უფრო კრეატიულად ვიანგარიშოთ, სად უნდა „გაკეთდეს“ პასი და როდესაც ეს რეალურადაც ხდება, მუსიკალურ აღფრთოვანებას, F-მოტივს იწვევს, შენ ამბობ – „ე, ბიჭო, მარჯვნივ!“ და ის გარბის მარჯვნივ, ლუდის გარეშე კი შეიძლება წამოგცდეს – „ე, ბიჭო, მარცხნივ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბილი ნივთების ფონდი

თბილისის ისტორიის მუზეუმის რბილი ნივთების ფონდი მოიცავს ტანსაცმლის, ფეხთსამოსის, ტანსაცმლის თანმხლები აქსესუარების, ქარგულობის, ტყავ-ბეწვეულის, ხალიჩური ნაწარმის კოლექციებს.

ექსპონატების საერთო რაოდენობა 1600 ერთეულს აჭარბებს. მათი უმრავლესობა კერძო პირებისაგანაა შესყიდული ან შემოწირული.

აღსანიშნავია მუზეუმში დაცული ქართული ეროვნული – ქალისა და მამაკაცის სამოსი და მათი თანმხლები აქსესუარები (შუბლსაკრავები, ლეჩაქები, ბაღდადები, ყურთმაჯები, გულისპირები, სარტყლები, ლეკვერთხები, ჩოხის ქილები და სხვა); აგრეთვე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის (ებრაელები, ქურთები) წარმომადგენელთა ეროვნული სამოსი; ევროპული ჩაცმულობის ნიმუშები და აქსესუარები (მაქმანები, ხელთათმანები, სამკაულები და სხვა).

თბილისელთა ყოფაში დამკვიდრებული იყო სხვადასხვა მხარის და წარმოშობის ხალიჩური ნაწარმი.

მუზეუმში ინახება ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, ქურთული, ყარაბაღული ნაწარმი. ხალიჩური ნაწარმის (ხალიჩები, ფარდაგები, მაფრაშები, ხურჯინები, ჯეჯიმები და სხვა) დიდი ნაწილი XIX საუკუნის მეორე ნახევრით და XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

რბილი ნივთების ფონდში დაცულია აგრეთვე ამქართა XIX-XX საუკუნეებით დათარიღებული დროშები, რომლებიც სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებას ეკუთვნის.

ქართული კაბა, XIX ს-ის ბოლო, აბრეშუმი, ატლასი, აბრეშუმის ძაფი, ვერცხლმკედი, ოქრომკედი, სიგრძე 1.70 სმ.

ჯიბის საათი, ებრაული, XX ს-ის პირველი ნახევარი, ლითონი, დიამეტრი – 4.8 სმ.

ლორნეტი, XX ს-ის დასაწყისი, ლითონი, მინა, სადაფი, 15×10×3 სმ.

საფულე, XX ს-ის დასაწყისი, სპილოს ძვალი, ლითონი, 7.2×5სმ.

მარაო, XIX ს-ის დასასრული, ატლასი, აბრეშუმის ძაფი, ძვალი, სიგრძე 34 სმ.

ბავშვის ახალუხი, XIX ს-ის ბოლო, ფარჩა, ჩითი, ლითონი, სიგრძე – 62 სმ.

ჩოხა-ახალუხი, XIX ს-ის ბოლო, აბრეშუმი, შალი, სიგრძე 1.10 სმ.

ოქროკაბა, ებრაელი ქალის სამოსელი, XIX ს-ის ბოლო, აბრეშუმი, ოქრომკედი, ფარჩა, სიგრძე -1.24 სმ.

ყაჯარი-აქლემზე გადასაფარებელი,
აზერბაიჯანული, XIX ს-ის ბოლო,
შალის ძაფები, 2.00×1.15სმ.

ფარდაგი „ზილი“, აზერბაიჯანული, XIX ს-ის ბოლო, შალის ძაფი, 2.25×1.80სმ.



თივით მოვაჭრეთა ამქრის დროშა, XIX – XX სს-ების მიჯნა, მუშამბა, ზეთის საღებავი, 87×170სმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

მოღბმით ვექილი ჩოსეჩიოს ხეიბი უბნიღან

ვინ არის მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი? ამ რიტორიკულ, რბილად რომ ითქვას, უცნაურ, უფრო მკაცრად კი, ცოტა არ იყოს სულელურ შეკითხვას, ისე რომ მისთვის არც უკითხავთ, ამ ორიოდე წლის წინათ ხოსეპ გვარდიოლამ უპასუხა: მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი მარსელო ბიელსაა.



გიო ახვლედიანი

მარსელო ბიელსა!

სხვანაირად, გიჟი ბიელსა! ასე ეძახიან მას არგენტინაში. უფრო სწორად, ასე შეარქვეს და ყველგან ასე ეძახიან.

საერთაშორისო ფეხბურთის ჩვენებურ მაყურებელს მარსელო ბიელსა ამ საუკუნის დასაწყისიდან ახსოვს, როცა ის არგენტინის ნაკრების სათავეში იდგა და გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე, კორეა-იაპონიისკენ გაუძღვა.

იქ არგენტინამ ცუდად ითამაშა, ჯგუფიდან ვერ გავიდა. ბიელსა კი მაინც ყველას დაამახსოვრდა. ის ნერვიულად მიმოდიოდა მწვრთნელისთვის განკუთვნილ მართკუთხედში, წინ წყლით სავსე რამდენიმე ბოთლი მიეყარ-მოეყარა და მათ გასწვრივ პირქუში და დაძაბული გამომეტყველებით, გულზე მძიმედ დაკრეფილი ხელებით სცემდა ბოლოსას. ხან ერთ ბოთლს დასწდებოდა და მოიყუდებდა, ხან – მეორეს, ხან კი – მესამეს, თუ მერამდენეს. ყველას მზრუნველად ახურავდა თავს და კელავ მიაგდებდა, რათა ახალი აეღო. ტუჩები მოკუმული ჰქონდა და ნარბებს ქვემოდან იმზირებოდა.

არგენტინა კი ჩაფლავდა, მაგრამ ბიელსა არ მოხსნეს – კიდევ ორ წელინადს იყო გუნდის სათავეში, მასთან ერთად ოლიმპიური ოქრო მოიპოვა და კინაღამ კოპა ამერიკაც მოიგო.

მარსელო ბიელსა არცერთი არგენტინული ქალაქის ღარიბ გარეუბანში არ დაბადებულა, არც ჭინჭის ბურთით უთამაშია ფეხბურთი, არც მეზობლის საქათმიდან მოუპარავს კვერცხები და არც და-ძმებს შორის ნამცხვრის ერთი ნაჭრის განაწილების შემსწრე ყოფილა ოდესმე.

ის როსარიოში, იქაურ არცთუ მდიდარ, მაგრამ ცნობილ ოჯახში აღიზარდა და ამ ოჯახის ძველი და თითქოს მარადი ტრადიცია იმით დაარღვია, რომ ჯერ ფეხბურთის პროფესიონალად თამაში დაიწყო და მერე პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. თანაც ოჯახურ ტრადიციასაც უგანა, მამა-პაპით „როსარიო სენტრალის“ ქომაგ ოჯახს არც ამაში აპყვა – პატარაობიდანვე ნიუველს „ოლდ ბოისი“ შეიყვარა, ჯერ მისი ფეხბურთელი შეიქნა, მერე კი – მწვრთნელი.

ბიელსების ოჯახს მამა-პაპით იურისტობასთან და პოლიტიკასთან ჰქონდა საქმე: მარსელოს მამაცა და ბაბუაც ვექილები ჰყავდა. მისი ძმა ახლაც პარლამენტის წევრია, და კი ვიცეგუბერნატორი იყო. მოკლედ, აი ასე.

პროფესიონალ ფეხბურთელად ბიელსა დიდხანს არ ყოფილა, ოთხ წელინადში სულ საოცცდახუთჯერ გავიდა მოედანზე და ერთადერთი გოლი გაიტანა. მერე მწვრთნელობის სწავლას მისცია. ათი წლის თავზე კი მშობლიურ „ნიუველსის“ სათავეში მოხედა. მას ორი ნლის განმავლობაში „კლაუსურაც“ მოაგებინა, „აპერტურაც“, „ტორნეო ინტეგრასიონიც“ და კინაღამ „ლიბერტადორესის“ თასიც ჩაიგანა როსარიოში.

ოცდაათხუთმეტიოდე ნლის მაღალი, ჩაკეტილად ექსცენტრული, საკმაოდ ახირებული ინტელექტუალისთვის ძალიან კარგი დასანყისი იყო. თუმცა ბიელსას დიდი ხმაურით არ გაუ-

■ მისი ფეხბურთი, თუ ის უმაღლეს დონეზე შესრულდა, სრულიად წარმოუდგენელია. ერთ წამს შვიდი კაცი ჰყავს შენს საჯარიმოში და ბურთს როგორც კი დაკარგავს, სანამ მის საჯარიმოსთან მიიტან, იქ უკვე თერთმეტი კაცი გელოდება. ეს უპირატესად ფიზიკური ფეხბურთია და მისი მიღწევა მხოლოდ ბიელსას სათამაშო ნახაზის საშუალებითაა შესაძლებელი.

გრძელებია. არცთუ დიდი წარმატებით მოიარა მექსიკა და ერთი წლით „ველეს სარსფილდის“ მწვრთნელი გახდა, რომელიც იმხანად ყოველ წელიწადს რაღაცას იგებდა. გუნდმა ბიელსას ხელშიც მოიგო ერთი „კლაუსურა“. ტიტული კარგი იყო, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელის სახმაურო ფრონტის ხაზი სხვაგან გადიოდა. ამ დროს ის უკვე გიჟი ბიელსა იყო, სრულად გამორჩეული, ორიგინალური ტაქტიკოსი, ნოვატორი, მეთოდოლოგი, იქამდე უცხო სამწვრთნელო მმართველობის დამნერგავი, დეტალების ჭია, დაკვირვებებითა და ანალიზით გამოვსებულდავთრებიანი ვინმე, ვინც გამოაქანეს და პირდაპირ ლა ლიგაში დაპტიჟეს „ესპანიოლის“ მწვრთნელად.

ბარსელონაში იყო და „ესპანიოლს“ წვრთნიდე, გვარიანად უმადური საქმეა. თუმცა ბიელსა, უკვე ევროპაში იყო, უკვე დიდ ლიგაში. სწორედ ამ დროს არგენტინის ნაკრებიდან დანიელ პასარელა გაუშვეს და ხულიო გორნდონამ და მისმა საბჭომ გადაწყვიტეს, რომ ნაკრები მომავლის კაცისთვის, მარსელო ბიელსასთვის ჩაებარებინათ.

ბიელსამ „ესპანიოლი“ მიატოვა და არგენტინაში უდიდეს თანამდებობაზე – ალბასელესტეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეუდგა მუშაობას. მან ოთხ წელიწადს ამზადა ნაკრები და შედეგი კი ყველაზე უარესი მიიღო. თანაც მსოფლიო ჩემპიონატის წინა წელიწადს ბიელსა მსოფლიოს წლის მწვრთნელად აღიარეს.

ნაკრებიდან ის უტიტულოდ მაინც არ წამოსულა. თუმცა მეორე მსოფლიო ჩემპიონატისთვის აღარც ენდნენ და თითქმის პირდაპირ არგენტინიდან ჩილეში გადაბარგდა იქაური ნაკრების თავკაცად.

ბიელსას ჩილე ალბათ ბევრს ახსოვს სამხრეთ აფრიკაში. ეს იყო სრულიად მოულოდნელი და ძლიერი ფეხბურთი, რა თქმა უნდა, იქამდე, სანამ ფეხბურთელები ქაჩავდნენ. ბიელსას ხელში ჩილემ იმდენი უცნაურობა გამოიარა, მისი ფეხბურთის ისტორიას რომ არ ახსოვდა. იმდენი სასიხარულო და სამწუხარო ამბავი მოხდა პირველად, რომ ეს კაცი იქ ნამდვილ ეროვნულ გმირად გამოცხადდა.

ასე ჩანდა, რომ ბიელსა წლევანდლამდე უნდა ყოფილიყო ჩილელთა მწვრთნელად, მაგრამ თანამდებობა ხუთი წლის წინათ დატოვა, რახან ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ ის კაცი არ აირჩიეს, ვისაც ის უჭერდა მხარს. მერე იყო ორი სეზონი ბილბაოს „ატლეტიკში“ და ახლა, სულ ბოლოს ერთი სეზონი სრულდება „მარსელში“, საიდანაც, როგორც ამბობენ, ბიელსა მალევე წავა.

ეს არის სულ.

თითქოს ეს არის სულ. სადღაც წარმატება, სადღაც დიდი წარუმატებლობა, ვითომდა არც ტიტულების ხვავი და მაურინიო-გვარდიოლობა. კი, უცნაური პერსონაჟი, ნიჭიერი, საქმის ფანატიკოსი, პედანტიც კი, მომთხოვნი, მკაცრი, ჯიუტი. და განა ცოტაა ასეთი? უამრავი.

ბიელსა არასდროს იძლევა ექსკლუზიურ ინტერვიუებს, ამიტომ მისი პრესკონფერენციები ხშირად სამ-ოთხ საათს გრძელდება ხოლმე. ის ზუსტად და ამომწურავად პასუხობს. ეს არის ადამიანი, რომელმაც ისე წვრილად იცის ფეხბურთი და მასთან დაკავშირებული ყველა მეცნიერება, რომ პირს დაგაღებინებს. და განა ცოტაა ასეთი? ახლავე ჩამოვთვლით.

ოღონდ, საქმე მაინც სხვაა.

მარსელო ბიელსა არის ადამიანი, რომელმაც შექმნა თავისი საფირმო ტაქტიკა, რომელსაც დღეს უამრავი მწვრთნელი მისდევს მსოფლიოში ან ცდილობს, რომ მისდიოს. მისი საფეხბურთო აზროვნების გავლენა დღევანდელ ფეხბურთზე უზარმაზარია.

უსმენ ამ კაცს და გგონია, რომ მართლა გიჟია, მაგრამ თანდათან ხვდები, რომ ის უბრალოდ გენიოსია. ასე ამბობენ.

მისი ფეხბურთი, თუ ის უმაღლეს დონეზე შესრულდა, სრულიად წარმოუდგენელია. ერთ წამს შვიდი კაცი ჰყავს შენს საჯარიმოში და ბურთს როგორც კი დაკარგავს, სანამ მის საჯარიმოსთან მიიტან, იქ უკვე თერთმეტი კაცი გელოდება. ეს უპირატესად ფიზიკური ფეხბურთია და მისი მიღწევა მხოლოდ ბიელსას სათამაშო ნახაზის საშუალებითაა შესაძლებელი.

რა აღარ ყოფილა, 2-3-5, დუბლ-ვე, 4-2-4, 4-3-3, 4-4-2, 3-5-2, 3-2-4-1 და სხვა უამრავი, თავისი ვარიაციებითა და ათასი რამით. ბიელსასი კი გახლავთ 3-3-3-1.

ამ ნახაზის მოქმედებაში ხილვა, ძალიან შთამბეჭდავია. ჩილის ნაკრები მას გასაოცრად ასრულებდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ყველა, ვისაც ბიელსას ხელში უთამაშია და მერე მწვრთნელობას გაჰყოლია, სწორედ მის მოწაფედ თვლის თავს. ამბობენ, რომ დღევანდელი იდეალური გუნდი, სწორედ ბიელსას ფეხბურთისა და კატალონიურ-ესპანური ტიკი-ტაკას ნაზავი უნდა იყოს.

რას ფიქრობს ამაზე ბიელსა, უცნობია. საერთოდ, კი ცნობილია, რომ ის ფიქრობს. და მაგრეს. უბრალოზე ეგ არ დაიხარჯება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკა მორჩილაძე

ასი მილიონი

ბოხვანქა სტეროიდებით შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“
ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

n. 52/40



WWW.LIBERALI.GE

http://twitter.com/LiberaliMagazine

http://facebook.com/LiberaliMagazine

http://youtube.com/LiberaliMagazine